ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი
სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება 2

მასწავლებლის წიგნი

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი,
სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

II კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

II კლასი, მასწავლებლის წიგნი

© გამომცემლობა „კლიო“, 2023
© ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი, 2023

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-496-51-6

პირველი გამოცემა – 2023

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181,
თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: book@klio.ge; www.klio.ge

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია II კლასის სახელმძღვანელოს შესახებ 4

2. დავალებები 7

3. განმავითარებელი შეფასება..... 8

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების
დაწყებითი საფეხურის სტანდარტი 10

5. მოსწავლის წიგნის სარჩევი..... 13

6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური დავალებების
შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით 15

7. შეფასების რუბრიკები..... 124

8. ლექსიკონი..... 130

1. ზოგადი ინფორმაცია II კლასის სახელმძღვანელოს შესახებ

II კლასის სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან.

მოსწავლის წიგნი

II კლასის წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია:

- აზიაროს მოსწავლე ხელოვნების სამყაროს;
- მოსწავლემ დაიწყოს ხელოვნების ენის, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობების შესწავლა და გამოყენება შემოქმედებით საქმიანობაში, გაეცნოს ხელოვნების დარგებსა და ჟანრებს;
- მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება, ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის;
- ე.წ. „ქეისებით“ სწავლების საფუძველზე მოსწავლეს განუვითაროს შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნება, გამოუმუშაოს პრობლემების გადაჭრის უნარი, უმარტივესი განზოგადების, პრეზენტაციისა და შეკითხვის ფორმულირებისა თუ შეკითხვაზე პასუხისას საკუთარი აზრის არგუმენტირების უნარი.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა იმგვარია, რომ მიზნად ისახავს როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას, ცოდნისა, რომელიც განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის სტანდარტით საგანში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“.

მოსწავლის სახელმძღვანელოში მთავარი აქცენტი კეთდება მოსწავლის აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე:

- სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის ორიენტირებას ნამუშევარში შთაბეჭდილებების, გუნება-განწყობილების (ემოციების), ჩანაფიქრის, იდეის გადმოცემაზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესაბამისი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; ასევე, შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შერჩევითა და გამოყენებით.
- სახელმძღვანელო მოწოდებულია, რომ მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების ამოცნობა და თავადაც მოახერხოს ხელოვნების ამ დარგებში ნამუშევრების შექმნა;
- სახელმძღვანელო ასევე ორიენტირებულია, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და არგუმენტირება, ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.
- სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ მოსწავლე შეძლებს სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების ამოცნობას, მათ დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საკუთარ გამოცდილებასთან, რაც საშუალებას მოგვცემს სწავლის პროცესი მოსწავლისათვის ცოცხალი და საინტერესო იყოს.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

წიგნს მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია. სახელმძღვანელოში შესული მასალა (როგორც მხატვრების, ისე მოსწავლეების ნამუშევრები და ფოტოები) შერჩეულია რამდენიმე პრინციპით:

1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან, ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით;

2. მასალის მრავალფეროვნება;
3. მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოება;
4. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

წიგნში მოცემული მასალა შერჩეულია იმგვარად, რომ მკაფიოდ და ნათლად იყოს განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მოსწავლეს გამოუმუშაოს მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. წიგნის თითოეული გაკვეთილის საკითხებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება და, სამიზნე ცნებებთან ერთად, ქვეცნებების ფართო სპექტრსაც მოიცავს. გარდა ამისა, გაკვეთილები აწყობილია იმ პრინციპით, რომ თითოეულ ბლოკში შემავალი გაკვეთილები ნაბიჯებად ჯგუფდება და საბოლოოდ კომპლექსურ დავალებაში იყრის თავს, რაც მოსწავლეს ეხმარება ამ დავალების შესრულებაში.

სახელმძღვანელო მოიცავს სტანდარტით განსაზღვრულ სამ სავალდებულო თემატურ ბლოკს და ამ თემებთან დაკავშირებულ ხუთ თავს:

თემატური ბლოკი – **ადამიანი და ხელოვნება –** წარმოდგენილია ერთი თავით:

თავი 1. ვინ ვართ ჩვენ

თემატური ბლოკი **– მე და გარე სამყარო –** წარმოდგენილია ორი თავით:

თავი 2. ჩვენი პლანეტა

თავი 3. ჩვენი გარემო

თემატური ბლოკი **– ხელოვნება ჩვენ გარშემო –** წარმოდგენილია ორი თავით:

თავი 4. შთაბეჭდილება და იდეა

თავი 5. ხელოვნება ყველაგანაა

მე–6 თავში, რომელსაც „ჩვენი დღესასწაულები“ ეწოდება, თავმოყრილია გაკვეთილები, რომლებიც სხვადასხვა დღესასწაულს ეხება. მასწავლებელს შეუძლია ეს გაკვეთილები თავისი შეხედულებისამებრ შესაბამის დროს ჩაატაროს.

მოსწავლის წიგნში კომპლექსური დავალებები მინიშნებულია სათაურთან დასმული ფერადი ფიფქით.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სასწავლო თემებით. ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

მასწავლებლის წიგნში გაწერილია თითოეული თემის მკვიდრი წარმოდგენები, თემის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნებები და მათი შესაბამისი კონკრეტული ქვეცნებები, რომლების სიღრმისეული დამუშავებისთვისაც არის შერჩეული კონკრეტული თემა. აქვეა მოცემული ყველა კომპლექსური დავალება და ამ დავალებათა პირობაშიც მკაფიოდ ჩანს შემოქმედებითი პროდუქტი, ქვეცნებები და ის კრიტერიუმები, რომლებითაც შესაძლებელია ნამუშევრის შეფასება.

მასწავლებლის წიგნის მატრიცებში მკაფიოდაა გაწერილი, თუ კონკრეტული თემის ფარგლებში როგორ წარიმართება სწავლა-სწავლების პროცესი. აქ თანმიმდევრული

ეტაპებისა და ნაბიჯების საშუალებით მკაფიოდაა ნაჩვენები კომპლექსური დავალებისაკენ მიმავალი გზა.

ყოველი თემის დასაწყისში მოცემულია ე.წ. „ქეისი“, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გაიაზრონ, თუ რისთვის, რატომ უნდა შეისწავლონ ეს თემა და შეასრულონ ეს დავალება.

მასწავლებლის წიგნში გაწერილი ნაბიჯები კორელაციაშია კომპლექსური დავალების პირობაში მოცემულ კრიტერიუმებთან და მათ ფარგლებში კონკრეტული ცნებების/ ქვეცნებების დამუშავება ხდება. გარდა ამისა, ყველა ნაბიჯში ჩანს, რომ მოსწავლეებს მუშაობა უწევთ ცოდნის სამივე კატეგორიაზე – დეკლარატიულზე, პროცედურულზე და პირობისეულზე.

2. დავალებები

სახელმძღვანელოში პრაქტიკული დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანია.

მოსწავლის წიგნის თითოეული თავის ბოლოს მოცემულია კომპლექსური დავალება. (მთლიანად მოსწავლის წიგნში 5 კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი). თავები ისეა აგებული, რომ დავალებები, შეძლებისდაგვარად, თანაბრად გადანაწილდეს გაკვეთილების საერთო რაოდენობასთან მიმართებით და თითოეულმა კომპლექსურმა დავალებამ დაასრულოს სახელმძღვანელოს ამ თავში განხილული კონკრეტული თემა. მთელი წიგნის საგაკვეთილო მასალა იმგვარადაა აგებული, რომ ყოველი მათგანი ეტაპობრივად ამზადებს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებები შემაჯამებელი გაკვეთილის ფუნქციას ითავსებს და მათი მეშვეობით განისაზღვრება და შეფასდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში გავლილი თეორიული მასალის და შეძენილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების ათვისების ხარისხი და დონე.

კომპლექსური დავალებები მრავალფეროვანი შინაარსისაა, შესასრულებელი სამუშაო სხვადასხვა ტიპის მოცემულობებისაგან შედგება, რაც საშუალებას იძლევა, შემოწმდეს სასწავლო პროცესის გავლილ მონაკვეთში მოსწავლის მიერ გააზრებული მკვიდრი წარმოდგენების, სამიზნე ცნებებისა თუ ქვეცნებების ურთიერთმიმართება და, რაც მთავარია, ამგვარი დავალების შესრულების პროცესი მოსწავლეს უღვივებს მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების სურვილს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალებების თემატიკა განსხვავდება მოსწავლის მიერ უკვე შესრულებული სამუშაოსაგან, თუმცა აღნიშნული დავალების შესასრულებლად მან უნდა გამოიყენოს ყველა ის უნარი, რომლებიც გამომუშავდა წინარე საგაკვეთილო პროცესში. ამგვარად, კომპლექსური დავალება აგვირგვინებს სასწავლო პროცესის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს და მიღწეული შედეგების შეფასება.

3. განმავითარებელი შეფასება

II კლასში მოქმედებს განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა, სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება, პროგრესის მონიტორინგი და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს დაკვირვების რამდენიმე ობიექტი, ან დააკვირდეს მთელ კლასს, დაკვირვება ითვლება განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. დააკვირდეს მოსწავლეს, მის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას. მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოს დაკვირვების შედეგები და გამოიყენოს სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი კომენტარები/რჩევები, განმავითარებელი შეფასების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია და ხელს უწყობს მოსწავლეს, ხარვეზის/სუსტი მხარეების დანახვასა და უკეთესი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

განმავითარებელი შეფასება ასევე ეყრდნობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტებს.

ურთიერთშეფასებისას, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვას, შეფასებასა და კრიტიკული აზრის კორექტულად გამოთქმას. ეს ერთგვარი როლური თამაშია, რომელიც სახალისოა მოსწავლეებისათვის და ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი. რისთვისაც შესაძლებელია სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მოსწავლის თვითშეფასების ფორმის გამოყენება ან თავად შექმნათ საკუთარი შეხედულებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

მოსწავლის თვითშეფასების ფორმის ნიმუში

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

თანასწორობა

სახელმძღვანელო ორიენტირებულია, მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის

გრძნობა,რაც განაპირობებს საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხმარება მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში, ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებასა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემის გამოხატვას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს უსაფრთხოდ ცხოვრებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

4.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სწავლების **დაწყებით საფეხურზე (I–VI კლასები)** საგან **„სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“** ფარგლებში მოსწავლეები იწყებენ ხელოვნების ენის, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალისა და ტექნიკის შესძლებლობების შესწავლას და გამოყენებას შემოქმედებით საქმიანობაში, ხელოვნების დარგებისა და ჟანრების, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების, ხალხური შემოქმედების გაცნობას.

სტანდარტში **შედეგებისა** და **სამიზნე ცნებების** სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები. საფეხურის საკვანძო შეკითხვები** სწავლა-სწავლების პროცესს გრძელვადიანი მიზნებისკენ მიმართავს.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ამ შინაარსებზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები.

სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია ქვეცნებები, თემატური ბლოკები, ხოლო თემებს, ქვეთემებსა და საკითხებს სკოლები თავად აკონკრეტებენ.

შედეგები მუშავდება თითოეულ თემაში. თითოეულ თემას ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებებთანაა დაკავშირებული.

ა) I-IV კლასების სტანდარტი
ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(I).1.:**

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსები	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**სამიზნე ცნებები**
ს.გ.დაწყ.(I).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგი: 1, 3, 4)
ს.გ.დაწყ.(I).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგი: 2, 3, 4)

ს.გ.დაწყ. (I).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** (შედეგი: 1,2,3,4) **სახვითი ხელოვნების ჟანრები** (შედეგი: 1,2,3,4)
ს.გ.დაწყ.(I).4.	ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ)	
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):** **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი); **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული, ტონი, ნახევარტონი); **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული). **ფაქტურა. ფონი.** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):** რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები**: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.

სასწავლო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები:

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ)
სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ნამუშევარში შთაბეჭდილებების, გუნება-განწყობის (ემოციების) გადმოცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; • ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის გადმოცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; • ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ჩანაფიქრის და იდეის გადმოსაცემად შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება; • ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ხელოვნების სხვადასხვა დარგში ნამუშევრების შექმნა; • ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების ამოცნობა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი ხელოვნების ჟანრები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში ნამუშევრების შექმნა; • ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების ამოცნობა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.

დაწყებითი საფეხურის საკვანძო შეკითხვები

საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

თემატური ბლოკები დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები)

დაწყებით საფეხურზე შემოთავაზებულია სამი თემატური ბლოკი. სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დამუშავდეს სამივე თემატური ბლოკი, რომლებიც, თავის მხრივ შეიძლება შედგებოდეს თემებისა და ქვეთემებისგან. დასაშვებია მათი რამდენჯერმე გამეორებაც. თემა/ქვეთემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ შინაარსიან კონტექსტს (თემის/ქვეთემის დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელებებს), რომელიც იძლევა სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სიღრმისეულად დამუშავების საშუალებას.

თემატური ბლოკები:

- **მე და გარესამყარო**
- **ადამიანები და ხელოვნება**
- **ხელოვნება ჩვენ გარშემო**

5. მოსწავლის წიგნის სარჩევი

1. ადამიანი და ხელოვნება ვინ ვართ ჩვენ		გვ.
1.	ბუნების ხედი	6
2.	გზა სახლიდან სკოლისკენ	8
3.	სასკოლო ნივთები	10
4.	ჩემი თანაკლასელები	12
5.	როგორ ვერთობით?	14
6.	ჩემი ერთი დღე	16
2. მე და გარესამყარო ჩვენი პლანეტა		
7.	ჩვენი დედამიწა	18
8.	მოგზაურობა რაკეტით	20
9.	ტყე	24
10.	პეპელა	28
11.	დედამიწის დღე	30
12.	შემოდგომა	32
13.	შემოდგომის ნობათი	34
14.	ზამთარი	36
15.	ყინულის დედოფალი	38
16.	ცისარტყელა	40
17.	დარია თუ ავდარია?	42
18.	ჭიამაია	45
3. მე და გარესამყარო ჩვენი გარემო		
19.	დიდი ქალაქი	48
20.	სოფელი	50
21.	სოფლის ეზოს ბინადრები	52
22.	ნოეს კიდობანი	56
23.	სათაფლია	58
24.	გასეირნება ნავით	60
25.	მოსეს თევზი	62
26.	აკვარიუმი	66
27.	თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა	68
4. ხელოვნება ჩვენ გარშემო შთაბეჭდილება და იდეა		
28.	გაზაფხული	72
29.	სურათი და განწყობილება	74
30.	რას გვიყვება სურათი	76
31.	ჩემი საყვარელი გმირი	78
32.	მოგზაურობა	80
33.	პარკი გუელი	82
34.	მოზაიკა	85
35.	ზღაპრული პარკი	87

5. ხელოვნება ჩვენ გარშემო ხელოვნება ყველგანაა		
36.	ვინ არის მხატვარი?	90
37.	მოქანდაკის სახელოსნოში	92
38.	ვინ აგებს შენობებს?	94
39.	ციხესიმაგრე	96
40.	ნივთები ჩვენ გარშემო	98
41.	სათამაშო	100
42.	თოჯინების თეატრი	102
43.	ზღაპრის სამყარო	105
6. ჩვნ		
44.	შობა	108
45.	თოვლის ბაბუა	110
46.	ხანუქა – სინათლის დღესასწაული	112
47.	ეზიდების ახალი წელი	113
48.	მისალოცი ბარათი	114
49.	აღდგომა	116
	ლექსიკონი	118

6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით

I თემატური მატრიცა

კლასი: I
თემატური ბლოკი: ადამიანი და ხელოვნება
თემა: ვინ ვართ ჩვენ?
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ნამუშევრებით შეგვიძლია ერთმანეთს საინტერესო ამბები და შთაბეჭდილებები გავუზიაროთ;
- სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის საშუალებით ადამიანისა და მისი გარემოს გამოსახვაა შესაძლებელი.

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი 2D;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი;
- **ხერხი** – ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი.

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)
ქვეცნებები: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი.

საკითხი – ადამიანისა და მისი გარემოს ასახვა ნამუშევარში.

საკვანძო შეკითხვები:

- ხელოვნების ნიმუშების საშუალებით, როგორ გავუზიაროთ სხვებს საინტერესო ამბები და ჩვენი შთაბეჭდილებები?
- როგორი ხაზებით, ფორმისა თუ ფერის საშუალებით გამოვსახო ადამიანი და გარემო?

კომპლექსური დავალება
შექმენი ნამუშევარი, ერთგვარი დღიური თემაზე `ჩემი ერთი დღე~. ფურცლებზე თანმიმდევრულად დახატე, რას აკეთებ ერთი ჩვეულებრივი დღის განმავლობაში. შენი ნახატები ფერად, ერთმანეთზე გადაბმულ ფურცლებზე დააწებე, გადაკეცე და დღიურიც მზად იქნება. საკუთარი ჩანაფიქრის გადმოსაცემად გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ჩემი ერთი დღე

გიორგის და მაშოს ძალიან უყვართ ბებოსთან და ბაბუსთან სტუმრობა. ერთხელაც, როდესაც მათთან მივიდნენ და კარადაში რაღაცას ეძებდნენ, დიდ ფერად ყდაში ჩასმულ ალბომს წააწყდნენ. გადაშალეს და ბებოს და ბაბუს მთელი ცხოვრება ფოტოებში აღმოაჩინეს.
– რა ლამაზი ყოფილა ბებო – ამბობდა მაშო.
– ხედავ, ბაბუს ცხენზე ჯდომა და ჯირითიც ცოდნია, აგერ კიდევ ფეხბურთს თამაშობს – გაკვირვებული იყო გიორგი.
ბავშვების თვალწინ თითქოს ბებიას და ბაბუას მთელმა ცხოვრებამ გაირბინა და მათაც მოუნდათ საკუთარი დღეები ასე „აეკინძათ“.
– ავდგეთ და დავხატოთ, როგორ ვცხოვრობთ, ყოველდღე რას ვაკეთებთ, როგორ ვმეცადინეობთ ან როგორ ვერთობითო – შესთავაზა მაშომ გიორგის, ფანქრებს დასტაცა ხელი, სახატავი ფურცლები მოიმარაგა და საქმეს შეუდგა. გიორგის ჯერ დაეზარა, ამდენი ხატვა სად შემიძლიაო, მაგრამ მაშოს რომ გადახედა, რომელიც უკვე გატაცებით ხატავდა საკუთარ თავს ლამაზ კაბაში, თვითონაც მოკიდა ფანქარს ხელი. ჯერ ველოსიპედზე შესკუპებული დახატა საკუთარი თავი, მერე ფეხბურთს მეც კი ვთამაშობო და მეგობრები ჩამოამწკრივა მოედანზე. ორივემ დახატა დედასთან და მამასთან ერთად მარიონეტების თეატრში რომ წავიდნენ ცოტა ხნის წინ. მერე ერთმანეთის ნახატებს რომ ათვალიერებდნენ, სიცილით იგუდებოდნენ: მამას ასეთი თმა აქვს? მე დედა უფრო ლამაზი გამომივიდაო. ბოლოს იმდენი ნახატი დაუგროვდათ, ერთ ხელში ძლივს იჭერდნენ. მაშინ ბაბუმ ფერადი ფურცლები, წებო და მაკრატელი მოიტანა. მოდი, აბა, ვცადოთ და თქვენი ნამუშევრებით დღიურები გავაკეთოთო. სურათები ფერად ფურცლებზე დააწებეს, ფრთხილად გადაკეცეს და რამდენიმე წუთი დაკეცილი გაიჩერეს, მერე კი ერთმანეთის მიყოლებით გაშალეს და მაგიდაზე დაასკუპეს.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ: • როგორი **ხაზები, ფორმები და ფერები** გამოიყენე „ჩემი ერთი დღის“ შესაქმნელად და რატომ? (სამ. ცნება 1) • რომელი **მასალა და ტექნიკა** შეარჩიე შენი ნამუშევრის შესაქმნელად და რატომ? (სამ.ცნება 2)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოყვნენ როგორ ატარებენ ერთ ჩვეულებრივ დღეს. მოსწავლეები ჰყვებიან, რას აკეთებენ ერთი დღის განმავლობაში.

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორ შევქმნა ნამუშევარი (დღიური) „ჩემი ერთი დღე“, როგორ გადმოვცე ამბები სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმების, სხვადასხვა ფერის, მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით?
- როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოვიყენო საკუთარი თავის, მეგობრების, ოჯახის წევრებისა თუ შინაური ცხოველების შესაქმნელად?
- როგორ გამოვსახო სხვადასხვა დანიშნულების მქონე საგნები, რომლებიც დღის განმავლობაში ვიყენებ (მაგ., ველოსიპედი, სათამაშო, მობილური ტელეფონი და სხვ.)? როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოვიყენო ამისათვის?
- როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოვიყენო გარემოზე დაკვირვების შედეგად შერჩეული ხედის ასასახად?

კომპლექსური დავალების არსი:
კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ დაინახოს, რომ ხელოვნების ნიმუშების საშუალებით საინტერესო ამბების, საკუთარი გრძნობების, ემოციებისა თუ შთაბეჭდილებებისგაზიარებადაგარემოზედაკვირვებისშედეგებისასახვაა შესაძლებელი. საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ყოველდღიური საქმიანობის ასახვისას, მოსწავლე თავად შეარჩევს და შემოქმედებითად იყენებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებს.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)**

   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სხვადასხვა ტიპის: სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი 2;
   - **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.

2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა**
   ქვეცნება: ხატვა

3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები**
   ქვეცნება: მხატვრობა

4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები**
   ქვეცნება: პეიზაჟი.

<u>გაკვ. 1. ბუნების ხედი</u>

პირველი ნაბიჯის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ ცოდნის აქტივიზაცია პირველი კლასის განმავლობაში ნასწავლი/დამუშავებული საკითხების შესახებ, როგორებიცაა სხვადასხვა ტიპის ხაზი, გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები, ძირითადი და შედგენილი ფერები. მათ უნდა შეძლონ დაკვირვების შედეგად მათი აღმოჩენა გარემოში.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს აქტივობით, რომლის ფარგლებში, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ პირველ კლასში ნასწავლი მასალა სხვადასხვა ტიპის ხაზის შესახებ.

მოსწავლის აქტივობა:
მასწავლებელი წყვილიდან ერთ მოსწავლეს აძლევს ძაფის ერთ წვერს, ხოლო მეორეს – ძაფის მეორე წვერს და მოსწავლეები ძაფს ჭიმავენ, ამოძრავებენ ისე, რომ გამოვიდეს სხვადასხვა მოხაზულობის ხაზი: სწორი, ტალღოვანი, ზიგზაგისებური, მრუდი და სხვ. კლასმა კი ყოველ ჯერზე უნდა ამოიცნოს, რა ტიპის ხაზს წარმოადგენს წყვილი.

რეკომენდაცია: მასწავლებელს შეუძლია, ამ აქტივობის ინტერპრეტირება მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაძლებელია, აქტივობა რამდენიმე წყვილთან განმეორდეს, ასევე, შესაძლებელია, აქტივობაში ჩართვის სურვილი მთელ კლასს გაუჩნდეს.
მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ბუნებაში (მთებში, ზღვის ტალღებში, ღრუბლებში, მცენარეებში და სხვ.) სხვადასხვაგვარი ხაზების დანახვა?
- დააკვირდით გზებს ფოტოებზე, როგორი მოხაზულობა აქვს მათ და როგორი ხაზით შეიძლება მისი გამოსახვა? (ზიგზაგისებური ხაზით, ტაღოვანი/კლაკნილი ხაზით).

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და წიგნში მოცემული გზის ფოტოებზე დაკვირვებით, პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს. სავარაუდოდ, ასახელებენ სხვადასხვაგვარ ხაზებს, რომლებიც შეუმჩნევიათ ტალღებში, მთებში, გზებზე და სხვ.

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, მასწავლებელი აჯამებს, რომ ხაზით ნებისმიერი გამოსახულების დახატვა და გარემოში სხვადასხვაგვარი ხაზის იპოვნაა შესაძლებელი.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი აგრძელებს მოსწავლეთა ცოდნის აქტივიზაციაზე მიმართული კითხვების დასმას. გაიხსენეთ:

- როგორი ფორმები შეიძლება ვიპოვოთ მთების მოხაზულობაში? (სამკუთხა, ნახევარ წრიული)
- ხომ არ გინახავთ ისეთი ხე ან სხვა რამ ბუნებაში, რომლის ფორმაც წრეს, სამკუთხედს ან რომელიმე სხვა გეომეტრიულ ფიგურას მოგაგონებთ?
- აღწერეთ ფოტო წყალში მდგომი კლდის გამოსახულებით. როგორი ფორმა აქვს მას და რომელი ფორმით გამოსახავდით მას ამ ხედს რომ ხატავდეთ? (სამკუთხედი) როგორ ხაზებს გამოიყენებდით ზღვის გამოსასახად? (ტალღოვანს).
- როგორი ფორმა აქვს ფუძიამას მთას? რომელი გეომეტრიული ფორმა შეიძლება ვიპოვოთ ამ მთის ფოტოზე? (სამკუთხედი);
- როგორი ფორმები შეიძლება ვიპოვოთ ედმონდ კალანდაძის ნამუშევარში? (ნახევარწრიული – თივის ზვინი).

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებაზე, დაკვირვებაზე დაყრდნობით პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს. სავარაუდოდ, მოსწავლეები უპასუხებენ, რომ მთას სამკუთხა ან ნახევარწრიული მოხაზულობა შეიძლება ჰქონდეს, მზეს – წრიული და სხვ.

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა პასუხებს, რომ სამყაროში ყველაფერს თავისი ფორმა აქვს და ფორმები ძალზე მრავალფეროვანია.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ვანგოგის სურათი და უსვამს შეკითხვებს:

- გაიხსენე როგორი ფერებია ლურჯი და ყვითელი? (ძირითადი ფერებია)
- კიდევ რომელი ძირითადი ფერი იცით ? (წითელი)
- ბუნებაში მხოლოდ ძირითად ფერებს ვხვდებით?
- ჩამოთვალეთ შედგენილი ფერები.
- რომელ შედგენილ ფერებს ვხედავთ დავით კაკაბაძის სურათზე. (ნარინჯისფერი და მწვანე)

- ჩამოთვალეთ, ძირითადი ფერების შერევით რომელ ფერებს ვიღებთ? (შედგენილ ფერებს: ყვითელი + წითელი = ნარინჯისფერი; ლურჯი + ყვითელი = მწვანე; წითელი + ლურჯი = იისფერი)

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები იხსენებენ I კლასში ნასწავლ მასალას ძირითად და შედგენილ ფერებზე.

შენიშვნა: მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები ეხმარება მოსწავლეს, I კლასში ნასწავლი მასალის – სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), ფერის (ძირითადი და შედგენილი ფერების) გახსენებაში.

მასწავლებელი საუბრობს, რომ მხატვრები ბუნების ხედის დასახტად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს, სხვადასხვა ტიპის ფორმას, ძირითად და შედგენილ ფერებს.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი ასევე ახსენებს მოსწავლეებს, რომ ბუნების – ზღვის, ტყის, მთის, თუ ქალაქის – ხედს პეიზაჟი ეწოდება. მასწავლებელი გაკვეთილს აგრძელებს შეკითხვებით:

- რამდენად ხშირად სეირნობთ მშობლიურ ქალაქში, სოფელში ან ისეთ ადგილებში, როგორიცაა პარკი, ბოტანიკური ბაღი და სხვ.?
- ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა ლაშქრობაში?
- რამდენად ყურადღებით აკვირდები გარემოს?
- ბუნების როგორი ხედი დაგამახსოვრდათ განსაკუთრებით?
- ხომ არ გიფიქრია, ისეთი ხედის დახატვა, რომელმაც შენზე შთაბეჭდილება მოახდინა?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება.

მოსწავლის აქტივობა:

შესაძლებელია, მოსწავლეებს განსხვავებული გამოცდილება ჰქონდეთ და ისინი საკუთარ შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ თანაკლასელებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პრაქტიკული დავალების შესრულებას

დავალების პირობა:

ასახე ბუნების ხედი, რომელმაც შენზე შთაბეჭდილება მოახდინა; გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები, ძირითადი და შედგენილი ფერები.

პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რჩევებს:

- ჯერ უბრალო ფანქრით დახატე პეიზაჟი;
- შემდეგ ეტაპზე, გამოიყენე შერჩეული მასალა (ფერადი ფანქრები, გუაშის საღებავები და ფუნჯები, ფლომასტერი ან პასტელი)

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ირჩევენ ფერებს, ხაზებსა და ფორმებს მათ მიერ შერჩეული ხედის შესაქმნელად, საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოსაცემად.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ პეიზაჟებს და საუბრობენ წარმოსახვით შექმნეს ბუნების ხედი თუ ნანახი პეიზაჟი ასახეს საკუთარ ნამუშევარში. პრეზენტაციისას, ყურადღება მახვილდება თუ

როგორი ტიპის ხაზი, ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), ფერი (ძირითადი და შედგენილი ფერები) აქვს მოსწავლეს გამოყენებული ნამუშევარში კონკრეტული გამოსახულებების გადმოსაცემად (ტალღოვანი ხაზები – ზღვის ასასახად, ნახევარწრიული ან სამკუთხედი – მთების, ძირითადი ფერები მაგ., ზღვის პეიზაჟის დასახატად – ლურჯი ზღვა და ყვითელი ან წითელი მზე და ა.შ.).

გაკვ. 2. გზა სახლიდან სკოლისაკენ

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სიტყვიერად აღწერონ მათი სახლიდან სკოლისაკენ მიმავალი გზა, დაასახელონ ყველაფერი, რაც მათ ამ გზაზე ყოველდღე ხვდებათ.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ, თუ როგორი ფორმის და ფერის, მაღალი თუ დაბალი, აგურის თუ ხის შენობები ხვდებათ; მათ შეიძლება ჩამოთვალონ პარკი, სკვერი, მინდორი, ავტობუსის გაჩერება, შადრევანი, მდინარე, ტბა, ხეები თუ ბუჩქები და მრავალი სხვ. ასევე, შესაძლებელია, რომ ისინი პარკში/სკვერში პატრონებთან ერთად მოსეირნე ძაღლებს ხვდებიან, ან ტბაში მოცურავე გედებს ხედავენ ყოველ დილით, ან შესაძლებელია ისეთი ხე ან ბუჩქი ხვდებათ გზაზე, რომელიც წელიწადის სხვადასხვა დროს გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით (შემოდგომაზე წითელი ფოთლებით იფარება, გაზაფხულზე კი ვარდისფერი ყვავილებითაა მორთული და სხვ.). მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, ფეხით მოდიან თუ ტრანსპორტის გამოყენება უწევთ. ასე ზეპირსიტყვიერად ხდება სახლიდან სკოლისაკენ მიმავალი გზის აღწერა.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს ხედებიც, რომლებსაც ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ამ გზაზე, პეიზაჟებია და მათ ახლა ფაქტობრივად პეიზაჟები ღწერეს.

შესაძლებელია, რამდენიმე მოსწავლეს ერთი და იგივე გზის გავლა უხდებოდეს და საინტერსოა, რაზე გაამახვილებს ყურაღებას თითოეული მათგანი.

დავალების პირობა:

ფურცლის ერთ მხარეს დახატე შენი სახლი, მის მოპირდაპირე მხარეს კი - სკოლის შენობა. გაიხსენე ყველაფერი, რასაც სახლიდან სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ხედავ და ჩახატე.

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ იმას, რაც მათ სახლიდან სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ხვდებათ. ისინი იყენებენ სხვადასხვა ფორმას, ხაზებს და ფერებს, იმის მიხედვით, თუ რისი გამოსახვა უწევთ ნამუშევარში. მათ შეუძლიათ გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/ პასტელი;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, რა და როგორ გამოსახა, როგორი ხაზები, ფორმები, ფერები გამოიყენა მუშაობისას და რატომ.

შენიშვნა:

პრაქტიკული სამუშაო უვითარებს მოსწავლეებს გარემოზე დაკვირვების უნარს და გამოსასახი ობიექტების შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებების დამოუკი-

დებლად შერჩევის უნარს. ასევე, ამ დავალებით ხდება წინა გაკვეთილზე გააქტიურებული წინარე ცოდნის კიდევ ერთხელ განმტკიცება.

ნაბიჯი 2.

სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი 2D;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;
- **ხერხი** – ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება.

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი;

3. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: ნატურმორტი, პორტრეტი.

<u>გაკვ. 3. სასკოლო ნივთები</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოალაგონ სკოლის ჩანთაში არსებული სასკოლო ნივთები მაგიდაზე. ამავდროულად, მასწავლებელი თავადაც აწყობს წინასწარ მომზადებულ ნივთებს საკუთარ მაგიდაზე. მასწავლებლის მიერ მომზადებულ ნივთებს შორის საგანგებოდ „შეპარებულია“ ისეთი ნივთები, რომლებიც მოსწავლეს სკოლაშიარ სჭირდება, მაგ., მაღვიძარა, სათამაშო მანქანა და სხვ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თვალი გადაავლონ მასწვლებლის მიერ დალაგებულ ნივთებს და მიუთითონ, რომელი მათგანია სრულიად უსარგებლო სკოლაში.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ იმ ნივთს/ნივთებს, რომლებიც მათ სკოლაში არ სჭირდებათ.

მასწავლებლის აქტივობა:

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რიგრიგობით დაასახელონ ერთი ნივთი, რომელიც ჩანთიდან ამოიღეს, აღწერონ ნივთის ფორმა, ფერი და ისაუბრონ ამ ნივთის დანიშნულებაზე.

მოსწავლის აქტივობა:

თითოეული მოსწავლე რიგრიგობით ასახელებს ერთ ნივთს საკუთარი ჩანთიდან, რომელიც მას სკოლაში აუცილებლად სჭირდება. სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ წიგნს, რვეულს, კალამს, ფანქრებს, საშლელს, სახაზავს და სხვა სასკოლო ნივთებს, აღწერენ მათ ფორმას, ფერს, ასევე მათ არ უჭირთ ან ნივთების ფუნქციის დასახელებაც.

მასწავლებლის აქტივობა:

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მათ მერხებზე დალაგებულ სასკოლო ნივთებს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „გინახავთ სურათი, რომელზეც მხოლოდ საგნებია (ნივთებია) გამოსახული?“

მოსწავლის აქტივობა: შესაძლოა, მოსწავლეებმა გაიხსენონ პირველ კლასში განვლილი მასალა, თუ ვერ გაიხსენეს, მასწავლებელი მათ ეხმარება გახსენებაში.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი ეუბნება მათ, რომ ხშირად მხატვრები სურათზე მხოლოდ საგნებს გამოსახავენ, საგნებით შედგენილ სურათს კი ნატურმორტი ეწოდება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მერხზე დალაგებული საკუთარი სასკოლო ნივთებიდან შეარჩიონ ნივთები უსულო საგნებისაგან შემდგარი სურათის – ნატურმორტის დასახატად.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები შეარჩევენ რამდენიმე სასკოლო ნივთს ნატურმორტის დასახატად.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ თითოეულ ამ ნივთს საკუთარი ფორმა აქვს და სთავაზობს მათ, ფურცელზე ამ ნივთების ფორმა ფანქრით შემოხაზონ.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები მათ მიერ შერჩეულ სასკოლო ნივთების ფორმას ფანქრით შემოხაზავენ ფურცელზე.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ხაზით გარსშემოწერილი ნივთების მოხაზულობა იმდენად სახასიათოა, რომ ადამიანი ადვილად ამოიცნობს ამ ნივთს ცალკეული დეტალების თუ ფერის გარეშე. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ნივთის ასეთ მოხაზულობას კონტური ეწოდება.

აქტივობის მიზანია, დაანახოს მოსწავლეს, რომ მარტივი კონტური ქმნის კონკრეტული ნივთის სახასიათო მოხაზულობას და ადამიანს ადვილად შეუძლია ნივთის ამოცნობა დეტალების, ფერის გარეშეც.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ კონტურით დახატეს სასკოლო ნივთები და თუ ახლა ისინი ამ ნივთების გამოსახულებებს გაანაწილებენ ფურცელზე ასეთ შემთხვევაში მიიღებენ სასკოლო ნივთების ნატურმორტს.

- როგორ განვალაგოთ ნივთები ფურცელზე?
- დააკვირდით სახელმძღვანელოში მოცემულ ორ ნამუშევარს და იმსჯელეთ, როგორაა გაანაწილებული ისინი?

მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს მოსწავლეთა მსჯელობა, რომ აღწერის დროს მოსწავლეებმა თავად აღწერონ განსხვავება ამ ორ ნამუშევარში ნივთების განლაგების თვალსაზრისით. მათ უნდა შენიშნონ, რომ ჯოჯრჯო მორანდის ერთ ნატურმორტზე ნივთები/საგნები სურათის ცენტრშია შეჯგუფული, მეორეზე კი – ისინი სურათის მთელ სიგანეზეა განლაგებული, ანუ მათ უნდა გამოიტანონ დასკვნა, რომ ფურცელზე საგნები სხვადასხვანაირად შეიძლება განაწილდეს.

სავარჯიშოების დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

ფერადი ქაღალდისაგან შექმენი სასკოლო ჩანთის მარტივი კონსტრუქცია; კონტურის ხაზით ჩახატე შიგ სასკოლო ნივთები; გაანაწილე ისინი სურვილისამებრ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ირჩევენ სასურველი ფერის ფურცლებს, გადაკეცავენ მათ და აძლევენ ჩანთის ფორმას;
- ფანქრით ან ფლომასტერით ჩანთის შიდა პირზე კონტურის ხაზით ხატავენ სასკოლო ნივთებს;
- იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზსა და მარტივ გეომეტრიულ ფორმებს;
- სურვილის შემთხვევაში მათ ნივთების მოხაზულობის გაფერადებაც შეუძლიათ.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, ან მათი ნამუშევრები კლასში საგანგებოდ გაჭიმულ თოკზე სამაგრებით გამოიფინება. თითოეული მოსწავლე საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე, რამდენად მოახერხა სასურველი ნამუშევრის შექმნა, როგორი ხაზები და რომელი მარტივი გეომეტრიული ფორმები გამოიყენა. ასახელებს ნამუშევარში გამოყენებულ ხაზებს, ფორმებსა და ფერებს.

გაკვ. 4. ჩემი თანაკლასელები

მასწავლებლის აქტივობა:

ამ გაკვეთილის ფარგლებში,მოსწავლეებმა უნდა შექმნან თანაკლასელის პორტრეტი სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის გამოყენებით. პირველ კლასში მოსწავლეებს აქვთ სხვადასხვა ტიპის ხაზისა და სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების გამოყენებით, ადამიანის სახის ხატვის გამოცდილება. ამ თემატური ბლოკის ფარგლებში, მოსწავლეები განიმტკიცებენ და გააძლიერებენ ცოდნას ამ მიმართულებით, რის მისაღწევადაც მასწავლებელი მიმართავს რამდენიმე ტაქტიკას. მაგ., ფორმატზე წინასწარ აქვს დახატული რამდენიმე განსხვავებული ფორმა: მრგვალი, ოთხკუთხედი, სამკუთხედი, ოვალური. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს, რიგრიგობით გამოვიდნენ და ამ ოვალებიდან აირჩიონ გვერდით მჯდომი კლასელის გარეგნობის შესაბამისი ფორმა. ამავე ტაქტიკით, მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს წინასწარ ფორმატზე მოხაზული სხვადასხვა ტიპის ხაზები: სწორი, ხვეული, ტალღოვანი. ხაზები, ამავე დროს, შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის: შავი, მოყვითალო, ყავისფერი, წითელი და სხვ., მათ მოსწავლე გამოიყენებს თმის შესაბამისი ფერისა და ტიპის (ხვეული,სწორი და სხვ.) გამოსასახად.

მოსწავლის აქტივობა:

დაფასთან გამოსული მოსწავლე თანაკლასელის სახის შესაქმნელად, მასწავლებლის მიერ დახატული გეომეტრიული ფორმებიდან შეარჩევს ფორმას, რომელიც, მისი აზრით, შეესაბამება მისი კლასელის სახის მოყვანილობას. იგი ხატავს მისი გარეგნობისათვის დამახასიათებელ დეტალებს, შეარჩევს თმის ფერს და ტიპს (მაგ., სწორი წაბლისფერი, ხვეული წითელი ან ტალღოვანი ყვითელი ხაზებით). ცხადია, კლასი თვალს ადევნებს თითოეული მოსწავლის მიერ შერჩეულ ფორმებს, ხაზებს და ფერებს და შეცდომით შერჩევის შემთხვევაში, გამოთქვამს თავის აზრს. აქტივობა სახალისოდ წარიმართება, შეიძლება დისკუსიაც გამოიწვიოს თმის ფერთან დაკავშირებით.

მასწავლებლის აქტივობა:

სახალისო სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მხატვრები ხშირად ხატავენ ადამიანის სახეს და ასეთ სურათს, რომელზეც კონკრეტული ადამიანის სახეა გამოსახული პორტრეტი ეწოდება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ პორტრეტებს.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ესმოდეს ამ ტერმინის მნიშვნელობა; მოსწავლეს არ მოეთხოვება ტერმინის განმარტების დაზეპირება. მას უნდა შეეძლოს საკუთარი სიტყვებით ახსნა, მასწავლებლის კომენტარზე ადეკვატურად რეაგირება, რჩევის/მითითების გაგება და შესრულება. წინა აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეს, ჩანაფიქრის შესაბამისად, მიზანმიმართულად შეარჩიოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეებმა უნდა აღწერონ სახელმძღვანელოში მოცემული მხატვართა მიერ შექმნილი პორტრეტები. აღწერისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სახის მოყვანილობაზე, ფორმაზე, თმის ფერზე, თვალების მოხაზულობაზე. შესაძლებელია მათ საკუთარ შთაბეჭდილებაზეც ისაუბრონ.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

დახატე ან აპლიკაციის ტექნიკით შექმენი შენი მეგობრის სახე; გამოსახე მისი სახასიათო ნიშნები (სახის, თვალების, ცხვირის ფორმა, თმის ფერი და სხვ.), გამოიყენე შესაბამისი ხაზები, ფორმები და ფერები.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შეარჩიონ, რომელი თანაკლასელის პორტრეტს შექმნიან. მათ შეუძლიათ დახატონ ან აპლიკაციის ტექნიკით შეასრულონ პორტრეტი. თანაკლასელების გამოსახულებების შესაქმნელად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ, გარეგნულ ნიშნებთან ერთად, მოსწავლე უნდა შეეცადოს თანაკლასელის ხასიათის მარტივად გადმოცემას. მაგ., გამოსახოს მიმიკა.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლე თავად წყვეტს, რომელი მეგობრის გამოსახულებას შექმნის.
- იგი იყენებს ხატვის ან აპლიკაციის ტექნიკას, ან ორივეს ერთად.
- მიზანმიმართულად ირჩევს ხაზის ტიპს, ფორმას და ფერებს.
- აპლიკაციის ტექნიკით მუშაობისას, მოსწავლე ირჩევს რესურსებს. მაგ., თექისა თუ

საქსოვი ძაფის ნაკუწებს თმისთვის, ღილებს – თვალებისათვის და სხვ.

- შესრულებული ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლე საუბრობს თავისი არჩევანის შესახებს, რომელი თანაკლასელი აირჩია და როგორ გამოსახა იგი; როგორი ფორმა გამოიყენა სახის მოყვანილობისათვის, თვალების, ცხვირისა და ტუჩებისათვის; როგორი ხაზებით და რომელი ფერით გამოსახა მისი თმა და რატომ.
- პრაქტიკული სამუშაოს წარდგენის პროცესში მოსწავლეები მეგობრების ნამუშევრებზეც გამოთქვამენ მოსაზრებებს, რამდენად მოახერხა ავტორმა კონკრეტული ადამიანის გარეგნული ნიშნებისა და თვისებების წარმოჩენა სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის გამოყენებით.

გაკვ. 5. როგორ ვერთობი

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელს (კალათით/ყუთით) მომზადებული აქვს გარკვეული რესურსი:

ფეხბურთის ან კალათბურთის ბურთი, ტანმოვარჯიშის აქსესუარები (სკოლის სპორტული დარბაზიდან), რამდენიმე რბილი სათამაშო, წიგნები, შესაძლებელია რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტი ან მათი ფოტოები (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მან იცის, რომ რომელიმე მოსწავლე ამ ინსტრუმენტზე დაკვრას სწავლობს). ასევე, მობილური ტელეფონი და ა.შ. მასწავლებელი წარუდგენს ამ ნივთებს მოსწავლეებს და სთხოვს თითოეულ მოსწავლეს, უპასუხონ, რომელ მათგანს იყენებენ ისინი თავისუფალ დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა სიხშირით.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას და პასუხობენ, რა სიხშირით არიან დაკავებული სასპორტო, ან სხვა რომელიმე აქტივობით. აქტივობის შედეგად ნათლად გამოჩნდება, რას ანიჭებენ მოსწავლეები უპირატესობას თავისუფალ დროს.

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა ჩამოთვლილი რესურსი, კლასის რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული რესურსის სახით წარმოადგინოს. ამ აქტივობით ნათლად გამოჩნდება, რა შეადგენს მოსწავლეთა უმრავლესობისათვის პრიორიტეტს გართობის, განტვირთვის თვალსაზრისით.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოკლედ აღწერონ და დაახასიათონ, როგორი ტიპის გართობაა მათთვის ყველაზე სასიამოვნო; ვინ მონაწილეობს მათთან ერთად ამ პროცესში (მაგ., თუ ეს სპორტის რომელიმე სახეობაა, ვისთან ერთად არის მოსწავლე ჩართული მასში). თუ მოსწავლეს მოსწონს შინაური ცხოველებთან ან ფრინველებთან, თევზებთან ურთიერთობა, იგი ყვება მისი ბინადრების შესახებ, რა მოვალეობები აკისრია მას, აქვს თუ არა რაიმე სახის თამაშის ტრადიცია მას და მის მეგობრებს ან ოჯახის წევრებს და ა.შ. ამგვარად მზადდება ნიადაგი პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები ყვებიან თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, პასუხობენ მასწავლებლის და თანაკლასელების შეკითხვებს.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ, მხატვრების მიერ შექმნილ ნამუშევართა ილუსტრაციებს, რომლებზეც მათი ასაკის

ბავშვები არიან გამოსახულნი.

შეკითხვები:

- აღწერეთ რას საქმიანობენ ამ სურათებზე გამოსახული ბავშვები;
- თქვენ აქ წარმოდგენილ ნიმუშებში ასახულ რომელ საქმიანობას აირჩევდით და რატომ?
- დაახასიათეთ ნორმან როქუელის სურათზე გამოსახული ბიჭუნა, რომელიც უკრავს. როგორი ფერები აქვს გამოყენებული მხატვარს ამ ნამუშევარზე და როგორ განწყობილებას ქმნის ეს ფერები?
- თუ იცი, რომელი თამაშია გამოსახული კარლ მიულერის სურათზე? გითამაშია როდისმე ის? როგორაა განაწილებული ფიგურები ამ სურათზე? როგორი განწყობილება სუფევს ამ სურათზე; ახსენი, რა ქმნის ამ განწყობილებას (ფერები, ფორმები და სხვ.)?
- როგორი განწყობილებაა ნანა მესხიძის სურათზე?

შენიშვნა: მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ რა განწყობილება სუფევს ამ სურათებში და რომელი სახვითი საშუალებებითაა მიღწეული ეს. კითხვებზე პასუხის დროს მან ისე წარმართოს მოსწავლეების მსჯელობა, რომ მაგ., აშკარად გამოჩნდეს, რომ კარლ მიულერის სურათზე მხიარული, ხალისიანი განწყობილება სუფევს და ბავშვები აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთთან, მაშინ, როდესაც ნანა მესხიძის სურათზე სამივე გოგონა ჰულაჰოპს ატრიალებს და თითქოს ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ, თუმცა აქაც ხალისიანი განწყობილება სუფევს. ჯეიმს ფელჰამის სურათზე კი, რომელზეც გოგონა წიგნს კითხულობს, სიმშვიდე სუფევს.

დავალების პირობა:

 დახატე, როგორ ერთობი. მოიფიქრე, რას დახატავ და როგორ შთაბეჭდილებას შექმნი ნამუშევარში შენ მიერ შერჩეული ხაზების, ფორმებისა და ფერების საშუალებით.

პრაქტიკული სამუშაო:

- თითოეული მოსწავლე თავად წყვეტს, გართობისა და დასვენების რომელ სახეობას გამოსახავს საკუთარ ნამუშევარში და ვის გამოსახავს მასზე;
- მოსწავლე მიზანმიმართულად ირჩევს ხაზებს, ფორმებს, ფერებს, რომლებიც მას გართობის სცენის ასახვაში და გარკვეული განწყობილების გადმოცემაში დაეხმარება.
- ნამუშევრის წარდგენის დროს მოსწავლე საუბრობს როგორც ასახული სცენის შინაარსზე, ასევე, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე, რომლებიც მან ნამუშევრის შესაქმნელად აირჩია.

შენიშვნა 1: დავალების შესრულებისას მოსწავლე იყენებს წინა გაკვეთილზე მიღებულ გამოცდილებას, როდესაც მან თანაკლასელების გამოსახულებები შექმნა სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის, ფერის საშუალებით.

შენიშვნა 2: გართობის თემა საინტერესოა ამ ასაკის მოსწავლეებისათვის. მათ წასახალისებლად მასწავლებელმა შეიძლება აირჩიოს ასეთი ტაქტიკა: წინასწარ სთხოვოს მოსწავლეებს, რომ მათ მომდევნო გაკვეთილზე თავიანთი საყვარელი სათამაშო, სავარჯიშო (მცირე ზომის) სპორტული იარაღი ან სხვა ამ ტიპის საგანი მოიტანონ. კლასში. მათ უნდა ისაუბრონ ამ ნივთების შესახებ, აჩვენონ და ათხოვონ კიდეც ისინი თანაკლასელებს. თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეებს დავალების უფრო ხალი-

სიანად და ლაღად შესრულებაში. ამგვარი მიდგომა დაეხმარება მოსწავლეებს მხატვრული ხერხების შემოქმედებითად გამოყენებაში დავალებაზე მუშაობის პროცესში.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

გაკვ. 6. ჩემი ერთი დღე

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი ნამუშევარი, ერთგვარი დღიური თემაზე „ჩემი ერთი დღე“. ფურცლებზე თანმიმდევრულად დახატე, რას აკეთებ ერთი ჩვეულებრივი დღის განმავლობაში. შენი ნახატები ფერად, ერთმანეთზე გადაბმულ ფურცლებზე დააწებე, გადაკეცე და დღიურიც მზად იქნება. საკუთარი ჩანაფიქრის გადმოსაცემად გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი.

მასწავლებელს კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებული შემდეგი რჩევები შეუძლია მისცეს მოსწავლეებს:

- ცალ-ცალკე ფურცლებზე დახატე, რას აკეთებ მთელი დღის განმავლობაში.
- ფურცლები ერთმანეთზე გადაბმულ ფერად ბარათებზე დააწებე, გადაკეცე და დღიურიც მზად იქნება.
- წინასწარ კარგად გაიაზრე, რა თანმიმდევრობით ასრულებ რაიმე საქმიანობას ერთი ჩვეულებრივი დღის განმავლობაში. თითოეულ ეპიზოდი (მაგ., გაღვიძება, საუზმე, სასკოლო ჩანთის მომზადება, გზა სახლიდან სკოლისაკენ და ა. შ.) ცალკე ფურცელზე გამოსახე.
- მოიფიქრე, რა ზომის ფურცლებზე გინდა შენი დღიურის შექმნა. ფურცლის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მთლიანი დღიურის (ერთმანეთის მიყოლებით ფერად ქაღალდზე დაწებებული ცალკეული ნამუშევრები) დათვალიერება ადვილად იყოს შესაძლებელი.
- გაიხსენე, რა საგნები, აქსესუარები დაგჭირდება საუზმის, სწავლის, მეცადინეობის, გართობის, მგზავრობის თუ სხვა ეპიზოდების ასახვისას და მათი გამოსახვისას გამოიყენე კონტური.
- ასევე, მოიფიქრე, როგორი ტიპის ხაზი უნდა გამოიყენო საკუთარი თავის ან მეგობრების გამოსახვისას.
- გადაწყვიტე, ადამიანებს, ბუნების ხედებს, სხვადასხვა საგანს როგორი ფორმის გამოყენებით შექმნი.
- სცადე და სხვადასხვა ტიპის ფერით მიგვახვედრე, როგორ გუნებაზე ხარ ხოლმე დილაობით, ან რას განიცდი, როდესაც გოლს გაიტან მოწინააღმდეგის კარში.
- ფერით იმ ემოციის გადმოცემაც შეიძლება, როდესაც სევდიან ამბავს კითხულობ წიგნში და შენც სევდიანდები.
- მთელი დღის მანძილზე შენი თავგადასავლების ზუსტად მოსაყოლად და სურათებში ასასახად, გადაწყვიტე, რომელ მასალას და ტექნიკას გამოიყენებ.

შენიშვნა: კომპლექსური დავალების შესაქმნელად მოსწავლემ სხვადასხვა ტიპის სამუშაო უნდა ჩაატაროს. მან უნდა გაიხსენოს ნაბიჯ-ნაბიჯ გავლილი გზა, როდესაც ყოველ გაკვეთილზე ის იღებდა ახალ ცოდნას და ასრულებდა შესაბამის დავალებას; დავალების პირობის შესაბამისად ირჩევდა გამომსახველობით საშუალებებს: ხაზს,

ფორმას, ფერს, კონტურს; ფიქრობდა იმაზე, რომელი მასალა და ტექნიკა გამოეყენებინა; არჩევდა ბუნებრივ და ხელოვნურ რესურსს, ერთი ნამუშევრის ფარგლებში ზოგჯერ ერთად იყენებდა რამდენიმე მასალას და ტექნიკას (მაგ., ხატვა, აპლიკაცია განსხვავებული მასალების გამოყენებით, ხელოვნური რესურსი და ა.შ.). გამომსახველობითი ხერხების, ელემენტებისა და პრინციპების შერჩევა ნამუშევრის მთავარი სათქმელის გამოსახვას, ავტორის შთაბეჭდილების და ემოციის გადმოცემას ისახავს მიზნად.

კომპლექსური ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რატომ გადაწყვიტე დასურათებული დღიურის შექმნა?
- როგორ შეარჩიე დასასურათებლად კონკრეტული ეპიზოდები?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე დღიურზე მუშაობისას.
- როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენე სხვადასხვა ეპიზოდზე მუშაობისას
- რას ფიქრობ, ზუსტად შეასრულე შენი ჩანაფიქრი?
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად დასურათებული დღიურის შექმნისას მიღებული გამოცდილებიდან?

II კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი -** სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური;
- **ფორმა** - მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი 2D;
- **ფერი** - ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი;

3. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნებa: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი.

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი, ერთგვარი დღიური თემაზე „ჩემი ერთი დღე“. ფურცლებზე თანმიმდევრულად დახატე რას აკეთებ ერთი ჩვეულებრივი დღის განმავლობაში. ფურცლები ფერად ბარათებზე დააწებე, გადაკეცე და დღიურიც მზად იქნება. საკუთარი ჩანაფიქრის გადმოსაცემად, გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი.შეარჩიე ნებისმიერი სახატავი მასალა და შესაბამისი ტექნიკა. გაუზიარე თანაკლასელებს, თუ როგორ ატარებთ ერთ ჩვეულებრივ დღეს.

კრიტერიუმი	**სამიზნე ცნება**	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	**ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს საკუთარ თავზე და გარემოზე დაკვირვების შედეგებს. მიზანმიმართულად იყენებს ხაზს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური;იყენებს ფორმას (მარტივი გეომეტრიული) საკუთარი დღიურის შესაქმნელად.გამოირჩევა თანმიმდევრულობით, ორიგინალური მიდგომით, შემოქმედებითად იყენებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკას და **მრავალფეროვან ტექნიკას.** **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას მის მიერ შესრულებულ დღიურში ასახულ ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებაზე.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე	

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება, რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

II თემატური მატრიცა

კლასი: II
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: ჩვენი პლანეტა
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- სამყარო ძალზე მრავალფეროვანი და ცვალებადია;
- სამყაროს მრავალფეროვნებისა და ცვალებადობის ასახვა ჩვენს ნამუშევარში სხვადასხვა სახითაა შესაძლებელი;
- სამყაროს მრავალფეროვნება და მის ცვალებადობა მრავალფეროვანი ტექნიკით სხვადასხვა ხაზით, ფორმითა თუ ფერით შეგვიძლია გადმოვცეთ ნამუშევარში.

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიმეტრიული და ასიმეტ-რიული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი.
- **ხერხები** – რიტმი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია. მარტივი კონსტრუქცია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა, ანაბეჭდი

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატურმორტი

საკითხი – სამყაროში არსებული მრავალფეროვნების, ბუნების ცვალებადობის აღმოჩენა და ასახვა ნამუშევარში.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ შეიძლება ავსახო ჩვენი სამყაროს მრავალფეროვნება და ცვალებადობა?
- როგორ შემიძლია ავსახო ჩემს ნამუშევარში ბუნების ცვალებადობა: ამინდისა და წელიადის დროთათა ცვლა?
- იცვლება თუ არა გარემო: ფერები და ფორმები ბუნების სხვადასხვა მოვლენის დროს ან წელიწადის დროთა ცვლასთან ერთად?

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი ნამუშევარი თემაზე: „როგორ ამინდს გვპირდება ჭიამაია?“

ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭერი და შექმენი ჭიამაიას გამოსახულება. მის გაშლილ ფრთებს შორის მოათავსე ფურცელი. მასზე დახატე ბუნების ხედი; შენი სურვილის მიხედვით გამოსახე ნებისმიერი ამინდი, წელიწადის დრო ან ბუნების რომელიმე მოვლენა.

საგანთაშორისი კავშირები:

თემის ფარგლებში მყარდება კავშირი საგანთან „ბუნება“. მოსწავლეები ამ ბლოკში ეცნობიან დედამიწას, პლანეტებს, ეკოლოგიის საკითხებს, ტყის პრობლემებს, წელიწადის დროებსა და ბუნების მოვლენებს. წინა წელს ისინი ამ საკითხების ერთ ნაწილს (წელიწადის დროებსა და ბუნების მოვლენებს) ნაწილობრივ უკვე გაეცნენ, მაგრამ ახლა ეს საკითხები შედარებით ღრმად მუშავდება. ცხადია, ამ განვლილ მასალას ახალიც ემატება. ამის შედეგად, მოსწავლეები შეძლებენ ბუნებასა და ხელოვნებაში მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას, ცოდნის გამთლიანებას, ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვას, ცოდნის ტრანსფერს და, რაც მთავარია, ცალკეული საკითხების არა მარტო ვერბალურად ჩამოყალიბებას, არამედ შემოქმედებითად გააზრებასაც.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ჭიამაიას სტუმარი

ერთ შორეულ პლანეტაზე ცხოვრობდა საოცარი არსება გუა, რომელსაც საკუთარი მფრინავი ველოსიპედი ჰქონდა. ამ ველოსიპედით გუა ხან ერთ ვარსკვლავს ესტუმრებოდა, ხან მეორეს. ერთხელაც, მოგზაურობის დროს ულამაზესი ცისფერი ბურთი დაინახა და მისკენ გაეშურა. მალე ტყის პირას დაეშვა და დაღლილი იქვე კუნძზე ჩამოჯდა. სად იყო

და სად არა, მის ხელზე პატარა მრგვალი წითელი არსება გაჩნდა, რომელსაც ზურგზე შავი კოპლები ჰქონდა.

– გამარჯობა, ვინ ხარ? – ჰკითხა კოპლებიანმა.

– მე გუა ვარ, შორიდან მოვფრინდი – უპასუხა სტუმარმა, – შენ ვინ ხარ?

– მე ჭიამაია ვარ.

– ჭიამაია, ხომ არ იცი, ახლა სად ვარ?

– შენ დედამიწაზე ხარ – უპასუხა ჭიამაიამ.

ესე იგი, ამ ცისფერ ბურთს დედამიწა ჰქვია – გაიფიქრა გუამ.

– გამაცანი თქვენი დედამიწა – სთხოვა გუამ და როცა ჭიამაიასაგან დასტური მიიღო, ფეხზე წამოდგა და ისინი ერთად გაუდგნენ გზას ტყეში. გზად ერთ ადგილას უამრავი ნაგავი დაინახეს.

– ეს რა არის? რა საშინელი სანახაობაა – შეიცხადა გუამ.

– ეს ადამიანებმა დაანაგვიანეს, ზოგიერთი მათგანი სულ არ უფრთხილდება ამ ჩვენს დედამიწას, მაგრამ არა უშავს, მალე მოსწავლეები მოვლენ და დაასუფთავებენ. ისინი ხშირად ასუფთავებენ ამ ტყეს.

– შენ რას აკეთებ? – ჰკითხა გუამ ჭიამაიას.

– მე ყველა მეკითხება: ჭია, ჭიამაია, ხვალ როგორი დარია? და მეც ვპასუხობ.

– დარი რა არის? – ჰკითხა გუამ.

– აი, ახლა რომ მზე ანათებს, ესე იგი, კარგი დარია.

– და ცუდი დარი რაღაა?

ჭიამაია დაფიქრდა, ცას გახედა და თქვა:

– აი, შორს, ღრუბლებს ხომ ხედავ, წამოდი იქით და გაჩვენებ რა არის ავდარი.

– წავიდეთ! – შეჰყვირა გუამ და ისინი იქით გაემართნენ, სადაც შავი ღრუბლებიშეყრილიყო ცაზე.

იმ ადგილს რომ მიუახლოვდნენ ქარმა ძლიერად დაბერა, ფოთლები აიტაცა, ჰაერში დაატრიალა, ციდან კი წყლის წვეთები წამოვიდა.

– წვიმს, აი ესაა ავდარი. ახლა მაგრად დასცხებს, წამოდი ტყეში დავბრუნდეთ და იქ შევაფაროთ თავი – შესთავაზა გუას ჭიამაიამ.

ორივენი თავქუდმოგლეჯილი ისევ ტყისაკენ გაიქცნენ და ერთ დიდ ხეს შეაფარეს თავი. ცოტა ხანში წვიმამ გადაიღო და შორს ცაზე ულამაზესი სხვადასხვაფრად მოელვარე რკალი გაჩნდა.

– რა სილამაზეა! – აღმოხდა გუას.

– ეს ცისარტყელაა, რომელიც წვიმის შემდეგ ჩნდება ხოლმე ცაზე.

გაოგნებული გუა დიდხანს უყურებდა ცისარტყელას და ტკბებოდა მისი სილამაზით. მერე დაიღალა და მიწაზე ჩამოჯდა, რომელზეც უამრავი ყვითელი ფოთოლი ეყარა.

– რატომ ყრია ეს ფოთლები მიწაზე? – იკითხა გუამ.

– იმიტომ, რომ შემოდგომაა – უპასუხა ჭიამაიამ.

– შემოდგომა რა არის? – არ ისვენებდა გუა

– შემოდგომა წელიწადის დროა, ისეთი დრო, როცა ხეებზე ფოთლები ყვითლდება და ნელ–ნელა ცვივა ძირს. ზამთარში კი ხეები სულ მთლად შიშვლდებიან.

– და ზამთარი რაღაა? – ახლა ამის გაგება მოუნდა გუას.

– ზამთარიც წელიწადის დროა, რომელიც შემოდგომას მოსდევს. ზამთარში ძალიან ცივა, ხანდახან თოვლიც კი მოდის. ციდან ფიფქები ცვივა და თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, არემარე თოვლით იფარება.

– ეგ როდის იქნება? –იკითხა გუამ.

– როცა შემოდგომა გაივლის – უპასუხა ჭიამაიამ.

– როგორ მინდა ზამთრის ნახვა! – შეჰყვირა გუამ.

– მერე დარჩი ჩვენთან და ზამთარიც მალე მოვა – შესთავაზა ჭიამაიამ.

– არა, ახლა სახლში უნდა დავბრუნდე, მაგრამ აუცილებლად კიდევ გესტუმრები. შენ იმდენი საინტერესო რამ მომიყევი თქვენი დედამიწის შესახებ, იმდენი ლამაზი რამ მაჩვენე, რომ აუცილებლად დავბრუნდები. შენ უკვე ჩემი მეგობარი ხარ. დიდი მადლობა, რომ თქვენი დედამიწა გამაცანი – უთხრა გუამ ჭიამაიას, საკუთარ მფრინავ ველოსიპედს მოახტა, ჭიამაიას ხელი დაუქნია და გაფრინდა.

ვინ იცის, გაგრძელდება კი გუასა და ჭიამაიას მეგობრობა?

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.).	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • როგორი ამინდი, ბუნების რომელი მოვლენა ან წელიწადის რომელი დრო აირჩიე ჭიამაიას ფრთებს შორის მოთავსებული ნახატისათვის და რატომ? • როგორი ფორმები და ხაზები გამოიყენე ნახატის შექმნისას? • რომელი ფერები გამოიყენე ნახატის შექმნისას: ძირითადი თუ შედგენილი, თბილი თუ ცივი, მუქი თუ ღია და რატომ?

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა. • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორ გამოვსახოთ ბუნების თითოეული მოვლენა და მისი დამახასიათებელი ნიშნები?
- როგორი ტიპის ხაზები, ფერები და ფორმები გამოვიყენო ბუნების მოვლენების (წვიმის, ქარის, ცისარტყელას) გამოსასახად?
- რომელი ცივი და თბილი ფერებით გამოვსახო წელიწადის დროები – შემოდგომა და ზამთარი?
- რომელი მუქი და ღია ფერები გამოვიყენო წელიწადის დროების ან ბუნების მოვლენების გამოსახვისას?
- როგორი ფერები და ფორმები გამოვიყენო ჭიამაიას გამოსასახად?
- როგორ დავუკავშირო ფერადი ქაღალდებისაგან ჩემ მიერ შექმნილი ჭიამაიას ფორმებს ბუნების მოვლენებისა და წელიწადის დროების ამსახველი ნახატები?

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლემ დაინახოს/ გააცნობიეროს, რომ მას ხელოვნების საშუალებით შეუძლია გამოსახოს მის გარშემო არსებული სამყარო, მისი მრავალფეროვნება: პლანეტები, ბუნების ხედი, წელიწადის დროები, სხვადასხვაგვარი ამინდი ან ბუნების მოვლენები და ამისათვის გამოიყენოს ფერები, ფორმები, სხვადასხვა ტიპის ხაზებით.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომ-სახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიმეტრიული და ასიმეტრიული;
- **ფერი** – ღია და მუქი;
- **ხერხები** – რიტმი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია, მარტივი კონსტრუქცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)
ქვეცნება: პეიზაჟი

რესურსები: მოსწავლის სახელმძღვანელო, **გაკვ 9. ჩვენი დედამიწა; გაკვ. 10. უცხო პლანეტა; გაკვ. 11. ტყე; გაკვ. 12. დედამიწის დღე.**

https://www.facebook.com/watch/?v=3644997588906939

https://www.youtube.com/watch?v=KD91-SlaLWc

გაკვ. 7. ჩვენი დედამიწა

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით.
შეკითხვები:

- თუ იცით, როგორი ფორმა აქვს დედამიწას?
- ვხედავთ თუ არა ჩვენ თვალით, რომ დედამიწას მრგვალი ფორმა აქვს?
- საიდან შეიძლება დავინახოთ დედამიწის მრგვალი ფორმა?
- თუ იცით, ადამიანთაგან ვინ დაინახა პირველად დედამიწა, როგორც მრგვალი ცისფერი ბურთი?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს. თუ მოსწავლეები ვერ პასუხობენ რომელიმე შეკითხვას, მასწავლებელი მათ აწვდის ინფორმაცია. მაგ., შესაძლოა, რომ მოსწავლეებმა არ იცოდნენ პასუხი შეკითხვაზე: „ადამიანთაგან ვინ დაინახა პირველად დედამიწა, როგორც მრგვალი ცისფერი ბურთი?“, მასწავლებელმა მათ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მთვარეზე გაფრენილი ასტრონავტების შესახებ, რომლებმაც პირველად დაინახეს დედამიწა კოსმოსიდან და „პატარა ცისფერი ბურთი“ უწოდეს მას.

ინფორმაცია: მთვარეზე პირველი ნაბიჯი ადამიანმა 54 წლის წინ დადგა. პირველი ადამიანები, ხომალდით ჩავიდნენ მთვარეზე, იყვნენ ამერიკელი ასტრონავტები ნეილ არმსტრონგი, ედვინ ალდრინი და მაიკლ კოლინზი. მთვარეზე ხომალდის დაჯდომიდან რამდენიმე საათის შემდეგ ნეილ ამსტრონგმა პირველმა დაადგა ფეხი მთვარეს და ცოტა გაისეირნა კიდეც მის ზედაპირზე.
„ეს იყო მართალია ჩემთვის პატარა, მაგრამ კაცობრიობისათვის გადადგმული უდიდესი ნაბიჯი“ – განაცხადა შემდგომში არმსტრონგმა.

http://astronet.ge/16-2/

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას და აცნობს დავალების პირობას.

დავალების პირობა:
შეარჩიე შესაბამისი გეომეტრიული ფორმა, ფერი და დახატე დედამიწა ისეთი, როგორიც ის კოსმოსიდან დაინახეს კოსმონავტებმა.

შეკითხვები:

- როგორი გეომეტრიული ფორმით გამოსახავ დედამიწას?
- როგორი ხაზების გამოყენება დაგჭირდება დედამიწის გამოსახვისას?
- რომელ ფერებს გამოიყენებ დედამიწის დასახატად?

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ დედამიწას, იყენებენ მარტივ გეომეტრიულ ფორმას – წრეს. შემდეგ სხვადასხვაგვარი ხაზებით (კლაკნილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ტალღოვანი და სხვ.) ზედ მონიშნავენ ფორმებს, შემდეგ კი დაიწყებენ ფერებით მუშაობას. მათ შეუძლიათ გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე, როგორ გამოსახა დედამიწა კოსმოსიდან, როგორი ხაზები და რომელი მარტივი გეომეტრიული ფორმები გამოიყენა. იგი ასახელებს ნამუშევარში გამოყენებულ ხაზებს, ფორმებსა და ფერებს.

გაკვ. 8. მოგზაურობა რაკეტით

1. მასწავლებლის აქტივობა:
შეკითხვა:

- გსმენიათ თუ არა რაიმე სხვა პლანეტების შესახებ?

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის თემას, თუ როგორ იმოგზაურეს ადამიანებმა მთვარეზე, რაც კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება იყო. აქ მან მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომ კოსმოსში მთვარის გარდა კიდევ მრავალი რამაა, ბევრი პლანეტაა, რომლებსაც სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს, აჩვენოს ამ პლანეტების ფოტოები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული.
შეკითხვა:

- იმაზე თუ გიოცნებია, რომ რაკეტაში ჩაჯდე და დედამიწას გასცდე, იმოგზაურო კოსმოსში?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს და შესაძლებელია, რომ მათი ფანტაზია უსაზღვრო იყოს; მათ შეიძლება იცოდნენ სხვადასხვა პლანეტის არსებობის შესახებ ან საკუთარი ფანტაზიით წარმოიდგინონ პლანეტები, იქ არსებული გარემო.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ, მათი თანატოლების მიერ შექმნილ ნამუშევრებს, რომლებზეც კოსმოსი – პლანეტები და

რაკეტებია გამოსახული და აღწერონ ისინი.
ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეებმა დაასახელონ ამ ნამუშევრებში გამოყენებული გეომეტრიული ფორმები: წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ოვალი. გარდა ამისა, აღწერონ, თუ როგორი ხაზებია გამოყენებული, მაგ., ღრუბლები ხვეული ხაზებითაა წარმოდგენილი, რაკეტიდან გამომავალი კვამლი გრძელი სწორი ხაზებით და ა.შ. მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმასაც, რომ ზოგიერთ ნამუშევარს შავი ფონი აქვს, ზოგს – მუქი ლურჯი, ერთ-ერთს კი – ღია ცისფერი. მოსწავლეებს შეიძლება ყურადღება გავამახვილებინოთ იმაზეც, რომ როდესაც ფონი მუქია, სიბნელის ანუ ღამის შთაბეჭდილება იქმნება და შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რაკეტა ღამე მიფრინავს კოსმოსში. როდესაც ფონი ღია ცისფრითაა გამოსახული, მაშინ დღის შთაბეჭდილება იქმნება. ასე რომ, მოსწავლეები ფონის აღწერის დროს ერთ–ერთი სამიზნე ცნებას – ღია და მუქ ფერებს – აითვისებენ. მასწავლებელი ასევე უხსნის მისწავლეებს, რომ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც სახატავი კომპიუტერული პროგრამების საშუალებითაა შექმნილი.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები აღწერენ მათი თანატოლების მიერ დახატულ თუ კომპიუტერული სახატავი პროგრამებით შექმნილ ნამუშევრებს. ამ აქტივობისას ისინი ხედავენ და აცნობიერებენ, თუ რომელი გეომეტრიული ფორმებისა და როგორი ხაზების გამოყენებაა შესაძლებელი რაკეტის თუ გარემოს დახატვისას, როგორ შეიძლება მუქი და ღია ფერების გამოყენება მიზანმიმართულად ფონისათვის ამ ნამუშევარში.
მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას და აცნობს დავალების პირობას.

დავალების პირობა:
დახატე ფურცელზე ან კომპიუტერული სახატავი პროგრამის დახმარებით გამოსახე რაკეტა, რომლითაც გაფრენა გინდა; შენს ნამუშევარზე გამოსახე პლანეტებიც. გამოიყენე შესაბამისი ფორმები და ფერები.

შენიშვნა: რომელ სკოლაშიც ამის შესაძლებლობა იქნება, სასურველია, ეს დავალება სწორედ კომპიუტერული პროგრამების საშუალებით შესრულდეს.

შეკითხვები:

- რომელ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს გამოიყენებ შენი რაკეტის დასახატად და რატომ?
- რომელ ფერებს გამოიყენებ რაკეტის გამოსასახად?
- რა ფერის იქნება შენი უცხო პლანეტა და რატომ?
- რა ფერის იქნება შენი ფურცელი, რომელზეც რაკეტასა და უცხო პლანეტას დახატავ და რატომ?
- როგორ ხაზებს გამოიყენებ პლანეტისა და რაკეტის, ასევე, ღრუბლების დასახატად?

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ რაკეტას და მისი შესრულებისას იყენებენ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს: ოვალს, სამკუთხედს, კვადრატს და სხვ. შესაძლოა, მათ სხვადასხვა ტიპის ხაზით რაკეტაზე გამოსახულებებიც დახატონ;
- მოსწავლეები მიზანმიმართულად ირჩევენ ფონის ფერს;

- რაკეტას ისინი თავისი სურვილისამებრ აფერადებენ;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე, როგორ გამოსახა რაკეტა, როგორია მისი უცხო პლანეტა, როგორი ფორმა აქვს მას, რა ფერისაა ის. როგორი ხაზები და რომელი მარტივი გეომეტრიული ფორმები გამოიყენა ამ ნამუშევრის შესაქმნელად და რატომ.

<u>გაკვ. 9. ტყე</u>

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ტყის შესახებ შეკითხვებით.
შეკითხვები:

- ყოფილხართ როდისმე ტყეში? როგორი შთაბეჭდილება მოუხდენია ტყეს თქვენზე?
- თუ იცით, როგორი ტყეები არსებობს (წიწვოვანი და ფოთლოვანი, დაბურული, უღრანი, მეჩხერი და ა.შ.)?
- ახსენით, რას ნიშნავს თითოეული მათგანი: წიწვოვანი და ფოთლოვანი, დაბურული, უღრანი, მეჩხერი და ა.შ.
- თუ იცით, რა სარგებელს გვაძლევს ტყე (სუფთა ჰაერი, შეშა, საკვები)?
- ყველამ რომ გაჩეხოს ტყე, რა მოხდება?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს და პასუხების დროს მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს მათი მსჯელობა, რომ ნათლად გამოიკვეთოს ტყის როლი ადამიანთა ცხოვრებაში. მოსწავლეებმა ნათლად უნდა გააცნობიერონ, რომ ტყე გვაძლევს სუფთა ჰაერს, რაც აუცილებელია ადამიანისათვის. ასევე, ტყე ადამიანებს აძლევს შეშას, რომლითაც ისინი ზამთარში თბებიან. მაგრამ აქ მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვა: ყველამ რომ გაჩეხოს ტყე, რა მოხდება? ამ კითხვა-პასუხის შედეგად მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს, უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ხეს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ გაკვეთილის პირველ გვერდზე მოცემულ, მხატვრების მიერ შექმნილ ბუნების ხედებს (პეიზაჟებს) და აღწერონ ისინი.

შეკითხვები:

- რა არის გამოსახული ამ ნამუშევრებზე (ტყის ხედები);
- დააკვირდით სეზანის ორ ნამუშევარს ტყის გამოსახულებით. ჩამოთვალეთ, რომელ ფერებს იყენებს მხატვარი თითოეულ ამ ნამუშევარში და რა განსხვავებაა ფერის თვალსაზრისით მათ შორის? (ერთი მუქი ფერებითაა შესრულებული, მეორე კი – უფრო ღიათი).
- როგორი განწყობილებაა სეზანის თითოეულ ნამუშევარში და განსხვავდება თუ არა ეს ორი ნამუშევარი ამ მხრივ?

მოსწავლის აქტივობა:
ეს აქტივობა მოსწავლეს დაანახებს, რომ მუქი და ღია ფერების საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი განწყობილების შექმნა ნამუშევარში.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სწორკუთხედებში ჩასმულ ფერებს

და აცნობს მათ, რომ ფერი შეიძლება იყოს მუქი ან ღია.

- სწორკუთხედების პირველი წყვილიდან? (ლურჯი და ყვითელი) რომელია მუქი ფერი და რომელი ღია (ლურჯი მუქი ფერია, ხოლო ყვითელი – ღია).

გარდა ამისა, მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ ერთიდაიგივე ფერი შეიძლება მუქიც იყოს და ღიაც. მაგ., სწორკუთხედების მეორე წყვილზე მუქი და ღია მწვანე ფერებია წარმოდგენილი, ხოლო მესამეზე – მუქი და ღია ლურჯი. მასწავლებელი მაგიდაზე აწყობს სხვადასხვა ფერად ფურცლებს, რომელთაგან ზოგი ღია ფერისაა და ზოგი – მუქის. აქვე დევს ორი კოლოფი, ერთში მოსწავლეებმა მუქი ფერის ფურცლები უნდა ჩააწყონ, მეორეში კი – ღია ფერის. მოსწავლეები რიგრიგობით გამოდიან და შესაბამის ყუთებში აწყობენ ფერად ბარათებს. შემდეგ მასწავლებელი იღებს ამ ფურცლებს ყუთებიდან, ორ რიგად განალაგებს მაგიდაზე და მოსწავლეები მსჯელობენ, რამდენად სწორად დააჯგუფეს ფერები ღიაობისა და სიმუქია მიხედვით.

მასწავლებლის აქტივობა:
ახლა მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ კლოდ მონეს სურათს ხეების გამოსახულებით და აღწერონ, როგორაა მასზე განლაგებული ხეები. შემდეგ შეადარონ მათი განლაგება სეზანის სურათებზე გამოსახული ხეებისას და თქვან, რა განსხვავებაა მათ შორის.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეებმა ამ დავალების შესრულებისას უნდა აღნიშნონ, რომ სეზანის ნამუშევრებზე ხეები თავისუფლადაა განლაგებული, მათი ტოტები და ტანი სხვადასხვა მხარესაა გადახრილი (ანუ მათი განლაგება ქაოსურია). შესაძლებელია, მათ ეს ტერმინი „ქაოსური“ არ იცოდნენ და სხვა სიტყვებით აღწერონ ამ ხეების განლაგება, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია აუხსნას, რომ ასე არათანაბარ განლაგებას შიძლება ქაოსური ვუწოდოთ, ხოლო მონეს ნამუშევარზე კი ხეები მოწესრიგებულადაა წარმოდგენილი. მათი ფორმები მსგავსია და ეს მსგავსი ფორმები რამდენჯერმე მეორედება. ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეები დაინახავენ, რომ მონესთან ხეების მსგავსი ფორმები მეორდება და ერთ რიგადაა გამწკრივებული.

მასწავლებლის აქტივობა:
ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამცნობს, რომ როდესაც მსგავსი ფორმები თანაბარი მანძილებითაა დაშორებული და მეორდება, სურათზე იქმნება რიტმი. ამ აქტივობის შედეგად მოსწავლეები გაეცნობიან რიტმის ცნებას, რის შემდეგაც მასწავლებელი ატარებს მცირე ექსპერიმენტს. მას წინასწარ დაფაზე მომზადებული აქვს დიდი ფორმატი და ქაღალდისგან გამოჭრილი ფოთლოვანი ხეები და ნაძვები. იგი ორ ან სამ გამოჭრილ ფოთლოვან ხეს ფორმატზე აწებებს და ახლა მოსწავლეებს სთხოვს, ისე გააგრძელონ ეს რიგი, რომ რიტმი შეიქმნას.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები რიგ-რიგობით გამოდიან დაფასთან, სხვადასხვა ფორმის ხეებს შორის არჩევენ ზუსტად იმგვარ ხეს, რომელიც მასწავლებელმა დააწება და აგრძელებენ ხეების რიგს. აქ მნიშვნელოვანია, რომ მათ ხეებს შორის დაიცვან თანაბარი მანძილები, რათა რიტმი მწყობრი გამოვიდეს. ამ აქტივობის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: შეიქმნა თუ არა რიტმი ფორმატზე? რაზეც მოსწავლეებმა, თუ მსგავსი ფორმის ხეები გამოიყენეს და მათ შორის ტოლი მანძილები დაიცვეს, დადებითად უნდა უპასუხონ. ამ სავარჯიშოს შემდეგ, მოსწავლეებს წარმოდგენა შეექმნებათ რიტმის შესახებ.
ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ხეების მეორე რიგი გააკეთონ, რომელშიც ისინი მონაცვლეობით ფოთლოვან ხესა და ნაძვის ხეს განალაგებენ და

ამგვარად შექმნიან რიტმს ფორმატზე ანუ რიტმულად განალაგებენ მათ.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ გაკვეთილის მომდევნო გვერდზე წარმოდგენილი მხატვრებისა და მათი თანატოლების ნამუშევრები და უპასუხონ შეკითხვებს.

შეკითხვები:

- როგორი ტყეებია გამოსახული ამ ნამუშევრებზე?
- არის თუ არა აქ ხეებით შექმნილი რიტმი?

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას და აცნობს პირობას.

დავალების პირობა:
შექმენი ტყის ხედი. ხეები განალაგე ისე, რომ ნამუშევარში რიტმი შეიქმნას. მუქი და ღია ფერები გამოიყენე იმის მიხედვით, თუ როგორი განწყობილების შექმნა გინდა.

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ტყეს. თავისი სურვილით შეარჩევენ ამ ტყეში ფოთლოვან ხეებს გამოსახავენ, თუ წიწვოვანს; შესაძლოა, მათ შერეული ტყეც დახატონ.
- ისინი ტყეში ხეებს რიტმულად გამოსახავენ. ფერებს კი (მუქი, ღია) იმის მიხედვით არჩევენ, თუ როგორი განწყობილების შექმნა უნდათ ნამუშევარში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეულ სახატავი მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა ტყე, წიწვოვანი ტყე გამოსახა თუ ფოთლოვანი, როგორი ფორმის ხეები დახატა და როგორ განალაგა ისინი რიტმულად.

<u>გაკვ. 10. პეპელა</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი იწყებს გაკვეთილს საუბრით, ახსენებს მოსწავლეებს, რომ წინა გაკვეთილზე მათ ტყეებისა და ხეების შესახებ ისაუბრეს, აჩვენებს მათ წიგნში მოცემულ ორ ხეს და უსვამს შეკითხვას:

- როგორი ფორმა აქვს ამ ხეებს? აღწერეთ ისინი.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ორივე ხე და დაინახონ განსხვავება მათ ფორმებს შორის. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა აღნიშნონ, რომ პირველ შემთხვევაში ხის ორივე მხარე (ანუ მისი მწვანე ტოტები) ერთმანეთის ტოლია, ხოლო მეორე შემთხვევაში, მარჯვენა მხარეს ტოტები მეტია, ვიდრე მარცხენა მხარეს ანუ ხის მარჯვენა ნაწილი უფრო დიდია, ვიდრე მარცხენა.

მასწავლებლის აქტივობა:
მოსწავლეთა პასუხის შემდეგ, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ თუ საგნის ორივე

მხარე თანაბარია ანუ ერთი ზომისაა, მაშინ ამ საგანს სიმეტრიული ფორმა აქვს, ხოლო თუ საგნის ერთი მხარე უფრო დიდია, ვიდრე მეორე, მაშინ ასეთ ფორმას ასიმეტრიულს უწოდებენ. იგი უსვამს შეკითხვას მოსწავლეებს:

- გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ საგნები, მწერები, რომლებსაც ორივე მხარე ტოლი აქვს ანუ რომლებსაც სიმეტრიული ფორმა აქვს.
- ხომ არ გახსენდებათ ისეთი საგნები, რომლებსაც ასიმეტრიული ფორმა აქვს, ჩამოთვალეთ ისინი.

შეკითხვებზე პასუხის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წიგნში მოცემული გამოსახულებები (ხეები, მაისური, თვითმფრინავი, ფანჯრები, ნაგებობები) აღწერონ და განსაზღვრონ, რომელ მათგანს აქვს სიმეტრიული და რომელს – ასიმეტრიული ფორმა.

სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნებების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს პეპლის გამოსახულებას. მას შეუძლია წინასწარ დიდ ფორმატზე დახატული პეპელა აჩვენოს მოსწავლეებს, ვისაც საშუალება აქვს, ეკრანზე პროექტორით აჩვენოს ფერადი პეპლების გამოსახულებები და მოსწავლეებს დაუსვას შეკითხვა: როგორი ფორმა აქვს პეპელას, სიმეტრიული თუ ასიმეტრიული? მოსწავლეების პასუხის შემდეგ, რომ პეპელას სიმეტრიული ფორმა აქვს, მასწავლებელი მოსწავლეებს უყვება ამბავს ფარფატა პეპლის შესახებ:

„ერთ უღრან ტყეში უდარდელად ცხოვრობდა ულამაზესი პეპელა, რომელიც მთელი დღეები დაუღალავად დაფარფატებდა. მას ულამაზესი სხვადასხვაფრად მოჩითული, ზუსტად ერთმანეთის ტოლი ორი ფრთა ჰქონდა.

ამ ადგილზე მასწავლებელს შეუძლია შეკითხვა ჩართოს: ანუ როგორი ფორმა ჰქონია პეპელას? მოსწავლეთა პასუხის (სიმეტრიული ფორმა) შემდეგ კი გააგრძელოს თხრობა).

ერთხელაც პეპელა ფრთით ხის უხეშ მერქანს გამოედო და ცალი ფრთა მოწყდა. პეპელამ ფრენა ვეღარ შეძლო და მიწაზე დაეშვა. აბა ვის გაუგია პეპელა მიწაზე დაბობღავდეს? დადარდიანდა ფრთამოტეხილი პეპელა. ალბათ ვეღარასდროს შევძლებ ფრენას – ფიქრობდა ის და მიწაზე გაუნძრევლად იწვა.
მასწავლებელს ამ ადგილზეც შეუძლია ჩართოს შეკითხვა: ახლა როგორი ფორმა აქვს ამ ჩვენს პეპელას. მოსწავლეთა პასუხის (ასიმეტრიული ფორმა) შემდეგ კი კვლავ გააგრძელოს თხრობა.

სად იყო და სად არა, ხიდან ობობა ჩამოჰყვა თავისსავე გაბმულ „ძაფს“ და ზუსტად პეპლის გვერდით დაეშვა.
– რა მოგივიდა? – ჰკითხა ობობამ პეპელას?
– ფრთა მოვიტეხე და ვეღარ დავფრინავ. აგერ, ხედავ ჩემი მოტეხილი ფრთა მიწაზე აგდია – ატირდა პეპელა.
ობობას ძალიან შეეცოდა პეპელა. იქვე ჩამოჯდა და დაფიქრდა, რით დახმარებოდა მას. ცოტა ხნის შემდეგ ფეხზე წამოხტა და დაიყვირა:
– მოვიფიქრე, მოდი ამ მოტეხილ ფრთას ჩემი ძაფებით მიგიმაგრებ!
ეს თქვა თუ არა, მოტეხილი ფრთა აიღო და პეპელას მიუმაგრა. ზემოდან თავისი ძაფები გადაექსოვა და საქმეს რომ მორჩა პეპელას უთხრა:
– აბა, დაიქნიე ფრთები, ვნახოთ თუ გაფრინდები.
პეპელამ ფრთები დაიქნია. თავიდან ცოტა გაუჭირდა, დაბლა–დაბლა დაიწყო ფარფატი, მაგრამ მერე მხნედ გაშალა ორივე ფრთა და გაფრინდა.
– დიდი მადლობა, ობობა, დიდი მადლობა – ამბობდა გახარებული პეპელა და ობობას თავისი ლამაზი ფრთებით თავს დასტრიალებდა“.

მასწავლებლის აქტივობა:
ამ მოთხრობის გაცნობის შემდეგ, მასწავლებელს კვლავ შეუძლია დაუსვას შეკითხვა მოსწავლეებს: ობობას დახმარების შემდეგ როგორი ფორმა აქვს პეპელას? (პასუხი: სიმეტრიული).
მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას და აცნობს პირობას.

დავალების პირობა:
შექმენი პეპლის გამოსახულება ანაბეჭის ტექნიკით. დააწებე საერთო ფორმატზე შენი თანაკლასელების ნამუშევრებთან ერთად.

- აიღეთ სახატავი ფურცელი, გაკეცეთ შუაზე და ცალ მხარეს საღებავებით გამოსახეთ მასზე პეპლის ცალი ფრთა.
- შემდეგ გადაკეცეთ ფურცელი და გააკეთეთ ცალი ფრთის ანაბეჭდი ფურცლის მეორე გვერდზე ისე, რომ სიმეტრიული ფორმა მიიღოთ.
- საღებავის გაშრობის შემდეგ გამოჭერით პეპლის გამოსახულება, დააკარით დიდ ფორმატზე და ასე შექმენით თქვენი კლასის პეპლების სტენდი.

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: მოსწავლეები შუაზე გაკეცილ სახატავ ფურცელზე ჯერ ფანქრით მოხაზავენ პეპლის ცალ ფრთას, მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს მისცეს რჩევა, რომ პეპლის კონტური ანუ მისი ფრთების ფორმა ქაღალდზე ჯერ ფანქრით მოხაზონ, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვაგვარი ხაზი (ტეხილი, ტალღოვანი და სხვ.).
- შემდეგ მოსწავლეები საღებავებით აფერადებენ ფრთას. ამ შემთხვევაშიც მასწავლებელმა მათ უნდა შეახსენოს, რომ პეპლებს ფერად–ფერადი ფრთები აქვთ და მათ მრავალი მუქი და ღია ფერის გამოყენება შეუძლიათ.
- ცალი ფრთის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებმა ქაღალდი უნდა გადაკეცონ და ფორმატის მეორე გვერდზე ანაბეჭდის სახით გადაიტანონ ფრთის გამოსახულება, რის შედეგედაც ისინი სიმეტრიულ ფორმას მიიღებენ. მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეებს, რომ ფორმატის გადაკეცვის შემდეგ, ზემოდან გაუსვან ხელი, რათა გამოსახულება კარგად გადავიდეს ცარიელ არეზე.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ მიიღო ანაბეჭდის ტექნიკით პეპლის სიმეტრიული ფორმა.

<u>გაკვ. 11. დედამიწის დღე</u>

რესურსი:

<u>https://www.facebook.com/watch/?v=349342856023044</u>

<u>https://www.youtube.com/watch?v=Ids5mkUuDjA</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით.

შეკითხვები:

- რას ფიქრობთ, უფრთხილდებიან თუ არა ადამიანები დედამიწას?
- იცით თუ არა, რომ ყოველ წელს 22 აპრილს მთელი სამყარო დედამიწის დღეს აღნიშნავს?
- რატომ აღვნიშნავთ დედამიწის დღეს?

- როგორ უნდა მოვუაროთ დედამიწას?
- რატომ უნდა მოვუაროთ დედამიწას?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეების პასუხის დროს, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ ძირითადი მიმართულება ამ კითხვა–პასუხისა ეკოლოგიის საკითხებისაკენ იყოს მიმართული. მოსწავლეებმა ისაუბრონ იმაზე, რომ ადამიანები უნდა გაუფრთხილდნენ ბუნებას, არ გაჩეხონ ტყეები (რაც უკვე იციან წინა გაკვეთილიდან), არ დააბინძურონ გარემო: ტყეები, მდინარეები, ზღვები, ზღვის სანაპირო ზოლი და ა.შ. ასევე, უნდა ისაუბრონ, თუ რატომ უნდა დაიცვან ბუნება, რა ვნება მოაქვს გარემოს დაბინძურებას.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ ამ დღეს ადამიანები ყველა ქვეყანაში გადიან ბუნებაში და ასუფთავებენ ადამიანის მიერ დაბინძურებულ გარემოს: ტყეებს, ზღვის სანაპირო ზოლს, პარკებს, სკვერებს და ა.შ.

შეკითხვები:

- თქვენ გარშემო არსებობს თუ არა დაბინძურებული ადგილები და სად?
- გიჩნდებათ თუ არა სურვილი, რომ გაასუფთაოთ და დაალაგოთ ეს ადგილები და რატომ?

მოსწავლის აქტივობა:
კითხვებზე პასუხის დროს, მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საშუალება, აღწერონ, სად უნახავთ დანაგვიანებული გარემო და როგორი შთაბეჭდილება მოუხდენია მას. ცხადია, მოსწავლეებზე დანაგვიანებული გარემო ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რაც იმის საფუძველია, რომ მასწავლებელმა თავად შეაფასებინოს მოსწავლეებს, რომ ნაგვის დაყრა ბუნებაში არ არის კარგი საქციელი და რომ ეს ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გაისიგრძეგანოს. ცხადია, ამ საკითხზე მსჯელობის შედეგად, მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, მოსწავლეები უკვე გამოთქვამენ დანაგვიანებული ბუნების ადგილების დასუფთავების სურვილს.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ნამუშევრები და აღწერონ თითოეული მათგანი, ისაუბრონ, რა არის გამოსახული ამ ნამუშევრებზე. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს.

შეკითხვები:

- როგორ გამოხატავს წიგნში მოცემული ნამუშევრები დედამიწის დაცვის, მასზე ზრუნვის იდეას.
- როგორ ფორმებსა და ფერებს იყენებენ ამ ნამუშევრების ავტორები და რატომ?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები ამ ნამუშევრების განხილვისას, ალბათ ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ დედამიწა, რომელსაც ავტორმა სახე დაახატა, ერთ ნამუშევარზე მოწყენილი და გაბრაზებულიც კია, რადგან ქარხნების გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს. მეორეზე დედამიწას სამედიცინო ნიღაბი აქვს აფარებული, რაც ასევე ჰაერის დაბინძურებაზე და ამ დაბინძურების გამო სხვადასხვა სახის ინფექციების გავრცელებაზე მეტყველებს. მესამე ნამუშევარზე დედამიწას ხელში ქოთანში ჩარგული ყვავილი უჭირავს და თითქოს ადამიანებს აწვდის, რაც იმის ნიშანია, რომ ჩვენ, ადამიანებმა მცენარეებს უნდა მოვუაროთ და გავახაროთ. რამდენიმე ნამუშევარზე გამოსახულია ადამიანთა ხელები, რომლებიც

დედამიწის გარშემოა განლაგებული, რაც მიგვანიშნებს, რომ ადამიანს საკუთარი ხელით შეუძლია დედამიწის მოვლა, მასზე ზრუნვა.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას და აცნობს პირობას.

დავალების პირობა:
დახატე ან აპლიკაციის ტექნიკით შეასრულე დედამიწის დღესთან დაკავშირებული ნამუშევარი. შეგიძლია, მარტივი კონსტრუქციაც გააკეთო.

შეკითხვები:

- რას გამოსახავ დედამიწის დღესთან დაკავშირებულ ნამუშევარზე და რატომ?
- რომელ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს გამოიყენებ შენს ნამუშევარში?
- როგორ ხაზებსა და ფერებს გამოიყენებ შენს ნამუშევარში?
- რომელ მასალასა და ტექნიკას გამოიყენებ?

პრაქტიკული სამუშაო

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ან აპლიკაციის ხერხით ასრულებენ ან მარტივი კონსტრუქციით ქმნიან დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ნამუშევარს. მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეულ მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი, ფერადი ქაღალდები, მუყაო და სხვ.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ ეხმაურება მისი ნამუშევარი დედამიწის დღეს; რომელი მასალა და ტექნიკა გამოიყენა, რომელი გეომეტრიული ფორმები, როგორი ხაზები და ფერები გამოიყენა ნამუშევრის შექმნისას და რატომ.

ნაბიჯი 2.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომ-სახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები:

- **ფერი** – ცივი და თბილი, ღია და მუქი;

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნება: ხატვა;

3. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატურმორტი.

<u>გაკვ. 12. შემოდგომა</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მე-14 გაკვეთილის დასაწყისში მოცემულ მხატვრების მიერ შესრულებულ სამ ნამუშევარს, აღწერონ ისინი და უპასუხონ შეკითხვებს:

- რა არის გამოსახული თითოეულ ნამუშევარზე?

- თქვენი აზრით, წელიწადის რომელი დროა გამოსახული სამივე ნამუშევარზე და რატომ?
- აქ გამოსახულ ხედებზე თბილა თუ ცივა?
- რა გვიქმნის სითბოს შთაბეჭდილებას?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები აღწერენ სამივე სურათს. თავდაპირველად მასწავლებელი მათ ყურადღებას ამახვილებინებს იმაზე, რომ აქ ასახულია ბუნების ხედები ანუ პეიზაჟი და მოსწავლეები აღწერენ, თუ რა არის გამოსახული ამ პეიზაჟებზე (მდინარე, ხეები, ჭალა, ბალახი და სხვ.)

ამის შემდეგ, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ სამივე სურათზე უხვადაა გამოყენებული ყვითელი და ნარინჯისფერი;
მასწავლებელი უსვამს მათ შეკითხვას:

- რა არის გამოსახული ყვითლით, ნარინჯისფრით, წითლით ამ სურათებზე? (ბალახი მინდვრებზე, ფოთლები ხეებზე)
- წელიწადის რომელ დროს ყვითლდება ბალახი და ფოთლები? თქვენი აზრით, წელიწადის რომელ დროს ახასიათებს ამგვარი ფერები (ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ოქროსფერი)?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს. სავარაუდოდ, ისინი მიხვდებიან, რომ ამ ფერებით მხატვრები გამოსახავენ შემოდგომის ხედებს: გაყვითლებულ ფოთლებს ხეებზე, ბალახს და მზის სხივებს, რაც სითბოს შთაბეჭდილებას ქმნის და რომ აქ სამივეგან შემოდგომაა გამოსახული.

მასწავლებლის აქტივობა:
ამ კითხვა-პასუხის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თბილი ფერების ცნებას: „წარმოიდგინეთ მზიანი დღე, მზის სხივები ოქროსფრად ანათებს, თბილა. ცეცხლიც კაშკაშა ოქროსფრად და წითელ-ყვითელ ალებად გიზგიზებს და სითბოს გამოყოფს. ის ფერები, რომლებიც სითბოს გაგონებს, თბილი ფერებია“.
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ მათი თანატოლების ნამუშევრები გაკვეთილის მეორე გვერდზე, აღწერონ აქ გამოსახული ხედები და უპასუხონ შეკითხვებს:

- თბილა თუ ცივა ამ ნამუშევრებზე ასახულ ხედებზე?
- რატომ გიჩნდებათ სითბოს განცდა?
- წელიწადის რომელი დროა გამოსახული ამ ნამუშევრებზე?
- რატომ თვლით, რომ აქ სწორედ შემოდგომაა გამოსახული?

მოსწავლის აქტივობა:
ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ აქ ძირითადად ყვითელი და ნარინჯისფერი ფერებია გამოყენებული, რაც სითბოს გვაგრძნობინებს და რომ აქ შემოდგომაა გამოსახული. გარდა ამისა, ერთ-ერთ ნამუშევარზე (ზედა რიგი, მარცხენა სურათი) თეთრ ფონზე ტეხილი და ზიგზაგისებური ხაზებით გამოსახულია ხეები, რომლებსაც უკვე გაყვითლებული ფოთლები სცვივათ, ფოთლები მთელ ფურცელზეა განლაგებული და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისინი ქარს ჰაერში აუტაცებია. დასკვნა ამ სურათის აღწერის შემდგომ უნდა იყოს ის, რომ აქ გვიანი შემოდგომაა გამოსახული, თუმცა, კუთხეში გამოსახული მზე ჯერ კიდევ ყვითლად ანათებს და არ ცივა. ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს წიგნში წარმოდგენილ თბილი ფერების სქემას და ისინი ერთად ასახელებენ ამ სქემაზე გამოსახულ თბილ ფერებს.

ამის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:
დახატე შემოდგომა იმ ფერებით, რომლებიც, შენი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება წელიწადის ამ დროს.

შეკითხვები:

- რას გამოსახავ შენს ნამუშევარზე და რატომ?
- რომელ ფერებს გამოიყენებ შემოდგომის გამოსასახად და რატომ?
- გამოიყენებ თუ არა თბილ ფერებს ნამუშევრის შექმნისას და რატომ?

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ შემოდგომის ხედს (პეიზაჟს). თავად ირჩევენ, რა გამოსახონ საკუთარ ნამუშევარზე და რომელი თბილი ფერები გამოიყენონ? მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული სახატავი მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, რა გამოსახა საკუთარ ნამუშევარზე და როგორია მის მიერ წარმოდგენილი შემოდგომა, რომელი ფერები გამოიყენა შემოდგომის გამოსახვისას და რატომ.

<u>გაკვ. 13. შემოდგომის ნობათი</u>

მასწავლებლის აქტივობა:
გაკვეთილი იწყება შეკითხვებით.

შეკითხვები:

- რა გახსენდებათ სიტყვაზე „შემოდგომა“?
- რა არის რთველი?
- ყოფილხართ როდისმე რთველში?
- წელიწადის რომელ დროს იმართება ხოლმე რთველი?
- რას აკეთებენ ადამიანები რთველში?
- ვის უყვარს ჩურჩხელა და რა კავშირი აქვს მას რთველთან?
- კიდევ რის მოსავალს იწევენ შემოდგომაზე?

მასწავლებლის აქტივობა:
კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ 32–ე გვერდზე წარმოდგენილი ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევარი „რთველი“. პასუხის დროს მათ ყურადღება უნდა მიაქციონ რას აკეთებენ ამ სურათზე გამოსახული ადამიანები, აღწერონ მათი ქმედება.
სურათის აღწერისას, შესაძლებელი მასწავლებელმა მათ დაუსვას შეკითხვები:

- რომელ ფერებს იყენებს მხატვარი რთველის გამოსახვისას?
- სიცივეა ამ ნამუშევარზე თუ სითბო? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება?
- რატომ იყენებს მხატვარი ამ სურათზე თბილ ფერებს?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეებმა ამ კითხვებზე პასუხისას ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ აქ სითბოა, რომ ავტორი ძირითადად თბილ ფერებს იყენებს და ჩამოთვალონ ეს ფერები.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, აღწერონ გაკვეთილის მეორე გვერდზე მოცემული მხატვრებისა და მათივე თანატოლების მიერ შექმნილი ნამუშევრები და უსვამს შეკითხვებს:

- რომელი ნივთებია გამოსახული აქ მოცემულ ნამუშევრებზე? (ბროწეულები, კომში, ხმელი ფოთლები)
- წელიწადის რომელი დროს ახასიათებს აქ გამოსახული ნივთები?
- წელიწადის რომელ დროს გაგონებთ ამ ნამუშევრების ფერადოვნება და რატომ?
- როგორი ფოემა აქვს მათი თანატოლების მიერ შექმნილ ნამუშევრებზე ფოთლებს და ბროწეულს, სიმეტრიულითუ ასიმეტრიული?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები აღწერენ, რომ აქ ძირითადად გამოსახულია ისეთი ხილი, რომლიც შემოდგომას უკავშირდება. მაგ., ბროწეული და კომში, რომლებიც შემოდგომაზე მწიფდება, ყვითელი ფოთლები, რომლებიც ასევე შემოდგომის ნიშანია. ასევე, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ, რომელ ფერებს იყენებენ ავტორები: ყვითელს, ნარინჯისფერს, წითელს ანუ თბილ ფერებს. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ არსებობს სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმის საგნები და ამ მხრივაც აღწერონ აქ გამოსახული ფოთლები და ბროწეულები. ამ კითხვა-პასუხის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ნამუშევარს, რომელზეც საგნებია გამოსახული ნატურმორტი ეწოდება. ამის შემდეგ იგი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:
დახატე ან აპლიკაციის ტექნიკით შექმენი ნატურმორტი „შემოდგომის ნობათი“. მასზე გამოსახე ის, რაც შემოდგომას უკავშირდება.

შენიშვნა: მასწავლებელი დავალების მიცემისას მოსწავლეებს ახსენებს უკვე ნასწავლ კონტურის ცნებას, რომ მოსწავლეებმა ყველა საგანი ფურცელზე ჯერ ხაზით შემოხაზონ ანუ ჯერ ნივთის კონტური დახატონ და შემდეგ იმუშაონ ფერით. თუ მოსწავლეები ნატურმორტის შესრულებას აპლიკაციის ტექნიკით გადაწყვეტენ, მასწავლებელმა წინასწარ უნდა აუხსნას, რომ აპლიკაცია ისეთი ტექნიკაა, რომლის დროსაც სხვადასხვა მასალისაგან (ქაღალდი, ქსოვილი და სხვ.) გამოჭრიან ხოლმე გამოსახულებებს და შემდეგ ფორმატზე აწებებენ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ნატურმორტს, რომელზეც შემოდგომის ნობათს (ხილს, ბოსტნეულს, ჩურჩხელებს, ხმელი ფოთლებისგან შემდგარ თაიგულს და სხვ.) გამოსახავენ.
- ისინი თავად ირჩევენ, რა გამოსახონ საკუთარ ნამუშევარზე და რომელი თბილი ფერები გამოიყენონ.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, რა გამოსახა საკუთარ ნამუშევარზე და როგორია მის მიერ წარმოდგენილი შემოდგომის ნობათი, გამოიყენა თუ არა კონტური, რომელი ფერები გამოიყენა ნამუშევარში და რატომ.

გაკვ. 14. ზამთარი

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ გაკვეთილის დასაწყისში მოცემულ

ერთ ფოტოსა და მხატვრის ორ ნამუშევარს, აღწერონ ისინი და უპასუხონ შეკითხვებს:

- რა არის გამოსახული თითოეულ ნამუშევარზე?
- სიცივე, სუსხი, ფიფქები, ყინული... წელიწადის რომელ დროს აღვწერთ ამ სიტყვებით?
- თქვენი აზრით, წელიწადის რომელი დროა გამოსახული ამ ნამუშევრებზე და რატომ?
- აქ გამოსახულ ხედებზე თბილა თუ ცივა?
- რა გვიქმნის სიცივის შთაბეჭდილებას?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები აღწერენ სამივე სურათს და პასუხობენ შეკითხვებს. მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ სამივე სურათზე უხვადაა გამოყენებული მუქი ცისფერი და ღია ცისფერი, რომ ამ ფერებით მხატვრები წარმოგვიდგენენ თოვლით დაფარულ არემარეს, თოვლიან მთებს, რაც სიცივის შთაბეჭდილებას ქმნის და რომ აქ სამივეგან ზამთარია გამოსახული.

მასწავლებლის აქტივობა:
ამ კითხვა-პასუხის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ცივი ფერების ცნებას: „წარმოიდგინეთ თოვლით დაფარული არემარე, სახლების სახურავზე ჩამოკიდებული ყინულის ლოლოები, ყინვა და სიცივე. ის ფერები, რომლებიც თოვლს, ყინულს, ზამთრის სიცივეს გაგონებს, ცივი ფერებია“.
შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ყურადღება მიაქციონ სქემას, რომელზეც ცივი ფერებია გამოსახული და ჩამოთვალონ ისინი. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რომ ღია და მუქი ცისფერი, ორივე ცივი ფერია. აქვე მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის ღია და მუქი ფერების არსს და უჩვენებს წიგნში გამოსახულ სქემებს, რომლებზეც მუქი და ღია მწვანე, მუქი და ღია ცისფერი, მუქი და ღია იისფერი ფერებია გამოსახული და ისინი ყველა ცივ ფერებს წარმოადგენენ. ამის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:
დახატე წელიწადის ყველაზე ცივი დრო - ზამთარი. გამოიყენე ის ფერები, რომლებიც, შენი აზრით, ყველაზე მეტად შეეფერება ზამთარს.

შეკითხვები:

- რას გამოსახავ შენს ნამუშევარზე და რატომ?
- რომელი ფერები შეეფერება ზამთარს?
- გამოიყენებ თუ არა ცივ ფერებს ნამუშევრის შექმნისას და რატომ?

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ზამთრის პეიზაჟს. ისინი თავად ირჩევენ, რომელი ფერები გამოიყენონ? მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/ პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, რა გამოსახა საკუთარ ნამუშევარზე და როგორია მის მიერ წარმოდგენილი ზამთარი, რომელი ფერები გამოიყენა ზამთრის გამოსახვისას და რატომ.

გაკვ. 15. ყინულის დედოფალი

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ზღაპარი „ყინულის დედოფალი.“ გაიხსენონ ამ ზღაპრის გმირები, მათი სახელები და თავგადასავალი.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები იხსენებენ ზღაპარს, სხვადასხვა ეპიზოდზე საუბრობენ, რის შემდეგაც მასწავლებელი შეკითხვებს უსვამს მოსწავლეებს:

შეკითხვები:

- როგორ წარმოგიდგენიათ ყინულის დედოფლის სასახლე და როგორი ფერებით შეიძლება მისი გამოსახვა ისე, რომ ადამიანს მისი დანახვისას სიცივის შეგრძნება გაუჩნდეს?
- რა ფერის ტანსაცმელს ჩააცმევდით ყინულის დედოფალს და რატომ?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ნამუშევრებს, აღწერენ და მსჯელობენ მათზე, განიხილავენ როგორი ფერებია გამოყენებული და რატომ.
მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ზღაპრის ერთ ეპიზოდზე აჩერებს მოსწავლეთა ყურადღებას, რომლის მიხედვითაც ბებია გერდასა და კაის უყვება ყინულის დედოფლის შესახებ: „ის ღამით ქალაქის ქუჩებში ჩაიქროლებს ხოლმე და თბილი ოთახების ფანჯრებში იჭყიტება. სწორედ ამის გამო იყინება ფანჯრების მინები და ზედ ყინულის ლამაზი ნაქარგები ჩნდება“. ეპიზოდის გაცნობის შემდეგ იგი სვამს შეკითხვებს:

- რომელი ფერებით შეიძლება გამოვსახოთ ისეთი ოთახი, რომლის დანახვისას სითბოს ვიგრძნობთ?
- რომელი ფერებით შეიძლება გამოვსახოთ ღამით ქალაქის ქუჩებში მონავარდე ყინულის დედოფალი და მის მიერ მოტანილი სიცივე და ყინვა?

მოსწავლის აქტივობა:
ცხადია, რომ მოსწავლეებმა პირდაპირ უნდა გასცენ პასუხი ამ შეკითხვებს, რომ თბილი ოთახი, რომელშიც ბუხარი გიზგიზებს და სინათლე ანთია თბილი ფერებით უნდა გამოისახებოდეს და მათ უნდა ჩამოთვალონ ეს ფერები, ხოლო ღამის ქალაქის ქუჩები, რომლებიც თოვლითაა დაფარული – ცივი ფერებით. საქმე ისაა, რომ აქ მასწავლებელმა მოსწავლეების მსჯელობა ისე უნდა წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მუქი ლურჯი თავად დაასახელონ ზამთრის სუსხიანი ღამის ყველაზე შესაფერის ფერად, ხოლო ზამთრის დღის გამოსასახად კი – ღია ცისფერი. ამ ბოლო აქტივობისას მოსწავლეები მუქ და ღია ფერებზე განიმტკიცებენ საკუთარ წარმოდგენასა და ცოდნას.

დავალების პირობა:
დახატე გაკვეთილის ტექსტში მოყვანილი ეპიზოდი ზღაპრიდან `ყინულის დედოფალი~. გამოიყენე ცივი და თბილი ფერები.

შენიშვნა: მასწავლებელმა დავალების მიცემისას უნდა გაამახვილოს ყურადღება, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ ის ფერები, რომლებიც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეეფერება ამ ეპიზოდს ანუ ორივე – ცივი და თბილი ფერები – ერთდროულად უნდა გამოიყენონ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ისინი ხატავენ „ყინულის დედოფ-

ლის“ ტექსტში მოყვანილ ეპიზოდს და ირჩევენ შესაბამის ცივ თუ თბილ ფერებს. ამ ეპიზოდის მიხედვით ოთახიდან სითბო გამოდის, ხოლო ქუჩაში კი სიცივე და ყინვაა. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ცივი და თბილი ფერები ერთ ნამუშევარში.

- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული სახატავი მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/ პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა მან ზღაპრის ეს ეპიზოდი, რომელი ფერები გამოიყენა თბილი ოთახის გადმოსაცემად და რომელი – ზამთრის სუსხისა და ყინვის ასასახად.

ნაბიჯი 3.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომ-სახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)
ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, მუქი და ღია;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება: ხატვა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)
ქვეცნება: პეიზაჟი

<u>გაკვ. 16. ცისარტყელა</u>

მასწავლებლის აქტივობა:
გაკვეთილი იწყება მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეკითხვების დასმით, რათა პირადი გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებმა იპოვონ საკუთარი ბმა განსახილველ საკითხთან.

შეკითხვები:

- გინახავთ ცისარტყელა ცაზე?
- როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ცისარტყელა?
- თუ იცით, როდის ჩნდება ცისარტყელა?
- ცისარტყელას რომელი ფერები გახსოვთ?
- როგორი ფორმა აქვს ცისარტყელას?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები პასუხს სცემენ დასმულ შეკითხვებს. სავარაუდოდ, მათ ნანახი ექნებათ ცისარტყელა, მეორე შეკითხვაზე ისინი ალბათ უპასუხებენ, რომ მათ ძალიან მოსწონთ ცისარტყელა, რადგან ის ძალიან ლამაზია. ზოგიერთს ალბათ ისიც ეცოდინება, რომ ცისარტყელა ცაზე წვიმის შემდეგ ჩნდება. შესაძლოა, მათ ცისარტყელას ზოგიერთი ფერიც დაასახელონ.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს წინასწარ მომზადებულ ცისარტყელას გამოსახულებას, რომელზეც ფერები ზუსტი თანმიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული და თითოეული ფერი მკაფიოდ უნდა ჩანდეს. შესაძლებელია ეს იყოს მასწავლებლის მიერ დამზადებული რესურსი – დიდ ფორმატზე შესრულებული გამოსახულება. რომელ სკოლაშიც ამის შესაძლებლობა იქნება, ეკრანზე შეიძლება წინასწარ მოძიებული ცისარტყელას ნიმუშების ჩვენება.

შეკითხვები:

- აბა, თავად დათვალეთ, რამდენი ფერია ცისარტყელაზე (7 ფერი)
- თანმიმდევრობით ჩამოთვალეთ ეს ფერები.
- რომელია ცისარტყელაში შემავალ ფერთაგან ცივი?
- რომელია ცისარტყელაში შემავალ ფერთაგან თბილი?

შენიშვნა: არ არის აუცილებელი მოსწავლეებმა დაიზეპირონ ცისარტყელას ფერების თანმიმდევრობა ან მოვთხოვოთ მათ დაიმახსოვრონ, რამდენი ფერია ცისარტყელაში.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეებმა თავად უნდა ჩამოთვალონ ცისარტყელაში შემავალი ფერები და განსაზღვრონ, რომ ცივი ფერები აქ არის: ცისფერი, ლურჯი და იისფერი, ხოლო თბილია: ყვითელი, ნარინჯისფერი და წითელი.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მხატვართა და მათ თანატოლთა ნამუშევრებს, რომლებზეც ცისარტყელაა გამოსახული, აღწერონ ისინი, ისაუბრონ, როგორ გამოსახავენ მხატვრები ბუნების ამ მოვლენას, როგორ ფერებს იყენებენ, როგორი ფორმის ცისარტყელას ხატავენ ისინი.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები აღწერენ მხატვრების ნამუშევრებს და აღნიშნავენ, რომ ცისარტყელები აქ გამოსახულია მრუდი ფერადი ხაზებით. ამ მსჯელობის დროს მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ზოგ ნამუშევარზე ცა უფრო მუქი ცისფრითაა გამოსახული, ზოგან კი უფრო ღია ცისფერია გამოყენებული.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს, რომ გაიხსენონ წინა წელს ნასწავლი ძირითადი და შედგენილი ფერები და ჩამოთვალონ ისინი. შემდეგ იგი სთავაზობს მოსწავლეებს, იპოვონ ცისარტყელაზე ეს ფერები.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები რიგ-რიგობით ასახელებენ ძირითად და შედგენილ ფერებს და მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ თვალსაჩინოებაზე, რომელზეც დიდი ზომის ცისარტყელაა გამოსახული, აჩვენებენ ამ ფერებს.

მასწავლებლის აქტივობა:

ახლა მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ შეკითხვას: არის თუ არა ცისარტყელაში ცივი და თბილი ფერები და დაასახელონ ისინი.

ამ აქტივობების დროს მუშავდება ფერი, როგორც ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნება. მისი მიზანია, მოსწავლემ კიდევ ერთხელ გაიხსენოს უკვე განვლილი მასალა (ღია და მუქი, თბილი და ცივი, ძირითადი და შედგენილი ფერები) და განიმტკიცოს წინა წელს, თუ წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა მათ შესახებ.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:
დახატე ბუნების ხედი წვიმის შემდეგ და ცაზე გამოსახე ცისარტყელა.

მასწავლებელი დავალების პირობის გაცნობისას ახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ ამ შემთხვევაში ბუნების ხედი ანუ პეიზაჟი უნდა დახატონ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ისინი ხატავენ პეიზაჟს, რომელზეც ასახავენ ცისარტყელას.
- ამ დავალების შესრულების დროს მათ უნდა გამოიყენონ ცივი და თბილი, ღია და მუქი, ძირითადი და შედგენილი ფერები, როგორც თავად ბუნების ასახვისას, ასევე, ცისარტყელას შემთხვევაში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა მან ბუნების ხედი, რომელი ცივი და თბილი, მუქი და ღია, ძირითადი და შედგენილი ფერები გამოიყენა ნამუშევარში. ასევე, იგი საუბრობს, როგორი ფორმის ცისარტყელა დახატა, როგორი ხაზები გამოიყენა და როგორი ფერებით გამოსახა ის.

<u>გაკვ. 17. დარია თუ ავდარია?</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით:

- მოყოლილხართ როდისმე წვიმაში? დასველებულხართ?
- თქვენი აზრით, როდისაა წვიმა სასიამოვნო, ზამთარში თუ ზაფხულში?
- გიყვართ წვიმაში სეირნობა?
- წელიწადის რომელ დროსაა კარგი ამინდები?

შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამინდი საერთოდ ჭირვეულია, მზე ხან გამოანათებს, ხან კი ღრუბლებს ეფარება. ცა ზოგჯერ იქუფრება და წვიმს, დარს ავდარი ცვლის, ავდარს კი ისევ დარი მოსდევს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაკვეთილის პირველ გვერდზე გადაშალონ სახელმძღვანელო, დააკვირდნენ აქ მოცემულ ერთი და იმავე მხატვრის ორ ნამუშევარს და აღწერონ ისინი, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები მათ შესახებ და უპასუხონ შეკითხვებს.

შეკითხვები:

- რით ჰგავს ეს ორი ნამუშევარი ერთმანეთს?
- რით განსხვავდება ეს ორი ნამუშევარი ერთმანეთისაგან? (ფერადოვნებით ანუ მხატვრის მიერ გამოყენებული სხვადასხვა ფერებით)
- როგორი ამინდია გამოსახული თითოეულ მათგანზე?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეებმა უნდა აღწერონ სურათები და აღნიშნონ, რომ აქ ქალაქის ერთი და იგივე ხედია გამოსახული, თუმცა ეს ორი ნამუშევარი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდება და ეს განსხვავება მათ სხვადასხვა ფერადოვნებაშია. პირველი ნამუშევარი უფრო თბილ ფერებშია გადაწყვეტილი, აქ ჭარბობს ყვითელი და თბილა, ხოლო მეორე ნამუშევარი კი

ცივი ფერებითაა შესრულებული და აქ მეტი ცისფერია გამოყენებული, თითქოს სიცივეა.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახლა გაკვეთილის მეორე გვერდზე წარმოდგენილ ორ ნამუშევარს დააკვირდნენ და აღწერონ ისინი. მას შეუძლია მოსწავლეებს დაუსვას შეკითხვები.

შეკითხვები:

- როგორი ამინდია პირველ სურათზე?
- როგორ შთაბეჭდილებას გიქმნით პირველი სურათი? ცივა აქ თუ თბილა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- რატომ გვიჩნდება პირველ სურათზე სითბოს განცდა?
- რომელი ფერებითაა გადმოცემული პირველ სურათზე სითბო?
- როგორი ამინდია მეორე სურათზე?
- როგორ შთაბეჭდილებას გიქმნით მეორე სურათი? ცივა აქ თუ თბილა? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- რატომ გვიჩნდება მეორე სურათზე სიცივის განცდა?
- რომელი ფერებითაა გადმოცემული მეორე სურათზე სიცივე?
- როგორ ხაზებს იყენებს მხატვარი წვიმის გამოსასახად?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს. აქ მთავარია, რომ მოსწავლეებმა სწორად განსაზღვრონ, რომ პირველ სურათზე (ვან გოგი) გამოსახულია მზიანი ამინდი და სითბო, რადგან აქ ბევრი თბილი ფერია გამოყენებული; დახატულია მზე, რომელიც უხვად აფრქვევს ყვითელ სხივებს. გარდა ამისა, მიწაც თბილი ნარინჯისფრითაა გამოსახული. მეორე სურათზე (ვან გოგი) მსჯელობისას კი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ აქ უხვადაა გამოყენებული ღია იისფერი და ღია ცისფერი ფერები, რომლებიც ცივი ფერებია, ამიტომაც აქ სიცივის განცდა გვეუფლება. წვიმა კი აქ კიდევ უფრო ღია ცისფერი და თეთრი წყვეტილი ვერტიკალური სწორი ხაზებითაა გამოსახული.

შეკითხვები:

- როგორი ხაზებითაა შესაძლებელი თავსხმა წვიმის გამოსახვა? (შედარებით გრძელი, ვერტიკალური წყვეტილი ხაზებით, რომლებიც შედარებით ახლო–ახლოს იქნება ერთმანეთთან);
- თუ წვიმა ცრის, ასეთ შემთხვევაში როგორ ხაზებს გამოიყენებ შენს ნამუშევარში? (შედარებით მოკლე, წვრილი ვერტილალური წყვეტილი ხაზებით);
- თუ წვიმას ქარიც ერთვის, მაშინ როგორ ხაზებს გამოიყენებ? (დახრილ წყვეტილ ხაზებს);
- თუ ჟუჟუნა წვიმის დახატვას მოინდომებ, როგორ ხაზებს გამოიყენებ? (მოკლე, წვრილ, ვერტიკალურ და ერთმანეთისაგან შედარებით შორი–შორს განლაგებულ ხაზებს);
- მზის დახატვისას, მისი სხივების გამოსასახად როგორ ხაზებს გამოიყენებ? (კლაკნილს, ზიგზაგისებურს, სწორს, წყვეტილს, ხვეულს და სხვ.).

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გამოიყენონ თბილი და ცივი ფერები, მოიფიქრონ, როგორ ზახებს გამოიყენებენ სხვადასხვა ამინდის დასახატად და აცნობს მათ დავალების პირობას.

დავალების პირობა:
დახატე ორი ნამუშევარი: ერთში მზიანი ამინდი გამოსახე, მეორეში კი _ წვიმიანი. გამოიყენე შესაბამისი ფერები და ხაზები.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ისინი ხატავენ ორ პეიზაჟს; ერთზე ისინი გამოსახავენ მზიან ამინდს, მეორეზე კი – წვიმიანს.
- შესაძლებელია, მოსწავლემ ორივე პეიზაჟზე ერთი და იგივე ხედი გამოსახოს, შეიძლება ეს ორი სხვადასხვა ხედიც იყოს.
- ამ დავალების შესრულების დროს მათ უნდა გამოიყენონ ცივი და თბილი ფერები, ასევე – სხვადასხვა ტიპის ხაზები იმის მიხედვით, თუ როგორ ამინდს ასახავენ ისინი თავის ნამუშევარში.
- მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ მათ მიერ შერჩეული მასალა: ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა მან ბუნების ხედები დარისა და ავდრის დროს; რომელი ფერები და ხაზები გამოიყენა და რატომ.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

გაკვ. 18. ჭიამაია

კომპლექსური დავალების პირობა:
შექმენი ნამუშევარი თემაზე: „როგორ ამინდს გვპირდება ჭიამაია?“
ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭერი და შექმენი ჭიამაიას გამოსახულება. მის გაშლილ ფრთებს შორის მოათავსე ფურცელი. მასზე დახატე ბუნების ხედი; შენი სურვილის მიხედვით გამოსახე ნებისმიერი ამინდი, წელიწადის დრო ან ბუნების რომელიმე მოვლენა.

მასწავლებელს კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებული შემდეგი რჩევები შეუძლია მისცეს მოსწავლეებს:

- ჭიამაია შექმენი ფერადი ქაღალდებისაგან აპლიკაციის ხერხით, ხოლო მის გაშლილ ფრთებს შორის მოათავსე შენ მიერ დახატული ბუნების ხედი დარის, ავდარის, წელიწადის რომელიმე დროის ან ბუნების რომელიმე მოვლენის გამოსახულებით.
- ჭიამაიას ფორმა წითელი ქაღალდებისაგან შეგიძლია გამოჭრა და ზედ კოპლები დაახატო ან დააწებო, გაუკეთო პატარა თავი და ზედ აპლიკაციის ხერხით გამოუსახო თვალები ან დაახატო ისინი. გაითვალისწინე, რომ ჭიამაიას სიმეტრიული ფორმა აქვს.
- ჭიამაიას გაშლილ ფრთებს შორის კი ნებისმიერი ფერის ქაღალდზე შენთვის სასურველი გამოსახულება დაიტანო: კაშკაშა მზე, ცისარტყელა, ღრუბლიანი ცა, წვიმა, ელვა, შემოდგომის ფოთლები ან თოვლიანი მთა, წვიმიანი ტყე, დედამიწა და სხვ. ერთი სიტყვით, შეგიძლია გამოსახო ყველაფერი, რაც ჩვენს დედამიწაზეა, ჩვენ გარშემოა და თვალით ვხედავთ.
- ბუნების ხედის (ხეები, მთები, ყვავილები და სხვ.) შეგიძლია გამოიყენო ხვეული, სპირალური, მრუდი ხაზები. წვიმიანი თუ მზიანი ამინდის წარმოსადგენად კი გამოიყენე წყვეტილი ხაზები.
- ფერები შეარჩიე ამინდის, წელიწადის დროის ან ბუნების რომელიმე მოვლენის

შესაბამისად. ღრუბლიანი, წვიმიანი, თოვლიანი ანუ ცივი ამინდის, ზამთრის სუსხის გამოსასახად გამოიყენე ცივი ფერები; მზიანი, თბილი ამიდის დასახატად კი თბილი ფერები შეარჩიე;

- თუ შენს ნამუშევარზე, ცისარტყელას გამოსახავ კარგად გაიხსენე, რომელი ფერებისაგან შედგება ის.
- ამ გამოსახულებების შესაქმნელად შეგიძლია გამოიყენო სხვადასხვაგვარი ფორმა, ხაზი, ცივი და თბილი, ღია თუ მუქი, ძირითადი და შედგენილი ფერები. გამოიყენე ნებისმიერი სახატავი მასალა.

შენიშვნა: მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნამუშევარი დიდ ფორმატზე უნდა შესრულდეს, რათა ჭიამაიას ფრთებს შორის კარგად გამოჩნდეს როგორი პეიზაჟი გამოსახა მისწავლემ.

შენი ნამუშევრის წარდგენისას:

- წარადგინე შენი ნამუშევარი კლასის წინაშე და ისაუბრე, როგორ გააკეთე ჭიამაიას გამოსახულება.
- ბუნების რომელი მოვლენა ან წელიწადის რომელი დრო აირჩიე და რატომ?
- როგორი ფორმები და ხაზები გამოიყენე ნახატის შექმნისას?
- რომელი ფერები გამოიყენე ნახატის შექმნისას: თბილი და ცივი, მუქი და ღია, ძირითადი და შედეგნილი და რატომ?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად ახლიდან რომ იწყებდე ამ დავალების შესრულებას? (რაიმეს შეცვლიდი შენს ნამუშევარში, მაგ., დაუმატებდი რაიმეს თუ რომელიმე დეტალს განსხვავებულად შექმნიდი/დახატავდი?)

II კლასი

შეფასება **SOLO ტაქსონომიის გამოყენებით**

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი – სწორი,** ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიმეტრიული და ასიმეტრიული;
- **ფერი – ძ**ირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი.
- **ხერხები** – რიტმი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია. მარტივი კონსტრუქცია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა, ანაბეჭდი

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატურმორტი

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი ნამუშევარი თემაზე: „როგორ ამინდს გვპირდება ჭიამაია?" ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭერი და შექმენი ჭიამაიას გამოსახულება. მის ფრთებს შორის ფურცელზე გამოსახე ბუნების ხედი და შენი სურვილის მიხედვით მასზე დახატე ნებისმიერი შენთვის სასურველი ამინდი, წელიწადის დრო ან ბუნების რომელიმე მოვლენა. შეარჩიე როგორ ხაზებს, ფერებსა და ფორმებს გამოიყენებ შენს ნამუშევარში.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე გააზრებულად იყენებს გარემოზე,ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგებს და ასახავს საკუთარ ნამუშევარში ,რისთვისაც მიზანმიმართულად იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, ფორმებს(გეომეტრიული,ბუნებაში არსებული, სიმეტრიული და ასიმეტრიული, ფერი – ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი) და შემოქმედებითად იყენებს მასალას და ტექნიკას(ხატვა, აპლიკაცია. მარტივი კონსტრუქცია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა, ანაბეჭდი) გამოირჩევა ორგინალური ხედვით. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას მის მიერ შესრულებულ დღიურში ასახულ ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებაზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:**გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. ნამუშევრის წარდგენა:ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:**გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება, რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

III თემატური მატრიცა

კლასი: II
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: ჩვენი გარემო
საათების სავარაუდო რაოდენობა: 10

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა ჩვენს გარემოს ქმნის და მეც მისი ნაწილი ვარ;
- გარემო ჩვენი ადგილმდებარეობის მიხედვით იცვლება;
- გარემოს ცვლილება ჩვენს ნამუშევარში სხვადასხვა სახით და ჟანრით შეგვიძლია ავსახოთ;
- სხვადასხვა გარემო განსხვავებულ ფორმებსა და ფერებს გვთავაზობს;
- ჩვენი გარესამყარო მრავალფეროვანი ტექნიკით სხვადასხვა ხაზით, ფორმითა თუ ფერით შეგვიძლია ავსახოთ.

1. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულგამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**

   ქვეცნებები:

   საშუალებები (ელემენტები)

   - **ხაზი** – სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, კონტური.
   - **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი.
   - **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D).
   - **ხერხები (პრინციპები)** – რიტმი, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**

   ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (შედეგი 1,2. 3,4)**

   ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა, ქანდაკება

4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (შედეგი1,2,3,4)**

   ქვეცნებები: პეიზაჟი, ანიმალისტური.

საკითხი – გარემოს მრავალფეროვნების აღმოჩენა და გადმოცემა ნამუშევარში.
საკვანძო შეკითხვები:

- რა ქმნის გარემოს და ვარ თუ არა მე მისი ნაწილი?
- იცვლება თუ არა გარემო ჩვენი ადგილსამყოფელის მიხედვით?
- როგორ შემიძლია ავსახო ჩემს ნამუშევრებში გარემოს ცვლილება?
- იცვლება თუ არა ფორმები და ფერები გარემოს ცვლილებასთან ერთად?
- როგორ ავსახო ჩვენი გარესამყარო მრავალფეროვანი ტექნიკით სხვადასხვა ხაზით, ფორმითა თუ ფერით?

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი სამაგიდო თამაში მოგზაურობის შესახებ, რომლის დროსაც მეგზურობას შენ მიერ გამოძერწილი ოთხფეხა მეგობარი (შენი საყვარელი ცხოველი) გაგიწევს; აირჩიე გრძივი ან განივი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური) ფურცელი; მის ერთ ბოლოში აღნიშნე გზის (მოგზაურობის) დასაწყისი, მეორეში კი – დასასრული. გასავლელი გზა გააფორმე სხვადასხვა ტიპის ხაზით, შენით აირჩიე, რთულ გზას როგორი ხაზებით გამოსახავ, იოლს კი – როგორით. გზად მთები, ზღვები, ტყეები, ქალაქები და სოფლები უნდა გაიაროთ. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი მიუჩინე ფორმატზე. ყურადღება გაამახვილე ფორმებზე, შეეცადე ფერებით მიგვახვედრო, სად გადაგხდა მხიარული თავგადასავალი და სად – ფათერაკებით აღსავსე.

რეკომენდაცია მასწავლებელს: სამაგიდო თამაშის ვარიანტები მოცემულია ჩვენ მიერ შემოთავაზებულ დამატებით რესურსში, მოსწავლეებს შეგიძლიათ დაამზადებინოთ კამათელი, რომლსაც ყველა გვერდი ექნება სხვადასხვა ფერის. ფერები დაუკავშირეთ ნაბიჯებს, რომელიც მოსწავლემ დასახული მარშრუტის დროს უნდა გაიაროს, მაგ., წითელი სახიფათო და უკან დაიხიოს ხუთი ნაბიჯით, მწვანე - გზა ხსნილია და გადაახტეს სამ ნაბიჯს, ყვითელი - ფრთხილად იყავი და გამოტოვოს სვლა, ლურჯი - წავიდეს ერთი ნაბიჯით წინ, ნარინჯისფერი ორი ნაბიჯით წინ მიდის, ხოლო იისფერით ორი ნაბიჯით უკან დაიხიოს.

საგანთაშორისი კავშირები:
ბლოკის ფარგლებში მყარდება კავშირი ორ საგანთან: მათემატიკასთან და ბუნებასთან. მოსწავლე უკავშირებს გეომეტრიულ ფორმებს სამყაროს მრავალფეროვნებას და ბუნებაში ნასწავლ მასალას ხელოვნების ენით იაზრებს. მათემატიკას ასევე შეუძლია ჩაერთოს კომპლექსური დავალების შესრულებისას, როდესაც მოსწავლეები შექმნიან სამაგიდო თამაშს და გასავლელი გზა, მათემატიკური გამოანგარიშებებით უფრო საინტერესო გახადონ. ამის შედეგად, მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა საგანში მიღებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას, ცოდნის გამთლიანებას, ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვას და ცოდნის ტრანსფერს.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
წარმოიდგინე, თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა გელოდება. შეგიძლია წაიყვანო მხოლოდ ერთი მეგობარი და ისიც ოთხფეხა. მოგზაურობისას შეიძლება მოგიწიოს ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გავლა, მხიარულ და სევდიან ქალაქებში სტუმრობა, სოფლად შინაური ცხოველებისა და ფრინველების ნახვა, შესაძლოა მოვლაც, შეხვედრა დინოზავრებთან, უცნაურ თევზებთან. მოგზაურობის მარშრუტი შენი ასარჩევია, შენ დაგეგმავ თითოეულ ნაბიჯს და ამ თამაშში ხელოვნება დაგეხმარება, რომლის საშუალებითაც შენ სამაგიდო თამაშს შექმნი და მომავალში შენს მეგობრებთან ერთად სასიამოვნო თავგადასავლებით გაერთობი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • ვისთან ერთად გაემგზავრე სამოგზაუროდ? • რა **მასალით** შექმენი შენი ოთხფეხა მეგობარი და როგორი **ფორმები** გამოიყენე მის შესაქმნელად?(სამ.ცნ.1, 2) • რა **მასალა და ტექნიკა** გამოიყენე შენი სამაგიდო თამაშისათვის? (სამ.ცნ 2) • რომელი ფ**ორმატ**ი აარჩიე შენი თამაშისaთვის **განივი თუ გრძივი?** რატომ?

• საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	(სამ.ცნ. 1) • როგორ **გადაანაწილე გამოსახულებები** შენს თამაშში? (სამ.ცნ.1) • სად იწყება მოგზაურობა და სად სრულდება? • როგორ ამოვიცნოთ მხიარული და ფათერაკებით აღსავსე გზები? სამ.ცნ 1 (**ხაზი,ფერი)** • რომელი **ფორმები** გამოიყენე ქალაქის, სოფლის, ზღვებისა და მთების გამოსასახად? (სამ.ცნ.1)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები: მოსწავლის სახელმძღვანელო

<u>როგორ შევქმნა სამაგიდო თამაში</u>
https://www.pinterest.com.mx/pin/148900331408668986/
https://www.tinyme.com/blog/free-colourful-contest-board-game-printable/
https://www.pinterest.com.mx/pin/308215168260499959/

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება გარესამყაროსა და მისი ბინადრების შესახებ, უხსნის მოსწავლეებს, რომ ჩვენ სამყაროს ნაწილი ვართ. ხელოვნების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გარემოს შეცვლა, მისი მრავალფეროვნების ასახვა. სამყაროს მრავალფეროვნების წარმოსადგენად კი მოსწავლეებს თამაში დაეხმარებათ.

- თუ გითამაშიათ სამაგიდო თამაშები და რომელი?
- შესაძლოა თუ არა სამაგიდო თამაში საინტერესო თავგადასავლად გადაიქცეს?

მასწავლებელი აჩვენებს სამაგიდო თამაშების მაგალითებს მოსწავლეებს, ისმენს მოსწავლეების გამოცდილებას სამაგიდო თამაშებთან დაკავშირებით. წარმოდგენილ თვალსაჩინოებებზე გამოყოფენ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა საშუალებებსა და ხერხებს და მსჯელობენ, როგორ შეიძლება შექმნან სამაგიდო თამაში გარესამყაროს მრავალფეროვნების წარმოსაჩენად.

შენიშვნა: youtube - ის ბმულების გახსნისას, ზოგჯერ ჩნდება შემდეგი გამოსახულება , ამ დროს გვერდზე გადასასვლელად საჭიროა დააჭიროთ მონიშნულ ღილაკს ,,Browse Youtube". ანიმაცია ,,ნოეს კიდობანი" თუ პირდაპირ არ გაიხსნა თქვენს კომპიუტერში, მაგავსი წესით გახსენით.

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორ შევქმნა სამაგიდო თამაში სხვადასხვა ტიპის ხაზის, მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმების, მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით?
- როგორ განსხვავდება გარემო ადგილმდებარეობის მიხედვით?
- როგორი ხაზებით, ფორმებით, ფერებით გამოვსახო გარემოს დამახასიათებელი ნიშნები?

კომპლექსური დავალების არსი:
კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ დაინახოს/გააცნობიეროს, რომ ჩვენ სამყაროს შემადგენელი ნაწილი ვართ. სამყაროს ასახვა ნამუშევარში სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შეგვიძლია. დიმიტრი უზნაძის თეორიის თანახმად, თამაშის ძირითად არსს ბავშვის შესაძლებლობათა აქტივაცია წარმოადგენს. კერძოდ, ბავშვი არა მხოლოდ იმ ძალებითაა აღჭურვილი, რომლებიც ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ იმ ძალებითაც, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება განვითარების შემდგომ ეტაპებზე. მნიშვნელოვანია, რომ თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალების და შესაძლებლობების განვითარება, რომლებიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის განხორციელების საფუძველი ხდება. გარდა ამისა, თამაში სერიოზული მოტივატორია მოსწავლეთათვის და სწორედ ჩვენს მიერ შერჩეული კომპლექსური დავალების ფორმით, მოსწავლე ხალისით შეისწავლის, გაიაზრებს და შექმნის ჩვენი გარესამყაროს შემადგენელ სურათებს.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**

   ქვეცნებები:
   - **ხაზი** – კონტური
   - **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
   - **ფერი** – ცივი და თბილი, ძირითადი და შედგენილი;
   - **რიტმი** – ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმატი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა**

   ქვეცნებები: აპლიკაცია, ხატვა, ძერწვა
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები**

   ქვეცნება: არქიტექტურა
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები**

   ქვეცნებები: პეიზაჟი, ანიმალისტური ჟანრი

რესურსები:

<u>https://www.wikiart.org/en/georgia-o-keeffe/shelton-hotel</u>
<u>https://fineartamerica.com/featured/majestic-city-michael-mullan.html</u>

ნაბიჯის საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გამოვსახო ფორმატზე სოფლისა და ქალაქის ხედები სხვადასხვა ფორმებისა და ფერების საშუალებით?

<u>გაკვ. 19. დიდი ქალაქი</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს:

- რას ფიქრობთ, რა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის?
- როგორი შენობები/სახლები გვხვდება ქალაქში და როგორი სოფელში?

მოსწავლეების პასუხების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ურბანული **პეიზაჟის** ორ ნიმუშს, სადაც ერთი შესრულებულია **ვერტიკალურ ფორმატზე,** მეორე – **ჰორიზონტალურზე.** მასწავლებელი მოსწავლეებს ძალიან მარტივად უხსნის, რომ შენობების ფორმების, მისი აგებულების, გარეგნობის შექმნის ხელოვნებას **არქიტექტურა** ეწოდება. ყველა შენობა რაც ჩვენს გარშემოა, არქიტექტურული ნაგებობაა. შემდეგ კი იგი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ სურათები და შეადარონ ისინი ერთმანეთს.

<u>https://www.wikiart.org/en/georgia-o-keeffe/shelton-hotel</u>

<u>https://fineartamerica.com/featured/majestic-city-michael-mullan.html</u>

შეკითხვა:

- აღწერეთ სურათი, რა არის გამოსახული პირველ სურათზე/მეორეზე?
- რით განსხვავდებიან ეს სურათები ერთმანეთისგან?
- რას ფიქრობ, რა შემთხვევაში ირჩევს მხატვარი **გრძივ ფურცელს** და რა შემთხვევაში **განივს**?

შენიშვნა: ამ ეტაპზე მოსწავლეს არ მოეთხოვება ტერმინების ცოდნა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლე მიეჩვიოს ტერმინს – არქიტექტურა და შეძლოს მისი იდენტიფიცირება.

მასწავლებლის აქტივობა:

მსჯელობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სურათებს და მათში ამოიცნონ სხვადასხვა **ფორმა. მარტივი გეომეტრიული** ფორმების ამოცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ნამუშევრებს და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, რომელი სურათი მოეწონათ და რატომ? მოსწავლეები უნდა შეეცადონ დაასაბუთონ საკუთარი აზრი, მარტივი წინადადებებით, მაგ.: მომწონს, რადგან ბევრი შენობაა და ბევრი ფერია / მომწონს, რადგან ერთი დიდი შენობაა და ბევრი სარკმელი აქვს და ა.შ. ილუსტრაციებზე მსჯელობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში არსებულ ილუსტრაციებს და ამოიცნონ, რომელი ტექნიკითაა შესრულებული ნამუშევრები **(აპლიკაცია, მხატვრობა).** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ფურცელზე დახატონ მარტივი გეომეტრიული ფორმები (ფერადი ფურცლების არსებობის შემთხვევაში აირჩიონ ფერები და მათზე დახატონ), შემდეგ გამოჭრან ფიგურები. სანამ მოსწავლეები უშუალოდ ქალაქის აპლიკაციის კეთებას დაიწყებენ, შეარჩიონ ფორმატი, კერძოდ, ამოჭრილი ფორმები, რომლებსაც უკვე სახლის ფორმები აქვთ მიცემული, დააწყონ ისინი ჯერ განივ, შემდეგ კი გრძივ ფორმატზე, დააკვირდნენ, რა შეიცვალა ფორმატის შეცვლისას.

დავალების პირობა:

შეარჩიე შენთვის სასურველი ფორმატი და ნებისმიერი მასალით და აპლიკაციის ტექნიკით შექმენი ქალაქის ამსახველი ნამუშევარი.

პრაქტიკული სამუშაო:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, აირჩიონ სასურველი ფორმატი და შეუდგნენ მუ-

შაობას.

- მოსწავლეებმა მათ მიერ ამოჭრილი სახლები ჩააწებონ სასურველ ფორმატზე.
- ჩაწებების შემდეგ კი მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეარჩიონ ფერები (იმ შემთხვევაში თუ ისინი თეთრ ფურცლებზე მუშაობდნენ) და განწყობილების შესაბამისად გააფერადონ სახლები.
- ქალაქის აპლიკაციის შექმნისას მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ სახლების გარდა მათ უნდა გამოსახონ მცენარეები, მზე, ღრუბლები.
- ნამუშევრების პრეზენტაციისას მოსწავლეებმა იმსჯელონ მათ მიერ შექმნილ ქალაქზე: სად მდებარეობს, ვინ ცხოვრობს, როგორი ადამიანები? როგორი გარემოა ამ ქალაქში და როგორ უნდა მივიღოთ ინფორმაცია ამ ქალაქის მაცხოვრებლების შესახებ (მხიარული, მოწყენილი, მზრუნველი). აღნიშნული ეპითეტები მოსწავ-ლეებმა დაუკავშირონ ფერებს (მაგ.: მხიარული – ფერადი, მოწყენილი – მუქი ფერები, მზრუნველი – მცენარეები და გარემო და ა.შ.)
- შემდეგ იმსჯელონ, რომელი ფორმები გამოიყენეს და რატომ? რატომ აირჩიეს ფორმატის ესა თუ ის სახე. როგორი ფერები გამოიყენეს და რატომ? ისურვებდნენ თუ არა თავად ასეთ ქალაქში ცხოვრებას და რატომ?

რეკომენდაცია: მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს განსხვავებულ სტრატეგიას: მოსწავლეებმა ისაუბრონ პრეზენტატორის ნამუშევარზე, აღწერონ და დაასახელონ გა-მოყენებული ფორმები, ფერები და სხვ.

<u>გაკვ. 20. სოფელი</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩახედონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციას, სადაც მოცემულია სოფლის ეზოს/სახლის ფოტო და სთხოვს მათ, აღწერონ ის. მას შემდეგ რაც, ორი/სამი მოსწავლე აღწერს სურათს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პატარა თამაშს:

- წარმოიდგინე, რომ შენ ცხოვრობ ამ სახლში. ყოველ დილას გამოდიხარ ამ აივანზე და რას ხედავ? რა ხმები გესმის? რამე სუნსაც ხომ არ გრძნობ?

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი წინასწარ გააფრთხილებს მოსწავლეებს, რომ უფრო გაუხარდება განსხვავებული აზრების მოსმენა, რადგან თავიდან აიცილოს აზრების განმეორება.

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები საკუთარი ფანტაზიით გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ხედი/პეიზაჟი ამ აივნიდან, როგორი ხმები ესმოდეთ, ან რა სურნელი ტრიალებდეს.

მასწავლებლის აქტივობა:
შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, „დანახული“ დაუკავშირონ ფორმებს, როგორ ფორმებს და ხაზებს ხედავენ გარშემო.

შენიშვნა: მოსწავლეების ყურადღება გამახვილდეს ბუნებაში არსებულ ფორმებზე, შეიძლება დააკონკრეტებინოთ კითხვებით, ხის, ბუჩქის და სხვა ფორმები, ასევე, ბილიკებს, გზას როგორ ხაზებს დაუკავშირებენ (სწორს, კლაკნილს და სხვ.).

მასწავლებლის აქტივობა:
მოსწავლეთა პასუხებისა და გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მათ საკითხის შეჯამებაში და სთავაზობს სხვადასხვა მასალით სოფლის ეზოს შექმნას. მოსწავლეებმა თავად ჩამოთვალონ რა მასალის გამოყენება შეიძლება სოფლის ეზოს კოლაჟის შესაქმნელად, შეიძლება ეს იყოს მუყაო, ხის ჩხირები, ტოტები, ფერადი ფურცლები და სხვ.

დავალების პირობა:

სხვადასხვა მასალით, აპლიკაციის ან კოლაჟის ტექნიკით შექმენი სოფლის სახლისა და ეზოს გამოსახულება.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები შერეული ტექნიკით ქმნიან სოფლის ეზოს პეიზაჟს (ხატვა, კოლაჟი), ყურადღებას ამახვილებენ ფორმებზე (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) და ხაზებზე (სხვადასხვა ტიპის)
- მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, საუბრობენ მათ მიერ გამოყენებულ ხაზებსა თუ ფორმებზე, შერჩეულ მასალასა და ტექნიკაზე.

შეკითხვები:

- როგორი **პეიზაჟი** იშლება შენი აივნიდან?
- რომელი **ფორმები** შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის ეზოს დასახატად?
- როგორი **ხაზები** შეიძლება გამოვიყენოთ ბილიკების, გზების დასახატად?
- როგორ შევარჩიო **მასალა და ტექნიკა** ნამუშევრის შესაქმნელად?
- რატომ მივანიჭე უპირატესობა ჩემ მიერ შერჩეულ მასალასა და ტექნიკას?

ნაბიჯი 2.

1. სამიზნე ცნება/ცნებები – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

- **ქვეცნებები:** ხაზი, ფორმა, ნამუშევარში გამოსახულებების გადანაწილება, ვერ-ტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა

2. სამიზნე ცნება/ცნებები – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

- **ქვეცნებები:** ხატვა, აპლიკაცია, ძერწვა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

- **ქვეცნებები:** მხატვრობა, ქანდაკება

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

- **ქვეცნება:** ანიმალისტური

რესურსები:

<u>ანიმაცია „ნოეს კიდობანი“</u>

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ გადავანაწილო სხვადასხვა ფორმები ფორმატზე?
- როგორ შევქმნა სივრცითი (3D) ფორმები და განვათავსო ისინი ნამუშევარში?

<u>გაკვ. 21. სოფლის ეზოს ბინადრები</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მათ მიერ შექმნილი სოფლის ეზო.

- გაიხსენეთ, თქვენს მიერ შექმნილი სოფლის ეზო, როგორ ფიქრობთ სხვადასხვა ფორმის მცენარეების, ბილიკების, შენობების გარდა კიდევ რას ვხვდებით სოფლის ეზოებში?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები დაასახელებენ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გამოყოფს რამდენიმე მათგანს, მაგ.: გოჭი, მამალი, ძაღლი და სხვ. და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ თითოეული მათგანი და თან დაასახელონ ის ფორმები და ფერები, რომლებიც ამ ცხოველთან/ფრინველთან ასოცირდება. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კვლავ „დადგნენ“ სოფლის სახლის აივანზე და „გადახედონ“ ეზოს.

- რომელ ცხოველებს/ფრინველებს ხედავ ეზოში?
- რომელია შენთან ყველაზე ახლოს და ყველაზე შორს?
- ყველაზე ახლოს მყოფი ცხოველი/ფრინველი რა ზომისაა? ყველაზე შორს?
- ყველა ცხოველი/ფრინველი ერთ ადგილას იმყოფებიან?
- როგორ არიან ცხოველები/ფრინველები გადანაწილებულები ეზოში ?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები ჩამოთვლიან სოფლის ეზოს ბინადრებს, დაასახელებენ მათთან ახლოს და შორს მყოფ ცხოველებს/ფრინველებს, გამოყოფენ ზომით, ახლოს – დიდი, შორს – პატარა, შემდეგ კი ისაუბრებენ რომელი ცხოველი სად არის განთავსებული. მასწავლებელმა მოსწავლეებს თხრობის დროს მისცეს დამაზუსტებელი შეკითხვები, მაგ.: რომელი ხის ქვეშ, ახლოს თუ შორს? კარგად ჩანს თუ იმდენად პატარაა, რომ გიჭირს კარგად დანახვა? ესე იგი როგორი ზომისაა?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სახელმძღვანელოში 53–ე გვერდზე განთავსებულ ილუსტრაციებს დააკვირდნენ და იმსჯელონ, სად არის გამოსახული ძაღლი და როგორ იზრდება და პატარავდება მისი ზომები ფორმატისა და შორს და ახლოს ყოფნის შესაბამისად.

დავალების პირობა:

დახატე სამი სხვადასხვა ზომის შინაური ცხოველი ან ფრინველი, გააფერადე და გამოჭერი. ჩააწებე შინაური ცხოველები ან ფრინველები წინა გაკვეთილზე დახატულ ეზოში. წარმოიდგინე, რომელი მათგანია უფრო ახლოს და რომელი – უფრო შორს. დავალების შესრულებისას გაითვალისწინე ცხოველებისა და ფრინველების ზომები.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დახატონ სამი სხვადასხვა ზომის შინაური ცხოველი ან ფრინველი, გააფერადონ და გამოჭრან. რის შემდეგაც ჩააწებონ წინა გაკვეთილზე დახატულ სოფლის ეზოში. წარმოიდგინონ, რომელი ცხოველი/ფრინველია უფრო ახლოს და რომელი უფრო შორს, როგორ იზრდება და პატარავდება ზომები.

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას, რომლის დროსაც იმსჯელებენ შემდეგ საკითხებზე:

- როგორ **ფორმატზეა** დახატული „სოფლის ეზო“?

- რომელი ცხოველები/ფრინველები აარჩია სოფლის ეზოსთვის?
- როგორი **ფორმები** გამოიყენა ცხოველების /ფრინველების დასახატად?
- როგორი **ფერები** გამოიყენე ცხოველების/ფრინველების გასაფერადებლად და რატომ?
- სად განათავსე ყველაზე დიდი გამოსახულება(ცხოველი/ფრინველი) და რატომ? სად განათავსე ყველაზე პატარა და რატომ?

მოსწავლეთა ნამუშევრებიდან გამომდინარე, მასწავლებელი შეეკითხება, თუ როგორ გადაანაწილა მოსწავლემ ფიგურები სასურათო სიბრტყეზე, ერთად, ცალ-ცალკე და რატომ?

გაკვ. 22. ნოეს კიდობანი

მასწავლებლის აქტივობა:

შკითხვები:

- გაგიგიათ რამე ნოეს კიდობნის შესახებ?
- ხომ არ იცი, როგორ გადარჩნენ ნოე, მისი ოჯახის წევრები და ცხოველები?

ანიმაცია „ნოეს კიდობანი“ – ანიმაციას აქვს სუბტიტრები. მასწავლებელს შეუძლია ის დააყენოს ქართულ ენაზე.

შორეულ წარსულში ცხოვრობდა ერთი კაცი ნოე, რომელიც ყველასგან განსხვავდებოდა თავისი სიკეთით. ნოეს ჰყავდა ცოლი და სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეტი; მის შვილებსაც ჰყავდათ ცოლები. ღმერთმა უთხრა ნოეს, აეშენებინა დიდი კიდობანი, შიგ შესულიყვნენ და ცხოველებიც შეეყვანათ, რათა მოსალოდნელი წარღვნის დროს გადარჩენილიყვნენ. ნოე მაშინვე შეუდგა კიდობნის მშენებლობას.

ბოლოს დადგა კიდობანში შესვლის დრო. ნოე თავის ოჯახთან ერთად კიდობანში შევიდა და ცხოველებიც შეიყვანა. თავსხმა წვიმაც მალე წამოვიდა. წყლის დონემ ისე მოიმატა, რომ კიდობანმა ტივტივი დაიწყო. საბოლოოდ მთელი დედამიწა წყლით დაიფარა.

40 დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა; შემდეგ კი წვიმა შეწყდა და ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა. წყალმა ნელ-ნელა დაიწყო კლება. ბოლოს კიდობანი ერთ მთასთან გაჩერდა, მაგრამ წყალი ჯერ კიდევ ბევრი იყო. ნოემ ყორანი გაუშვა, რათა მას ხმელეთი მოეძებნა, მაგრამ რამდენიმე ხანში ყორანი უკან დაბრუნდა, მან ხმელეთს ვერ მიაგნო. მომდევნო ჯერზე ნოემ მტრედი აფრინა. ცოტა ხანში უკან დაბრუნებულმა მტრედმა ნისკარტით ზეთისხილის რტო მოიტანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ წყალმა დაიკლო და სადღაც ახლოს ხელეთიც უნდა ყოფილიყო. მართლაც მალე კიდობანი ერთ მთას მიადგა. ასე გადარჩა ნოე და მისი ოჯახი, მათთან ერთად კი – ცხოველებიც.

მოსწავლის აქტივობა:

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, მოსწავლეები ნახავენ ანიმაციურ ფილმს, ამოიცნობენ ნოეს მიერ გადარჩენილ ცხოველებს. იმსჯელებენ ცხოველთა დამახასიათებელ ნიშნებზე, მაგ.: **ჟირაფი - გრძელი კისერი, ზებრა - ზოლები;** ცხოველებს დაუკავშირებენ ბუნებაში არსებულ სხვადასხვა ფორმას.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პლასტილინით ცხოველების პატარა **ქანდაკებების** შექმნას.

დავალების პირობა:

დააკვირდი ნოეს კიდობანში მყოფ ცხოველებს. აირჩიე ერთი მათგანი და გამოძერწე. დააკვირდი, რა ფერია შენ მიერ არჩეული ცხოველი ან ფრინველი, როგორი ფორმები აქვს, რით გამოირჩევა სხვებისაგან. სამუშაოს დასრულების შემდეგ შენი ნამუშევარი კიდობანში განათავსე, გაითვალისწინე მისი ზომა და შეურჩიე შესაბამისი ადგილი.

შენიშვნა: ისევე, როგორც არქიტექტურის შემთხვევაში, აქაც მოსწავლე ყურს აჩვევს, ტერმინს **ქანდაკებას,** რომელსაც მასწავლებელი უხსნის, რომ ის მოცულობითი ფორმის გამოსახულებაა, რომელიც შეიძლება სივრცეში დაიდგას.

მოსწავლეების აქტივობა:

მოსწავლეები ძერწავენ ცხოველებს, ირჩევენ შესაბამისი ფერის პლასტილინს/თიხას, აქცენტს აკეთებენ ფორმებზე და ცხოველის დამახასიათებელ ნიშნებზე.

შენიშვნა: პლასტელინისა და თიხის არ ქონის შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი რეცეპტი საძერწი მასალის გასაკეთებლად:

- 2 ჭიქა წყალი;
- 1 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი;
- 2 ჭიქა ფქვილი;
- 1 ჭიქა წვრილი მარილი;
- 1 სუფრის კოვზი ლიმონმჟავა;
- საკვები საღებავი.

პროცესი ასე გამოიყურება: ტაფაზე დაასხით წყალი, შემდეგ მცენარეული ზეთი, შეღებეთ და დადგით ცეცხლზე. როცა მასა ადუღდება, გადმოდგით გაზქურიდან. სხვა თასში შეურიეთ ფქვილი, ლიმონმჟავა და მარილი. ნარევში ჩაასხით ცხელი წყალი ზეთით. მიღებული მასა აურიეთ ერთგვაროვნებამდე. დარწმუნდით, რომ არ დარჩეს მკვრივი ნაწილები. ნარევი უნდა იყოს რბილი და ზომიერად წებოვანი. ახლა თქვენ შეგიძლიათ დაჭრათ პლასტილინი ფრაგმენტებად და შეღებოთ თითოეული ცალკე ფერით.)

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებლის მიერ წინასწარ მუყაოსაგან დამზადებულ გემში მოსწავლეები თავისით განსაზღვრავენ თავიანთი გამოძერწილი ცხოველის ადგილმდებარეობას.

შენიშვნა: აქტივობების შესრულებისას, მოსწავლემ უნდა გაიხსენოს წინა გაკვეთილზე განვლილი მასალა, ზომის გათვალისწინებით სად უნდა განათავსოს ფიგურა.

შეკითხვები:

- რომელი ცხოველი გამოძერწე?
- როგორ მივხვდეთ, რომ შენს მიერ გამოძერწილი ცხოველი ლომია/დათვია/ ჟირაფია თუ სხვ.?
- რომელი ფორმები გამოიყენე ამისათვის?
- გემში სად განათავსე შენი ცხოველი და რატომ?

გაკვ. 23. სათაფლია

- როგორ შევქმნა მხიარული დინოზავრის გამოსახულება?

მასწავლებლის აქტივობა:

შეკითხვები:

- რა იცით დინოზავრების შესახებ?
- საქართველოში მცხოვრები დინოზავრების შესახებ რამე თუ გაგიგიათ და ხომ არ იცით სად იპოვეს მათი ნაკვალევი?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს, ათვალიერებენ დინოზავრების გამოსახულებას. მსჯელობენ თანატოლების მიერ შესრულებულ ნამუშევრებში როგორი ტიპის ხაზები და ფორმები იყო გამოყენებული. მსჯელობენ დინოზავრების გასაფორმებლად გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ხაზების შესახებ.

მასწავლებლის შეკითხვები:

- როგორი **ხაზებია** გამოყენებული დინოზავრის გამოსახულებებში?
- როგორი **ფორმებია** გამოყენებული დინოზავრების დასახატად?
- ფორმა, რომ უკეთ გამოკვეთილიყო, რა საშუალებაა გამოყენებული? **(კონტური)**
- დააკვირდით, სახელმძღვანელოში გამოსახულ დინოზავრებს, ზოგი მხოლოდ ერთი ფერითაა დახატული, ზოგი კი – სხვადასხვა ფერით; რას ფიქრობთ, **სხვადასხვა ფერისა და ტიპის ხაზების** გამოყენებით როგორ შეიცვალა დინოზავრის გარეგნობა?

რეკომენდაცია მასწავლებელს: გარდა სხვადასხვა ტიპის ხაზისა და სხვადასხვა ფერისა მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ დეკორატიულობაზე. დააკვირდნენ მოსწავლეები რა ხერხებია გამოყენებული იმისათვის, რომ დინოზავრების გამოსახულებები არ იყოს საშიში, არამედ, ისინი ხალისიანად გამოიყურებოდნენ.

მასწავლებლის შეკითხვები:

- რას ფიქრობთ, დინოზავრების გაფორმებისას სხვადასხვა ტიპის ხაზის და ფორმის **რიტმული** განმეორებით როგორ გამოსახულებას ვიღებთ?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ ეტაპზე მოსწავლეს არ ევალება ორნამენტი (ტერმინის) ცოდნა, თუმცა ყურადღების ამახვილება, იმაზე, რომ ორნამენტი საგნების/ნივთების სამშვენისად გამოიყენება, რეკომენდირებულია.

დავალების პირობა:

შეარჩიე მასალა და სხვადასხვა ხაზისა და ფერის გამოყენებით შექმენი დინოზავრის გამოსახულება. კონტურით შემოსაზღვრე დინოზავრის ფორმა. სხვადასხვა ხაზისა და ფერის რიტმული მონაცვლეობით გააფორმე დინოზავრი, შეურჩიე სახელი და მოიფიქრე მისი თავგადასავალი, რომელსაც პრეზენტაციის დროს შენს თანაკლასელებს გააცნობ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ქმნიან დინოზავრებს, იყენებენ კონტურს, სხვადასხვა ტიპის ხაზს, ფერებს. აორებენ მათ გამოსახულებებს სხვადასხვა ფორმით, ამ ფორმებით ქმნიან რიტმს.
- პრეზენტაციის დროს დინოზავრის თავგადასავლის თხრობისას მოსწავლეს გაამახვილებინეთ ყურადღება დინოზავრის ხასიათზე და რა საშუალებები

გამოიყენა ხასიათის გამოსახატავად მოსწავლემ (ფერი, ფორმა, ხაზი), სად გამოიყენა რიტმული გამოსახულება, რისი საშუალებით შექმნა რიტმი და რატომ?

ნაბიჯი 3.

1. სამიზნე ცნება/ცნებები – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნება/ქვეცნებები – ხაზი, ფორმა, ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი)

2. სამიზნე ცნება/ცნებები - სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნება – ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი

საკვანძო შეკითხვა:

- როგორ გამოვსახო ზღვის სამყარო სხვადასხვა ფერისა და ფორმების საშუალებით?
- რომელი მასალა და ტექნიკა გამოვიყენო ზღვის სამყაროს შესაქმნელად?

<u>გაკვ. 24. გასეირნება ნავით</u>

შეკითხვა:

- როგორ შეიძლება გამოვიყენო ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერები ზღვის დასახატად?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს „ზღვაზე ნავით გასეირნებას“ და მოსწავლეებს სთხოვს, ხელების მოძრაობით გამოხატონ ტალღების მოძრაობა, ხოლო შემდეგ შესაბამისი ხაზით და ლურჯი ფერით გადაიტანონ ეს მოძრაობა ფურცელზე.

შეკითხვები:

- როგორი ხაზით გამოსახეთ ტალღა?
- როგორ ფიქრობთ, ზღვის ყურებისას ყოველთვის ვხედავთ ტალღებს?
- როგორია მშვიდი ზღვა? აღელვებული?
- წარმოიდგინეთ, ზაფხულია, ცხელა, მზის სხივები ათბობს და აკაშკაშებს ზღვას. რა ფერებს დავინახავთ ზღვაში, როდესაც მას ყვითელი მზის სხივები ეფინება?
- რომელი ფერებისა და როგორი ხაზების საშუალებით შეგვიძლია დავხატოთ ზღვა?
- რომელი ტრანსპორტი გვჭირდება ზღვაზე სამოგზაუროდ?
- როგორი ფორმები აქვს ნავს?
- თუ ჩვენს ნავზე აფრას გავშლით, რა ფორმის იქნება ის?
- როგორ გამოვსახოთ ზღვაზე აფრიანი ნავი სხვადასხვა ტექნიკით?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები პასუხს სცემენ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც მასწავლებელი მათთან ერთად აჯამებს კითხვა–პასუხის შედეგებს – ტალღას **ტალღოვანი ხაზებით** ხატავთ, იმის მიხედვით ზღვა მშვიდია თუ აღელვებული, იზრდება ტალღოვანი ხაზის სიდიდე, როდესაც **ლურჯ** ზღვას **ყვითელი** მზის სხივები ეფინება იმ ადგილებში ზღვა **მომწვანო** ჩანს. ზღვა შეგვიძლია დავხატოთ სხვადასხვა ფერის ლურჯისა **(ღია და მუქი)** და მომწვანო ფერების

შერევით. ნავს **ტრაპეციის ფორმა** აქვს, აფრას კი - **სამკუთხედის.**
მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, დახატონ ზღვა ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით, ხოლო ნავის გამოსახულება ამოჭრან და ჩააწებონ, აფრა კი ისე დაამაგრონ ფურცელზე რომ მიიღონ მოცულობითი ფორმა.

დავალების პირობა:

დახატე ზღვის პეიზაჟი ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით. ამოჭერი და ჩააწებე ნამუშევარში ნავის გამოსახულება, აფრა კი ისე დაამაგრე ფურცელზე, რომ მიიღო ამობურცული ფორმა.

შეკითხვები:

- რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიე დავალების შესასრულებლად?
- როგორი ფორმის ნავი გამოსახე?
- რომელი ფერები გამოიყენე ხალისიანი შთაბეჭდილების გადმოსაცემად?

გაკვ. 25. მოსეს თევზი

- როგორ გამოვიყენო რიტმი ნამუშევრის გასაფორმებლად?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოუთხრობს მოსწავლეებს მოსეს თევზის შესახებ ისტორიას:

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა: ებრაელებს უკან მტერი მოსდევდათ. როდესაც ისინი ზღვას მიადგნენ და გასაქცევი აღარსად ჰქონდათ, მათმა წინამძღოლმა მოსემ ზღვა შუაზე გააპო და და მშრალი ზღვის ფსკერის გავლით ებრაელები სამშვიდობოს გაიყვანა, მტერი კი ზღვამ შთანთქა. სწორედ იმ დროს, როდესაც ზღვა გაიხსნა, მოსემ ზღვის ფსკერზე ქვიშაში ჩამალულ ერთ თევზს შემთხვევით ფეხი დააბიჯა. მას შემდეგ ამ თევზს ბრტყელი ფორმა აქვს და მას მოსეს თევზს უწოდებენ.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოსახვით მოხაზონ მოსეს თევზის გამოსახულება.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით ქმნიან მოსეს თევზის სილუეტს, ისინი კონტურის ხაზით მოხაზავენ მის ფორმას საკუთარი წარმოდგენით, რის შემდეგაც სახელმძღვანელოში ნახულობენ მოსეს თევზის ფოტოებს.

მასწავლებლის აქტივობა:
მოდით, მოსეს თევზი გადავაქციოთ მხიარულ თევზად და მის წვეულებაზე მოვიწვიოთ ზღვის სხვა ბინადრები.

- როგორი ფორმა და ფერი ჰქონია მოსეს თევზს? კიდევ როგორი ფორმისა და ფერის თევზები იცით?
- ზღვის რომელ ბინადრებს იცნობთ?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ მათ მიერ ჩამოთვლილი ზღვის ბინადრები, დაასახელონ როგორი ფორმის არიან, რა ფერების არიან?

დავალების პირობა:

სხვადასხვა მასალით შექმენი ზღვის ბინადართა გამოსახულებები და დაასახლე ისინი

შენი ხელით შექმნილ აკვარიუმში.

პრაქტიკული სამუშაო:

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა მასალით გააფორმონ დახატული თევზები და გააფორმონ ისინი სხვადასხვა ტიპის ხაზებისა და ფორმების რიტმული მონაცვლეობით.
- ამისათვის მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ძაფები, ფერადი ფურცლები, პლასტილინი და სხვ.
- თევზების გაფორმების შემდეგ, თითოეულმა მოსწავლემ, სურვილის მიხედვით, ზღვის რომელიმე ბინადრის გამოსახულება შექმნას აპლიკაციის ტექნიკით.

ნამუშევრების წარდგენისას მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ ზღვის ბინადრების (თევზების, მედუზების და სხვათა) ფორმებზე, რა ხერხები გამოიყენეს მხიარული განწყობილების გადმოსაცემად, გამოსახულებაში რიტმის შესაქმნელად როგორი ფორმები გამოიყენეს, რა მასალითა და რომელი ტექნიკით შეასრულეს დავალება.

<u>გაკვ. 26. აკვარიუმი</u>

- რა მასალითა და რომელი ტექნიკით შევქმნა აკვარიუმი და მოვათავსო მასში მოძრავი ფიგურები?

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. სამუშაოდ მათ დასჭირდებათ მუყაოს ყუთები ან მუყაოს ნაჭერი, რომლის გადაკეცვითაც შესაძლებელი იქნება დიორამის შექმნა. რესურსებად გამოყენებული შეიძლება იქნეს კენჭები, ნიჟარები.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს, რომ კვლავ გრძელდება მათი მოგზაურობა ზღვის სამყაროში და თუ აქამდე ზღვებში მობინადრე თევზებსა და მის სხვა ბინადრებს ეცნობოდნენ, დღეს აკვარიუმში ესტუმრებიან თევზებს.

- ხომ არ გიფიქრიათ სახლში თევზების აკვარიუმში მოშენება?
- იცით რა არის აკვარიუმისათვის საჭირო? (კენჭები, ნიჟარები,წყალმცენარეები და სხვა)
- როგორი ფორმის აკვარიუმები არსებობს? (მრგვალი, ოთხკუთხა)
- როგორ შევქმნა აკვარიუმი სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით და გამოვსახო მასში მოცურავე თევზების გამოსახულებები?

დავალების პირობა:

მუყაოს ყუთისაგან გააკეთე აკვარიუმი და მასში მოათავსე სხვადასხვა ფორმის ფერადი თევზები.

პრაქტიკული სამუშაო:

- მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს მათ, ყუთების/მუყაოების გაფორმებას ზღვის ფერებში (ან საღებავებით, ან ფერადი ფურცლებით), რის შემდეგაც მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში გამოსახულ წყალმცენარეების გამოსახულებას.
- წყვილები ფერადი ფურცლებიდან ჭრიან სხვადასხვა ფორმის წყალმცენარეებს და აწებებენ ყუთში/მუყაოზე და ზემოდან ყუთზე.
- ამის შემდეგ სხვადასხვა მასალით (დაკუჭული ფურცლები ან კენჭები, ან ნიჟარები)

აფორმებენ აკვარიუმის ფსკერს.

- ბოლოს კი წინა გაკვეთილზე მათ მიერ შექმნილ ზღვის ბინადრებს. გამოჭრიან და ძაფის საშუალებით ჩამოკიდებენ ყუთში ან დააწებებენ მუყაოზე.
- ნამუშევრების წარდგენისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ მათ მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკაზე, ფორმებსა და ფერებზე, რომლებითაც შექმნეს წყალქვეშა სამყარო. სასურველია, მოსწავლეებმა ისაუბრონ თავიანთ შთაბეჭდილებებზე მიღებული დავალებიდან.

შეკითხვები:

- რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენე აკვარიუმის შესაქმნელად?
- როგორი ფორმები და ფერები გამოიყენე წყალქვეშა სამყაროს (წყალმცენარეების, კენჭების, თევზების) გამოსასახად?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

კომპლექსური დავალება

გაკვ. 27 თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი სამაგიდო თამაში მოგზაურობის შესახებ, რომლის დროსაც მეგზურობას შენ მიერ გამოძერწილი ოთხფეხა მეგობარი (შენი საყვარელი ცხოველი) გაგიწევს; აირჩიე გრძივი ან განივი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური) ფურცელი; მის ერთ ბოლოში აღნიშნე გზის (მოგზაურობის) დასაწყისი, მეორეში კი – დასასრული. გასავლელი გზა გააფორმე სხვადასხვა ტიპის ხაზით, შენით აირჩიე, რთულ გზას როგორი ხაზებით გამოსახავ, იოლს კი – როგორით. გზად მთები, ზღვები, ტყეები, ქალაქები და სოფლები უნდა გაიაროთ. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი მიუჩინე ფორმატზე. ყურადღება გაამახვილე ფორმებზე, შეეცადე ფერებით მიგვახვედრო, სად გადაგხდა მხიარული თავგადასავალი და სად – ფათერაკებით აღსავსე.

შენი ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- ვისთან ერთად გაემგზავრე სამოგზაუროდ?
- რა მასალით შექმენი შენი ოთხფეხა მეგობარი და როგორი ფორმები გამოიყენე მის შესაქმნელად? (სამ.ცნ.1, 2)
- რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენე შენი სამაგიდო თამაშისათვის?
- რომელი ფორმატი აარჩიე შენი თამაშისათვის, განივი თუ გრძივი და რატომ?
- როგორ გადაანაწილე გამოსახულებები შენს თამაშში?
- სად იწყება მოგზაურობა და სად სრულდება?
- როგორ ამოვიცნოთ მხიარული და ფათერაკებით აღსავსე გზები?
- როგორი ფორმები გამოიყენე ქალაქის, სოფლის, ზღვებისა და მთების გამო-სასახად?

II კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულგამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები: საშუალებები (ელემენტები)

- **ხაზი –** სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, კონტური.
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი.
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D).
- **ხერხები (პრინციპები) –** რიტმი, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა, ქანდაკება

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (შედეგი1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ანიმალისტური ჟანრი.

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი სამაგიდო თამაში მოგზაურობის შესახებ, სადაც მეგზურობას, შენ მიერ გამოძერწილი ოთხფეხა მეგობარი გაგიწევს (შენი საყვარელი ცხოველი), ფორმატის ერთ ბოლოში აღნიშნე გზის (მოგზაურობის) დასაწყისი, მეორეში კი – დასასრული. გასავლელი გზა გააფორმე სხვადასხვა ტიპის ხაზებით, შენით აირჩიე, რთულ გზას როგორი ხაზებით გამოსახავ, იოლს კი – როგორით. გზად მთები, ზღვები, ტყეები, ქალაქები და სოფლები უნდა გაიაროთ. თითოეული მათგანი გადაანაწილე შენს ფორმატზე. ყურადღება გაამახვილე ფორმებზე, შეეცადე ფერებით მიგვახვედრო სად გადაგხდა მხიარული თავგადასავალი და სად – ფათერაკებით აღსავსე. აირჩიე ფორმატი, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად და მიზანმიმართულად იყენებს მიღებულ ცოდნას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულგამომსახველობითი საშუალებებს.(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) შემოქმედებითად უდგება შესარულებელ სამუშაოს, იყენებს **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკას**, **მრავალფეროვან მასალას.გამოირჩევა ორგინალური ხედვით სამაგიდო თამაშზე მუშაობისას.** **ნამუშევრის წარდგენა**: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას მის მიერ შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებაზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:**გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

IV თემატური მატრიცა

კლასი: II
თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: შთაბეჭდილება და იდეა
საათების სავარაუდო რაოდენობა: 10

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ჩემს გარშემო არსებულ ხელოვნების ნიმუშებს ჩვენზე გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია;
- ხელოვნების ნიმუშების გაცნობით ჩვენ ახალი იდეები გვიჩნდება;
- ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა ამბებს, სხვადასხვა ფორმითა და ფერით მოგვითხრობენ და ჩვენ გარკვეულ განწყობას გვიქმნიან;
- ხელოვნების ნიმუშებიდან მიღებული ემოციები შემიძლია ავსახო ჩემს ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამოსახველობითი საშუალებებით, ხერხებით, მასალითა და ტექნიკით.

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

საშუალებები (ელემენტები)

- **ხაზი –** სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, კონტური.
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ღია და მუქი;
- **ხერხები (პრინციპები) –** ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება.

2. სამიზნე ცნება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები: პეიზაჟი, ყოფითი, პორტრეტი

საკითხი – ხელოვნების ნიმუშებიდან მიღებული შთაბეჭდილებების და იდეების გადმოცემა ნამუშევარში.

საკვანძო შეკითხვები:

- შეუძლია თუ არა ხელოვნების ნიმუშს ჩვენზე გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენა?
- შესაძლოა თუ არა ხელოვნების ნიმუშების გაცნობით ახალი იდეები გაჩნდეს?
- რა სახით გვაწვდის ინფორმაციას ხელოვნების ნიმუში და რისი საშუალებით ზემოქმედებს ჩვენზე?
- როგორ გადმოვცეთ ხელოვნების ნიმუშიდან მიღებული ემოციები ჩვენს ნამუშევარში შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, ხერხებით, მასალითა და ტექნიკით?

კომპლექსური დავალების პირობა:

დახატე შენი საოცნებო პარკი, ამისათვის გამოიყენე შერეული ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, მოზაიკა). გამოსახულებები გადაანაწილე ფორმატზე. გამოიყენე სხვადასხვა ფორმა და ფერები განწყობილების შესაბამისად. პარკში დაპატიჟე შენი საყვარელი პერსონაჟები, მოუძებნე მათ შესაბამისი ადგილი.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

წარმოიდგინე შენ საყვარელ ზღაპრის ან ანიმაციის პერსონაჟებს რომ შეხვდე, და მათთან ერთად ზღაპრულ სამყაროში მოგიწიოს მოგზაურობა. ეს ზღაპრული სამყარო სასახლეებით, სახლებით, ატრაქციონებით, ფერადი ბუშტებით, უამრავი ტკბილეულით იყოს სავსე. თუმცა ვინ იცის , იქნებ შენ ტკბილეულის გორებს, სხვა რამეს ამჯობინებ? არჩევანი შენზეა, როგორ ზღაპრულ პარკს შექმნი იმისათვის, რომ შენ, შენს მეგობრებს და ზღაპრულ პერსონაჟებს მხიარულება და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები გაჩუქოთ.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები <u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • აღწერე, როგორია შენი საოცნებო პარკი? • რომელი პერსონაჟები მოიწვიე შენს პარკში და რომელი როგორ ამოვიცნოთ ისინი? (სამ.ცნ.1) • რა **მასალა და ტექნიკა** გამოიყენე პარკის შექმნისას? (სამ.ცნ 2) • რომელი **ფორმები** გამოიყენე ნამუშევრის შექმნისას და რატომ? მაჩვენე მაგალითები ნამუშევრიდან (სამ.ცნ.1) • რა დანიშნულება აქვს შენს ნამუშევარში **ხაზებს** და როგორია ისინი? (სამ.ცნ.1) • როგორ **გადაანაწილე გამოსახულებები** შენს საოცნებო პარკში? (სამ.ცნ.1) • როგორი განწყობილება სუფევს შენს საოცნებო პარკში და რა ქმნის ამ განწყობილებას? (სამ.ც.1)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები: მოსწავლის სახელმძღვანელო

<u>დისნეილენდი</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს დისნეილენდის ვიდეოებს/სურათებს

- რა მოგეწონა ყველაზე უფრო დისნეილენდში ?
- ყოფილხართ თუ არა საბავშვო გასართობ პარკში?
- რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად პარკში სეირნობისას?
- შენ რომ დაგავალონ საოცნებო პარკის აშენება , როგორ პარკს შექმნიდი?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღება მიაქციონ დისნეილენდში არსებული შენობების ფორმებს, ფერებს, დისნეილენდის პერსონაჟებს.

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორ შევქმნა საოცნებო პარკი მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმებით, სხვადასხვა ტექნიკით?
- მხიარული განწყობილების გადმოსაცემად როგორი ფორმები და ფერები გამოვიყენო?
- რა უნდა გავითვალისწინო, რომ ჩემ მიერ გამოსახული პერსონაჟები ამოიცნონ?

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ დაინახოს/გააცნობიეროს, რომ ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა მიზნით ქმნიდნენ. ხელოვნების ნიმუშით მიღებული შთაბეჭდილებები და ემოციები მოსწავლეს საკუთარ ნამუშევარში შეეძლოს გამოსახოს სხვადასხვა ფერითა და ფორმით, რომლებიც მის ემოციებს გამოხატავს. მოსწავლემ შესძლოს, დააკავშიროს ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებები სახვით ხელოვნებასთან; აღიქვას, რომ ხელოვნება ჩვენს გარშემო ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანი და გარესამყარო.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული,ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ღია და მუქი;
- **ხერხები:** ჰორიზონტალური (განივი) და ვერტიკალური (გრძივი) ფორმატი, ნამუშევარში გამოსახულებების გადანაწილება.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

- **ქვეცნებები:** – ანაბეჭდი, ხატვა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

- **ქვეცნებები:** მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

- **ქვეცნებები:** პეიზაჟი

გაკვ. 28. გაზაფხული

- რა ეფექტების მიღებაა შესაძლებელი ანაბეჭდის ტექნიკით?

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ გაკვეთილისათვის დაგჭირდებათ გუაშის საღებავები და სხვადასხვა მასალა ანაბეჭდის ტექნიკის დასამუშავებლად, მაგ., სალათის ფოთლები, ან რომელიმე დიდი ზომის რბილი ფოთოლი, განსხვავებული ზედაპირის მქონე ნივთები, დაკუჭული მუშამბა ან ქაღალდი და სხვ.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვავს შეკითხვებს:

- როგორ ვხვდებით გაზაფხულის მოსვლას?
- აღწერეთ გაზაფხულის სურათი.

კითხვა-პასუხის შემდეგ, მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ პეიზაჟებს.

შეკითხვები ილუსტრაციებისთვის:

- წელიწადის რომელი დროა ნაჩვენები სურათებზე?
- როგორ მიხვდით, რომ გაზაფხულის პეიზაჟებია?
- რა ფერები გამოიყენეს მხატვრებმა?
- როგორი ფორმისაა აყვავებული ხეები? ყვავილები?
- გაზაფხულის სურათების გადმოსაცემად მხატვარი ღია ფერებს იყენებს თუ მუქს?
- როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს მხატვარი პეიზაჟში ღია ფერებს?
- შეიძლება მხოლოდ ფერებით გადმოვცეთ გაზაფხულის განწყობილება?

<u>ანაბეჭდის ტექნიკის მაგალითები</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის ანაბეჭდის ტექნიკას, აჩვენებს მცირე ვიდეოს, რის შემდეგაც მის ხელთ არსებული მასალით მოსწავლეებს თავად აჩვენებს ანაბეჭდის ერთ-ორ მაგალითს. მაგალითის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებს ჩაატარებინებს ექსპერიმენტს დაკუჭული ხელსახოცის, ღრუბლის ან რომელიმე ხელმისაწვდომი ნივთის საშუალებით, რის შემდეგაც მოსწავლეებს სთხოვს, აირჩიონ ის ფერები, რომლებიც, მათი აზრით, გაზაფხულს უკავშირდება.

მოსწავლეების მიერ ფერების დასახელების შემდეგ (სავარაუდოდ, მოსწავეები დაასა-ხელებენ ვარდისფერს, ღია მწვანეს,), მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორ შეიძლება მიიღონ მათ მიერ დასახელებული ღია ფერები. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ატარებს ექსპერიმენტს და თეთრი ფერის მიღებით ჰქმნის ღია ფერებს.

დავალების პირობა:

ანაბეჭდის ტექნიკის გამოყენებით შექმენი ბუნების ხედი გაზაფხულზე, აყვავებული ხეებისა და ყვავილების გამოსახულებებით; შეარჩიე შესაბამისი ფერები.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ქმნიან გაზაფხულის პეიზაჟს ანაბეჭდის ტექნიკით. მოსწავლეები ფურცელზე (შესაძლოა ცისფერ ფურცელზე) მოხაზავენ ხის კონტურებს და შემდეგ ღია ფერებით, ანაბეჭდის ტექნიკით შექმნიან აყვავებული ხეების ეფექტს.

მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაციის დროს დასასმელი კითხვები:

- როგორ მოგეწონა სამუშაო პროცესი?
- რა ფერები გამოიყენე გაზაფხულის გადმოსაცემად?
- რომელი ფერების შერევით მიიღე .... ღია ფერი?
- რა მასალა გამოიყენე ანაბეჭდის მისაღებად?
- როგორი ფორმა მიეცი შენს ანაბეჭდს და რატომ?
- რა მიანიშნებს შენს სურათზე, რომ გაზაფხულია გამოსახული?

გაკვ. 29 სურათი და განწყობილება

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხედონ ფანჯარაში, ახედონ ცას და ცის ფერიდან გამომდინარე ისაუბრონ, თუ როგორი განწყობილება დაეუფლათ.

- რას ფიქრობთ, რატომ იმოქმედა ცის ფერმა თქვენს განწყობილებაზე?
- როგორი ფერია დღეს ცა?
- თქვენი აზრით, ფერებს შეუძლიათ შეცვალონ ჩვენი განწყობილება? როგორ? რატომ?
- მარტო ფერები მოქმედებენ განწყობილებაზე, თუ ფორმაც მნიშვნელოვანია? რატომ ფიქრობ ასე? შეგიძლია დაასახელო მაგალითი?

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, მოსწავლეები ათვალიერებენ გაკვეთილში წარმოდ-გენილ ილუსტრაციებს, მსჯელობენ მათზე.

შეკითხვები:

- როგორ განწყობილებას გიქმნით პოლ გოგენის ნამუშევარი? რატომ?
- როგორი ფერებით აქვს დახატული სურათი პოლ გოგენს?
- რას ფიქრობთ, როგორ მიიღო მან ეს ფერები?
- როგორ ხაზებს გვიხატავს პოლ გოგენი სურათზე და რატომ?
- როგორ განწყობილების გიქმნით პიერ ოგიუსტ რენუარის ნამუშევარი?
- რა გამოიყენა მხატვარმა სურათზე განწყობილების შესაქმნელად?
- რომელი ფერები გამოიყენა რენუარმა?
- რა განწყობილებას გადმოგვცემს ჰაროლდ ნაითი თავის ნამუშევარში? რატომ ფიქრობ ასე?
- რომელი ფერები გამოიყენა მხატვარმა შენ მიერ დასახელებული განწყობილების გადმოსაცემად?
- როგორი განწყობილება გეუფლება, როდესაც პიერ ბონარის ნამუშევარს უცქერ?
- რისი საშუალებით შეგიქმნა განწყობილება მხატვარმა?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები მსჯელობენ ილუსტაციებში გამოყენებულ ფერებზე, ფორმებზე და ხაზებზე. გამოხატავენ საკუთარ განწყობილებას, რომელიც შეექმნათ ნამუშევრების დათვალიერებისას.

დავალების პირობა:

შეარჩიე თემა, სახატავი მასალა, შესაბამისი ფერები, ხაზები და ფორმები შენი სურათისათვის, რომელზეც გადმოცემული იქნება შენთვის სასურველი განწყობილება.

პრაქტიკული სამუშაო:
პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ გამოფინეთ მოსწავლეების ნამუშევრები და თანაკლასელებმა იმჯელონ ერთმანეთის ნამუშევრებში გადმოცემულ განწყობილებაზე.

გაკვ. 30. რას გვიყვება სურათი

მასწავლებლის აქტივობა:
რას ფიქრობთ, რა ამბებს გვიყვებიან მხატვრები თავიანთი სურათებით? ხომ არ გახსენდებათ რომელიმე სურათი, რომელშიც მხატვარმა საინტერესო ამბავი გადმოგვცა? მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი აზუსტებს შეკითხვებით:

- შეგიძლია დაზუსტებით აღწერო რა ეხატა შენს მიერ დასახელებულ სურათზე?
- სად ხდებოდა ამბავი? ოთახში თუ ბუნებაში? როგორ მიხვდი ამას?
- ვინ იყვნენ გამოსახული სურათზე? რა ეცვათ? როგორი ვარცხნილობა ჰქონდათ?
- რა ფერები ჰქონდა მხატვარს გამოყენებული?
- როგორ ფიქრობ, ვინ იყო მთავარი სურათზე და რატომ ფიქრობ ასე? და სხვ.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში, გაკვეთილში გამოსახული ილუსტრაციები და აღწერონ სურათები.

შეკითხვები:

- ვინ არიან გამოსახულები პირველ სურათზე? რატომ ფიქრობ ასე? (პიტერ დე ჰოოხი)
- სად იმყოფებიან პერსონაჟები?
- რა ამბავს გვიყვება მხატვარი?
- ამ სურათის საშუალებით რა შევიტყვეთ?
- როგორ ფიქრობთ, რა ხდება მეორე სურათზე? (პიერ ბონარი)
- მსგავსი ამბავი თქვენც ხომ არ გადაგხდენიათ ?

რეკომენდაცია: შეეცადეთ, ილუსტრაციებზე წარმოდგენილი სიუჟეტები დაუკავშიროთ მოსწავლეთა პირად გამოცდილებას, ხომ არ ეცნოთ ამბავი? ხომ არ არიან მსგავსი ამბის მომსწრენი?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები მსჯელობენ ილუსტრაციებზე.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მხატვრები ხშირად ხატავენ ადამიანის ყოფა-ცხოვრების ამსახველ სურათებს და ამგვარი სურათები ყოფით ჟანრს განეკუთვნება.

შენიშვნა: ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ ევალებათ ჟანრების დასახელების ცოდნა და მათი განმარტებები. ისინი ეტაპობრივად უნდა მიეჩვიონ ტერმინებს და შესძლონ ნელ-ნელა ნამუშევარში ჟანრის ამოცნობა.

მასწავლებლის აქტივობა:

შეკითხვები:

- დააკვირდით ილუსტაციებს, როგორ ფორტმატზეა გამოსახული პირველი სურათი, ჰორიზონტალურზე თუ ვერტიკალურზე?
- რას ფიქრობ, რატომ შეარჩია მხატვარმა ვეტიკალური/ჰორიზონტალური ფორმატი?

- როგორ გადაანაწილა ანრი მატისმა ფიგურები თავის ნამუშევარში? პიერ ბონარმა? რა შეიცვალა ფიგურათა ასეთი გადანაწილებით?
- რომელ სურათში ჩანს უკეთ ოთახი და რატომ?
- რა გვიქმნის ამ სურათებში განწყობილებას? (ფერი) რატომ ფიქრობ ასე?

დავალების პირობა:

მოიფიქრე, რომელი ამბის მოყოლა და როგორი განწყობილების გადმოცემა გინდა შენს ნამუშევარში და ამის მიხედვით შეარჩიე შესაბამისი ფერები. გადაწყვიტე, როგორ ფორმატზე (გრძივზე თუ განივზე) გამოსახავ ამბავს და როგორ გაანაწილებ ფიგურებს ფურცელზე.

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ ნამუშევრები გამოიფინება კლასში და მოსწავლეები შეეცდებიან მიხვდნენ, თუ რა ამბავი გამოსახა მისმა თანაკლასელმა.

გაკვ. 31. ჩემი საყვარელი გმირი

მასწავლებლის აქტივობა:

შეკითხვები:

- რომელია თქვენი საყვარელი ზღაპრის ან მულტფილმის გმირი?
- რატომ მოგწონს იგი?
- შეგიძლია აღწერო შენი საყვარელი ზღაპრის/მულტფილმის გმირის გარეგნობა?
- რა აცვია შენს ... ? აქვს თუა რა მას რამე განსაკუთრებული ნიშანი, რითიც შეიძლება იგი სხვებისგან გამოარჩიო?

მოსწავლის აქტივობა:

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები ათვალიერებენ გაკვეთილში წარმოდგენილი მულტფილმისა და ზღაპრების გმირებს და ცდილობენ ამოიცნონ მულტფილმი/ზღაპარი და პერსონაჟი.

მასწავლებლის აქტივობა:

გმირებისა და მულტფილმის/ზღაპრის გმირის ამოცნობის დროს მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაუსვას დამაზუსტებელი შეკითხვები: რა გამორჩეული გარეგნული ნიშნები აქვს მათ საყვარელ გმირს, როგორი ფორმებითაა იგი შექმნილი, როგორი აქსესუარები აქვს ამა თუ იმ პერსონაჟს.

დავალების პირობა:

დახატე შენი საყვარელი გმირი. გაიხსენე მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი და ნამუშევარში ამის გადმოსაცემად გამოიყენე სხვადასხვა ფორმა და ფერი.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს მათი საყვარელი გმირის გამოსახულებით.
- ისინი ასახავენ გმირის გარეგნობას, ჩაცმულობას, იმ ნივთებს, რომლებიც მასთანაა დაკავშირებული ან სულ თან დააქვს ამ კონკრეტულ გმირს.
- ამისათვის მათ უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ფორმები, ფერები; მათ შეუძლიათ გმირის განწყობილებაც გადმოსცენ ნამუშევარში.
- ნამუშევრის დასრულების შემდეგ ისინი კლასს წარუდგენენ საკუთარ ნამუშევარს.
- ერთი მოსწავლის პრეზენტაციისას დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ, თუ რომელი გმირი დახატა პრეზენტატორმა.

ნაბიჯი 2

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი;
- **ხერხები** – ჰორიზონტალური (განივი) და ვერტიკალური (გრძივი) ფორმატი, ნამუშევარში გამოსახულებების გადანაწილება.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: ხატვა, მოზაიკა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სამიზნე ცნება – სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნება: პეიზაჟი.

<u>გაკვ. 32. მოგზაურობა</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ საინტერესო, მხიარული მოგზურობა.

მოსწავლის აქტივობა:
ორი, სამი მოსწავლე კლასს მოუთხობს მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელი მოგზაურობის ამბავს.

შეკითხვები:

- რომელი ტრასპორტით იმოგზაურე?
- როგორი ხედი იშლებოდა ..... ფანჯრიდან?
- რას ფიქრობ, რით იყო განსაკუთრებულად საინტერესო ეს მოგზაურობა?
- რა სახის ტრანსპორტს ვიყენებთ მოგზაურობისას?

მოსწავლის აქტივობა:
მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოგზაურობის ამსახველ სურათებს და მსჯელობენ მათში გამოსახულ ტრანსპორტზე, მის ფორმებზე. მსჯელობენ ფერებზე და გამოთქვამენ აზრს ნამუშევრების შესახებ, რომელი მოეწონათ და რატომ? რომელმა შეუქმნა კარგი განწყობილება და რა იყო ამის მიზეზი.

დავალების პირობა:
დახატე მოგზაურობის ამსახველი სურათი. ამისათვის აირჩიე გრძივი ან განივი ფორმატი. მოიფიქრე, რომელი ტრასპორტით მიემგზავრები და გაიხსენე ამ ტრანსპორტის დამახასიათებლი ფორმები. ნამუშევარში გამოსახულებები გადაანაწილე პეიზაჟის ფონზე. შექმენი მხიარული განწყობა ფერებისა და ფორმების გამოყენებით.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, საუბრობენ მათ მიერ დახატულ მხიარულ მოგზაურობაზე.

შეკითხვები პრეზენტაციისათვის:

- სად და რომელი ტრანსპორტით იმოგზაურე?

- როგორი ფორმატი აარჩიე შენი ნამუშევრისათვის და რატომ?
- მოგზაურობის დროს, როგორი პეიზაჟი იშლებოდა შენს თვალწინ?
- რა ფერები გამოიყენე პეიზაჟის ხატვისას და რატომ?
- როგორი ფორმისაა შენ მიერ არჩეული ტრასპორტი?
- როგორ გადაანაწილე გამოსახულებები ნამუშევარში?
- რომელი ფერებისა და ფორმების გამოყენებით შექმენი მხიარული განწყობილება სურათში? რატომ ფიქრობს ასე?

<u>გაკვ. 33. პარკი გუელი</u>

<u>პარკი გუელი</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე მოგზაურობებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს და მოუთხრობს, რომ ხშირად ადამიანები დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს უცხო ქვეყანაში მოგზაურობიდან იღებენ. ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში არსებობს პარკი გუელი, რომელსაც ,,საოცრებათა ქვეყანას“ უწოდებენ.
მასწავლებელი ათვალიერებინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში განთავსებულ ილუსტრაციებს, სურვილის შემთხვევაში მცირე ვიდეოსაც.

შეკითხვები:

- რას ფიქრობთ, რატომ უწოდეს ამ პარკს „საოცრებათა ქვეყანა“?
- რას გაგონებთ გუელის პარკი?
- როგორი ფორმისაა სვეტები? რას ჰგავს?
- როგორი ფორმისაა შენობები?
- როგორი ხაზებით შეგვიძლია დავხატოთ გუელის პარკი?
- როგორი ფორმები უნდა გამოვიყენოთ გუელის პარკის ხატვისას და რატომ?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას: გუელის პარკში არსებული ნაგებობები მოკლებულია სწორ ხაზებს, კუთხეებს. ნაგებობათა ტალღოვანი ფორმები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მთელი პარკი ,,ღელავს“ და მოძრაობს.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს მოზაიკაზე და უხსნის, რომ მოზაიკა ისეთი ტექნიკაა, რომლის დროსაც გამოსახულებას ფერადი კენჭებისგან აწყობენ. მას ხშირად შენობის გასაფორმებლად იყენებენ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლებს, დააკვირდნენ პარკი გუელის შადრევნის დეტალებს და გამოხატონ საკუთარი შთაბეჭდილებები.

შეკითხვები:

- ამოიცანით ნაცნობი ფიგურები პარკი გუელის შადრევანზე?
- როგორი ფორმები აქვს ამ ფიგურას?
- როგორ განწყობილებას გიქმნით და რატომ?
- რომელი ფერებია გამოიყენებული ამ ფიგურის მოსართვად და რატომ გამოიყენეს ავტორებმა ეს ფერები?
- რით მორთეს ავტორებმა შადრევანი?

ილუსტრაციებზე მსჯელობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს.

დავალების პირობა:
დახატე უცნაური ფორმის სახლები. გამოიყენე ბუნებაში არსებული ფორმები და ტალღოვანი ხაზები. შენობები გააფორმე ორნამენტით.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ხატავენ უცანური ფორმის სახლებს, ბუნებრივი ფორმებისა და ტალღოვანი ხაზების გამოყენებით და აფორმებენ სურვილისამებრ.
- ისინი ირჩევენ შესაბამის ფორმატს (გრძივი/განივი).
- შესაძლებელია მათ ეს სახლები შესაბამის გარემოში გამოსახონ.
- პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ, კლასში მოეწყობა საკლასო გამოფენა.
- მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა შეიძლება დაფაზე, თოკზე, სპეციალური სარჭებით და შესაძლოა ჩატარდეს ექსკურსიის სიმულაცია, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთმანეთს გიდობას გაუწევენ და მოუთხრობენ საკუთარ ნახატზე გამოსახულ სახლებზე, მის ფორმებზე, გარშემო არსებულ ბუნებაზე და სხვ.

<u>გაკვ. 34. მოზაიკა</u>

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე გუელის პარკში ნანახ მოზაიკებს და სთხოვს შთაბეჭდილებების გაზიარებას. მოსწავლეთა ემოციების და შთაბეჭდილებების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს მოზაიკის ტექნიკას.

ხელოვანები მოზაიკის შექმნამდე ქმნიან ჩანახატს, შემდეგ მისი მონახაზი გადააქვთ კედელზე და ფერადი კენჭებით ქმნიან ნახატს.
მოზაიკით შენობებს გარედანაც აფორმებენ, ხშირად შენობის შიდა კედლებიც და იატაკიც მოზაიკებითაა მორთული.

შეკითხვები:

- რას ფიქრობთ, რატომ აფორმებენ შენობებს მოზაიკით?
- როგორ განწყობილებას გიქმნით ფერადი სახლები?
- რას ფიქრობთ, მოზაიკით მარტო სახლების გაფორმებაა შესაძლებელი?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ გაკვეთილში მოცემულ მოზაიკური ნამუშევრების ნიმუშებს და აღწერონ ისინი. აღწერისას მოსწავლეების ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როგორი ფერებია გამოყენებული თითოეულ მათგანზე (ცივი და თბილი, მუქი და ღია, ძირითადი და შედეგენილი), როგორი ზომისა და ფორმისაა მოზაიკის ნატეხები – კენჭები (დიდი, საშუალო ზომის თუ პატარა, სწორკუთხედის ფორმისაა თუ არა). გარდა ამისა, მათ უნდა იმსჯელონ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს და როგორ განწყობილებას ქმნის თითოეული ეს ნიმუში თავისი ფერადოვნებიდან გამომდინარე.

მოსწავლეთა პასუხის შემდეგ მასწავლებელი სთვაზობს მოსწავლეებს მოზაიკური ნამუშევრის შექმნას.

დავალების პირობა:

მოზაიკის ტექნიკით შექმენი ნამუშევარი. ფერადი ფურცლები დაჭერი ზოლებად, შემდეგ კი ეს ზოლები პატარ-პატარა ოთხკუთხედებად დაანაწევრე. ფურცელზე მოხაზე ფორმა და ჩააწებე

დაჭრილი ფერადი ფურცლები. ფურცლებს შორის შეეცადე დატოვო პატარა მანძილი.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ფურცელზე ხაზავენ რამდენიმე ფიგურას (მარტივ გეომეტრიულ თუ ბუნებაში არსებულ ფორმებს), მაგ., ყვავილს, სამკუთხედს, ოთხკუთხედს, პეპელას და სხვ. ფიგურები დიდი ზომის უნდა იყოს, რადგან პირველი მცდელობისათვის პატარა ფიგურებზე მოზაიკის ტექნიკით მუშაობა მოსწავლეებს გაუჭირდებათ.
- შემდეგ მოსწავლეები ფერადი ფურცლებისაგან ჯერ გამოჭრიან ზოლებს, შემდეგ კი ამ ზოლებს დაჭრიან პატარა ორთხკუთხედებად და დაიწყებენ წინასწარ მოხაზულ ფორმაში სათითაოდ მათ ჩაწებებას.
- გამოსახულების შექმნა უმჯობესია კონტურის შემოხაზვიდან დაიწყონ და ნელ-ნელა შეავსონ ფორმა ისე, რომ ფერად დაჭრილ ქაღალდებს შორის მცირე მანძილი დატოვონ.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ გამოიფინოს მოსწავლეთა ნამუშევრები. პრეზენ-ტაციის დროს მოსწავლეებმა ისაუბრონ მოზაიკის გაკეთების ტექნოლოგიაზე და სირთულეებზე.

შეკითხვები:

- რომელი ტექნიკით შექმენი ნამუშევარი?
- რა გამოსახე მოზაიკის ტექნიკით?
- როგორი ფორმები და ფერები გამოიყენე შენი ნამუშევრისათვის?
- როგორი იყო მოზაიკის ტექნიკაში მუშაობა, გაგვიზიარე შთაბეჭდილებები.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

კომპლექსური დავალება

გაკვ. 35. ზღაპრული პარკი

https://www.pinterest.com.mx/search/pins/?q=wonder%20park%20for%20kids%20painting&rs=-typed

დავალების პირობა:

დახატე ზღაპრული პარკი, ამისათვის გამოიყენე შერეული ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, მოზაიკა). გამოსახულებები გადაანაწილე ფორმატზე. გამოიყენე სხვადასხვა ფორმა და ფერები განწყობილების შესაბამისად. პარკში დაპატიჟე შენი საყვარელი პერსონაჟები მოუძებნე მათ შესაბამისი ადგილი.

შენი ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- აღწერე, როგორია შენი ზღაპრული პარკი?
- რომელი პერსონაჟები მოიწვიე შენს პარკში და როგორ ამოვიცნოთ ისინი?
- რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენე პარკის შექმნისას?
- რომელი ფორმები გამოიყენე ნამუშევრის შექმნისას და რატომ? გვაჩვენე მაგა-ლითები ნამუშევრიდან.
- რა დანიშნულება აქვს შენს ნამუშევარში ხაზებს და როგორია ისინი?
- როგორ გადაანაწილე გამოსახულებები შენს ზღაპრულ პარკში?
- როგორი განწყობილება სუფევს შენს ზღაპრულ პარკში და რა ქმნის ამ განწყო-ბილებას?

II კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები: საშუალებები (ელემენტები)

- **ხაზი** – სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, კონტური.
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ღია და მუქი;
- **ფერი ხერხები (პრინციპები)** ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება.

2. სამიზნე ცნება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები: პეიზაჟი, ყოფითი, პორტრეტი

კომპლექსური დავალების პირობა: დახატე შენი საოცნებო პარკის გამოსახულება; ამისათვის გამოიყენე შერეული ტექნიკა (ხატვა, ანაბეჭდი, მოზაიკა). გამოსახულებები გადაანაწილე ნამუშევარში. გამოიყენე სხვადასხვა ფორმები (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), განწყობილების შესაბამისად გამოიყენე ფერები. საოცნებო პარკში დაპატიჟე შენი საყვარელი პერსონაჟები და მოუძებნე შესაბამისი ადგილი პარკში.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს მდიდარ ფანტაზიას და წარმოსახვის უნარს,მისი ჩანაფიქრის შესასრულებლად , მიზანმიმართულად იყენებს თავზე და გარემოზე დაკვირვების შედეგებს. მიზანმიმართულად იყენებს **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებს(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკას. გამოირჩევა თანმიმდევრულობით, ორიგინალური მიდგომით, **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:**გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. ნამუშევრის წარდგენა:ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:**გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

V თემატური მატრიცა

კლასი: II
თემატური ბლოკი: ადამიანი და ხელოვნება
თემა: ხელოვნება ჩვენ გარშემო
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 საათი

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს ხვდებიან როგორც მუზეუმებში და გალერეებში, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში (ნახატები, ქანდაკებები, შენობები, სამოსი, საყოფაცხოვრებო საგნების დიზაინი და სხვ.)
- ხელოვნების ნებისმიერ დარგს საკუთარი გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები აქვს.
- ხელოვნების სხვადასხვა დარგი განსხვავებულ მასალას იყენებს ნამუშევრის შესაქმნელად.
- მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი ხელოვნების სხვადასხვა დარგს წარმოადგენენ.
- თეატრი ხელოვნების დარგია და მხატვარი სპექტაკლის გაფორმებაზე ზრუნავს.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ- გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,2,3,4)**

   ქვეცნებები:

   - **ხაზი –** სხვადასხვა ტიპის ხაზი: სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
   - **ფორმა –** სხვადასხვა ტიპის ფორმა: მარტივი გეომეტრიული (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე, ოვალი და ა.შ.), ბუნებაში არსებული. სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D);
   - **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, მუქი და ღია;

2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)**

   ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება (მაგ., მარტივი არქიტექტურული ნაგებობის მოდელი, დიორამა).

3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. (შედეგი 1,2. 3,4)**

   ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, გამოყენებითი ხელოვნება.

4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები. (შედეგი 1,2. 3,4)**

   ქვეცნება: პეიზაჟი

საკითხი – სახვითი ხელოვნების დარგები და მისი წარმომადგენლები.
საკვანძო შეკითხვები:

- სად ხვდება ადამიანი ხელოვნებას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- როგორ ამოვიცნოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგი?
- რომელი პროფესიები გვხვდება ხელოვნებაში?
- როგორ გავაკეთოთ თეატრალური დეკორაცია ?

კომპლექსური დავალების პირობა:

ზღაპრების სამყარო

აირჩიე რომელიმე ზღაპარი და გააცოცხლე მისი ერთ-ერთი სცენა. ამისათვის შექმენი დიორამა, რომელზეც გამოსახული იქნება ზღაპრის გმირების გარემო. ნამუშევრის ფონი შეასრულე შერეული ტექნიკით. გამოძერწე ან მარტივი კონსტუქციით შექმენი ზღაპრის გმირების გამოსახულებები (თოჯინები).

საგანთაშორისი კავშირები:

სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება საშუალებას მისცემს მოსწავლეს მრავალი კუთხით დაინახოს საკითხები. მაგ., ქართული ენის საგანში მიღებული ცოდნა დაეხმარება წარმოსახვის გავარჯიშებაში, რაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია. საგანში „ბუნება“ მიღებული ცოდნა ბუნების ხედების გამოსახვისას შეიძლება გამოიყენონ. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ სასკოლო საგანში მიღებული ცოდნა ამ კონკრეტული საგნის ფარგლებში არ დარჩეს. კომპლექსური დავალებისაკენ მიმავალ ყველა ნაბიჯში და უშუალოდ დავალების შესრულებისას მოსწავლეები შეძლებენ ცოდნის გამთლიანებას და ამ ცოდნის შემოქმედებითად რეალიზებას.

ამავე დროს, კომპლექსური დავალება წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალის და შეძენილი უნარების გამოყენებასაც გულისხმობს. ზღაპრის გაცოცხლებისას მოსწავლეები ხელოვნების სხვადასხვა დარგის და მათი გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით შექმნიან ახალ შემოქმედებით ნამუშევრებს.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

წარმოიდგინე, რომ მოხდი ქუჩაზე, სადაც შენი საყვარელი ზღაპრებიდან გადმოსული გმირები გხვდებიან; სადაც ამ ზღაპრებში აღწერილი შენობები დგას. აგერ, შვიდი ჯუჯას სახლი, აგერ ყინულის დედოფლის ცივი და დიდებული სასახლე. ალბათ რა სიამოვნებით ისეურვებდი ამგვარ ქუჩაზე სეირნობას. საკუთარი ხელით ხომ არ შექმნიდი ასეთ ზღაპრულ სამყაროს?!

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • რომელი ზღაპრის დეკორაცია შექმენი? • რომელი პერსონაჟის თოჯინა შექმენი? • როგორ მივხვდეთ, რომ შენი თოჯინა და დეკორაცია შენს მიერ შერჩეული ზღაპრიდან არის? • რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე დეკორაციის შესაქმნელად? • რომელი ფორმები გამოიყენე თოჯინის შესაქმნელად და რატომ?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები:

<u>თოჯინების თეატრი</u>

<u>თეატრის დიორამა</u>

<u>დიორამა</u>

<u>დიორამა</u>

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა სამუშაო გაქვს შესასრულებელი შერჩეული ზღაპრის გასაცოცხლებლად?
- როგორი კონსტრუქცია უნდა შექმნა დიორამისათვის?
- რა მასალას გამოიყენებ პერსონაჟების შესაქმნელად?
- რა მასალა და რომელი ტექნიკა უნდა გამოიყენო ზღაპრის გარემოს შესაქმნელად?
- როგორი ხაზები, ფერები და ფორმები უნდა შეარჩიო ამა თუ იმ ეპიზოდის მხატვრული ფონის შესაქმნელად?
- როგორ ფერებს (მუქს ან ღიას) გამოიყენებ პერსონაჟების სახისათვის?

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსი ისაა, რომ მოსწავლემ გაიაზროს, როგორ შეუძლია გამოიყენოს მთელი თემატური ბლოკის ფარგლებში მიღებული ცოდნა ზღაპრის შინაარსის, გმირების, გარემოს შესაქმნელად და მთლიანობაში მის გასაცოცხლებლად. მოსწავლე გაიაზრებს, რომ ხელოვნება ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხვდება და მისი დახმარებით შეიძლება ხორცი შეასხა ნებისმიერ ჩანაფიქრს, თუნდაც გააცოცხლოს ზღაპარი. მოსწავლე იაზრებს, რომ მხატვრობის დარგში მიღებული ცოდნა და ნამუშევრების ხატვისას მიღებული გამოცდილება შეიძლება გამოიყენოს სასცენო ფონის შესაქმნელად. ხატვის და ძერწვის დროს მიღებული გამოცდილება დაეხმარება მას ფიგურების საკუთარი ხელით გამოძერწვაში. მოსწავლეები თემატური ბლოკის ფარგლებში გაეცნენ თუ როგორ უნდა შექმნან კონსტრუქციები მარტივი გეომეტრიული ფორმებით. ამ გამოცდილებასაც მოსწავლეები წარმატებით გამოიყენებენ დავალების შესასრულებისას. ამრიგად, მოსწავლეები ზღაპრის შინაარსს და პერსონაჟებს გააცოცხლებენ უკვე შესწავლილი გამოსახველობითი საშუალებებისა და მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით. ეს კიდევ ერთხელ იქნება იმის დემონსტრირება, რომ ხელოვნება არა მხოლოდ ხელოვანების პროფესიულ სამყაროში, მუზეუმებში, გალერეებსა და ამგვარ სპეციფიკურ დაწესებულებებშია, არამედ ჩვენი, ადამიანების გარშემოა და მას ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით.

კომპლექსური დავალების შესრულების და ზღაპრის გათამაშების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რომელი გამომსახველობითი საშუალებები (რა სახის ხაზი, როგორი ფერი და ფორმა) რომელი მასალა, ტექნიკა და ხერხები გამოიყენეს მუშაობის პროცესში, რა გაუადვილდათ და რა გადაწყვეტილებების მიღება დასჭირდათ მიზნის მისაღწევად.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ-ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,2, 3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი -** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა -** მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი -** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, მუქი და ღია;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, მარტივი კონსტრუქცია;

3. სამიზნე ცნება - სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა.

<u>გაკვ. 36. ვინ არის მხატვარი</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით:

- თუ იცით, ვინ არის მხატვარი? რას საქმიანობს ის?
- როგორ ნივთებს იყენებს მხატვარი მუშაობისას/ ხატვის პროცესში?
- როგორ წარმოგიდგენიათ მხატვრის სახელოსნო?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს. მათ უკვე გააჩნიათ ხატვის გამოცდილება და ამდენად არ გაუჭირდებათ იმის თქმა, თუ რა არის მხატვრის ძირითადი საქმიანობა, როგორ სახატავ იარაღებს იყენებს ის მუშაობის დროს. შესაძლებელია, მოსწავლეები მხატვრის სახელოსნოში არ არიან ნამყოფი, მაგრამ საკუთარი წარმოსახვით დაასახელებენ საღებავებს, ფუნჯებს, ფანქრებს, ფურცლებს, რაც მხატვრის სახელოსნოში, სავარაუდოდ, უნდა იყოს.
მასწავლებელი წარმართავს კითხვა-პასუხის პროცესს და მოსწავლეებს აცნობს მხატვრის ორ მნიშვნელოვან ატრიბუტს – პალიტრას და მოლბერტს. იგი უხსნის თითოეულის დანიშნულებას მოსწავლეებს. სავარაუდოდ, პალიტრის დანიშნულება მოსწავლეებმა იციან კიდეც, თუმცა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ფოტოები კიდევ ერთხელ შეახსენებს მათ, რომ პალიტრას მხატვრები ფერების წინასწარ შესაზავებლად იყენებენ.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ორ სურათს და მათი აღწერისას აღნიშნონ, როგორი ფერებია გამოყენებული თითოეულ მათგანზე.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები აღწერენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნამუშევრებს. ერთ მათგანზე ბუნების ხედი ღია ფერებითაა შესრულებული, ხოლო მეორეზე გამოყენებულია მუქი ფერები. შთაბეჭდილებაზე საუბრისას მოსწავლეები საკუთარ ემოციებს აღწერენ და საუბრობენ, რომელი სურათი როგორ ემოციას აღძრავს მათში.

შენიშვნა: ფერების, ისევე, როგორც სხვადასხვა ხაზის ან ფორმის აღქმა, უმეტესწილად ინდივიდუალურია. ამდენად, ამ აქტივობის არსი სწორედ ინდივიდუალური შთაბეჭდილების გაცნობიერება და გადმოცემაა და არა მუქი ან ღია ფერების უპირატესობის აღნიშვნა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ფერის ასეთი გრადაციის, დიაპაზონის შენიშვნაში, რაც მომავალში გამოუმუშავებს მას სხვადასხვა სახის ფერის თამამად და შემოქმედებითად გამოყენების უნარს.

დავალების პირობა:

წარმოიდგინე, რომ მხატვარი ხარ, ჯერ გააკეთე პალიტრა, დააწყვე მასზე ფერები და შემდეგ დახატე სურათი ნებისმიერ თემაზე.

შეკითხვები:

- რა მასალისაგან გააკეთებ პალიტრას?
- რომელი ფერები შეარჩიე და რატომ?
- რისი დახატვა გადაწყვიტე?
- როგორ დაგეხმარა ფერები შენი სათქმელის, ემოციების გადმოცემაში?
- როგორი ფორმები გამოიყენე და რატომ?
- გამოიყენე თუ არა ხაზი ნამუშევარში? სად ჩანს და რა დანიშნულება აქვს მას?

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ასრულებენ დავალებას. თხელი მუყაოსაგან ან ერთჯერადი თეფშისაგან ამზადებენ პალიტრას. პალიტრაზე დებენ ფერებს, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებენ მუშაობის პროცესში.

- საკუთარი ჩანაფიქრის ასახვისას მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს და ირჩევენ ღია ან მუქ ფერებს.
- ისინი საუბრობენ მასალაზე, რომელიც გამოიყენეს პალიტრის შესაქმნელად.
- შემდეგ კი მოსწავლეები ყვებიან საკუთარი ნამუშევრის შესახებ და ხსნიან, რა სახის ხაზი, ფორმა ან ფერი გამოიყენეს მუშაობის დროს.
- ნამუშევრების წარდგენის პროცესში მასწავლებელი ყურადღებით უსმენს მათ და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით კითხვებს უსვამს, რათა გაამახვილოს ყურადღება სწორედ გამომსახველობითი საშუალებების მიმართ.

გაკვ. 37. მოქანდაკის სახელოსნოში

- როგორ იქმნება ქანდაკება და ვინ ქმნის მას?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ წინა გაკვეთილზე მათ მხატვრებისა და მხატვრობის შესახებ ისაუბრეს, ხოლო დღეს ისაუბრებენ ხელოვნების კიდევ ერთხელ დარგზე, რომელსაც ქანდაკება ეწოდება. მოქანდაკე სხვადასხვა მასალისაგან ქმნის ნამუშევრებს. ის იყენებს ქვას, ხეს, ლითონს, თიხას, პლასტილინს. ქანდაკებას შეიძლება გარს შემოუარო და ყოველი მხრიდან დაათვალიერო ის. იგი ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ აქვთ მათ ნანახი ქანდაკება მშობლიურ ქალაქში ან სოფელში, თუ გაიხსენებენ, სად დგას ის, ღია ცის ქვეშ თუ შენობაში. იგი ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ იციან, ვინ ან რა არის გამოსახული ამ ქანდაკების სახით. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ქანდაკებები და აღწერონ ისინი.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს. შესაძლოა, მათ მართლაც გაიხსენონ ქანდაკებები, რომლებიც მათ მშობლიურ გარემოში დგას. სასურველია, მასწავლებელმა თავადაც გაახსენოს მათ ასეთი ქანდაკებების არსებობა და მოკლედ მოუთხროს მათ შესახებ.

მოსწავლის აქტივობა:

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნამუშევრების გაცნობისას, მოსწავლეები აღწერენ თითოეულ მათგანს, აღნიშნავენ, რომელი მოსწონთ და რატომ, შეძლებისდაგვარად ახასიათებენ ნამუშევრებს, აქცენტი კეთდება ფორმაზე.
მასწავლებელი სთხოვს მათ, ყურადღება მიაქციონ იმ ორი ქანდაკების ფორმებს, რომლებიც ერთი და იგივე ცხოველს ასახავს და დაახასიათონ, როგორ ფორმებს იყენებს თითოეული მოქანდაკე. მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ ბოტეროსა და ჯაკომეტის ნამუშევრების შედარება და ერთ შემთხვევაში, ხაზგასმულად მომრგვალებული, სავსე ფორმების მქონე, ხოლო მეორე შემთხვევაში ასევე ხაზგასმით გამხდარი კატის გამოსახულებების დახასიათება.
მოსწავლეები კიდევ ერთხელ აცნობიერებენ ქანდაკებაში სხვადასხვა ტიპის ფორმების გამოყენების შესაძლებლობას და საკუთარი სიტყვებით აღწერენ ქანდაკებებით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ესაუბრება მოსწავლეებს ქანდაკებაში სხვადასხვა ფორმისა და მასალის გამოყენების შესახებ მოსწავლეებს და აცნობს მათ დავალებას.

დავალების პირობა:

თიხის ან პლასტილინისაგან გამოძერწე ცხოველები. გამოიყენე სხვადასხვაგვარი გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმები.

შენიშვნა: დავალების შესასრულებლად მოსწავლე თავად ირჩევს მასალას. თიხით მუშაობის შემთხვევაში, უმჯობესია, მოსწავლეებმა გამოიყენონ ე.წ. თეთრი თიხა, რომელიც დიდხანს ინარჩუნებს მოქნილობას და უფრო მოსახერხებელია პატარა ზომის ელემენტების გამოსაძერწად.

შეკითხვები:

- რომელი ცხოველის გამოძერწვა გადაწყვიტე?

- რა მასალას გამოიყენებ სამუშაოდ?
- როგორ ფორმებს გამოიყენებ შერჩეული ცხოველის გამოსაძერწად?
- რა უნდა გაითვალისწინო ცხოველის ძერწვისას?

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს. წინასწარ მომარაგებული მასალით ძერწავენ შერჩეულ ცხოველს. სასურველია, მათ გამოიყენონ სპეციალური პლასტმასის დანა და დაფა, რომლითაც მოხერხებულად დაამუშავებენ საძერწ მასალას.
- მოსწავლეები ეტაპობრივად ძერწავენ ცალკეულ დეტალებს: თავს, სხეულს, კიდურებს. შემდეგ აერთებენ ამ ელემენტებს მთლიანი გამოსახულების მისაღებად.
- მუყაოზე ან პლასტმასის დაფაზე გამოძერწილი გამოსახულების მყარად დასაყენებლად მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ცხოველის კიდურებს, ოდნავ გააბრტყელონ მათი ბოლოები.
- შესაძლებელია, მოსწავლეებმა განსხვავებული ფერით გამოყონ სხეულის ან სახის სხვადასხვა დეტალი, ან რაიმე ბუნებრივი ან ხელოვნური რესურსით, მაგ., ძაფებით, შექმნან ბეწვის იმიტაცია, პატარა ზომის რაიმე ფერადი ელემენტი გამოიყენონ ცხოველის თვალების გამოსასახად. ამგვარად, მოსწავლე გაკვეთილზე წარმოდგენილი მასალის გაცნობის შემდეგ, თავად ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოს, არჩევს და იყენებს კონკრეტულ ფორმებს ცხოველის გამოსახულების შექმნისას.
- მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარუდგენენ კლასს ნამუშევრებს. ისინი საუბრობენ მასალაზე, რომელიც გამოიყენეს, ფორმებზე, რომლითაც ააწყვეს კონკრეტული ცხოველი. სასურველია, მის ხასიათზე და თვისებებზეც ისაუბრონ. მასწავლებელმა შეიძლება ჰკითხოს მათ, ყავთ თუ არა ნანახი ეს კონკრეტული ცხოველი, ან საკუთარი ოთფეხა მეგობარი ხომ არ გამოძერწა მოსწავლემ.

მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრები შეიძლება მოთავსდეს დიდი ზომის ფერად ფორმატზე და ასე გამოიფინოს სკოლაში.

<u>გაკვ. 38. ვინ აგებს შენობებს?</u>

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს საუბრით იმ ნაგებობების შესახებ, რომელსაც ქალაქში ან სოფელში მცხოვრები მოსწავლეები ყოველდღე ხედავენ. ისინი ცხოვრობენ, სწავლობენ, გასართობად დადიან ამ შენობებში.

მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომლებიც ნაგებობებს და იმ ადამიანებს ეხება, ვინც მათ აშენებს.

შეკითხვები:

- რა დანიშნულების ნაგებობებს/შენობებს ხვდებით ყოველდღე?
- თუ იცით, ვინ აგებს ამ შენობებს?
- როგორი ფორმები აქვთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ნაგებობებს: საცხოვრებელ სახლებს, სკოლას, თეატრს, ცირკს?
- რა მასალისაგან არის აგებული თქვენი სახლი, სკოლა?

კითხვა-პასუხის პროცესში მასწავლებელი ისე წარმართავს საუბარს, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ დაასახელონ ნაგებობები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან,

არამედ ისაუბრონ და დაახასიათონ ისინი.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები პასუხობენ, რომ თითოეული მათგანი ცხოვრობს სახლში. სახლი შეიძლება იყოს პატარა ან დიდი, ცალკე ეზოში მდგომი ან მრავალსართულიანი, რომელშიც ბევრი ოჯახი ცხოვრობს. ცხადია, მათ კარგად იციან სკოლის შენობაც, რომელსაც ასევე აღწერენ და ახასიათებენ, ამბობენ რამდენსართულიანია ის, რა მასალისგან არის აგებული.
მასწავლებელი ცდილობს, რომ მოსწავლეებმა აღწერისას დაასახელონ ნაგებობის ფორმები, ყურადღება გაამახვილონ მათ ზომებზე.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებს, ესაუბრება იმის შესახებ, რომ ნაგებობებს აგეგმარებენ და აგებენ არქი-ტექტორები. ისინი თავდაპირველად ამზადებენ ნახაზს, რომელზეც ყველა დეტალი არის წინასწარ ასახული. ხშირად არქიტექტორები სხვადასხვა მასალისაგან აგებენ ასაშენებელი ნაგებობის პატარა ზომის მოდელს, მაკეტს, რათა ყველამ უკეთ წარმოიდგინოს, როგორი იქნება აგებული შენობა.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებს. ისინი აღწერენ ამ ნაგებობების ფორმებს, აკონკრეტებენ, რომ ერთ შემთხვევაში შენობა თითქოს სპირალურად დახვეული მრგვალი ფორმებისაგან შედგება, ხოლო მეორე ფოტოზე მაღალი, სწორი და წვრილი ფორმაა გამოყენებული.

ამ აქტივობის მეშვეობით მოსწავლეები იაზრებენ, რომ ნებისმიერ ნაგებობას კონკრეტული დანიშნულება აქვს. ერთგან ადამიანები ცხოვრობენ, მეორეგან ერთობიან, სწავლობენ, მკურნალობენ, დღესასწაულებს აღნიშნავენ და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ არქტექტურის ნიმუშების აღწერისას ისინი თვალნათლივ ხედავენ, რამდენად განსხვავებული ფორმებია გამოყენებული და, რაც მთავარია, რამდენად განსხვავდება ამ ნაგებობების იერსახე ერთმანეთისაგან. ამდენად, მოსწავლეები თანდათან აცნობიერებენ არქიტექტურის რამდენიმე ძირითად მახასიათებელს.

ამავე აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ასაგები ნაგებობების ესკიზს და პატარა ზომის მაკეტს, რომელსაც არქიტექტორი წინასწარ ასრულებს. გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ამგვარ მოდელს და რისგან კეთდება ის.

მასწავლებლის აქტივობა:

რესურსი:

საბავშვო ბაღი
https://www.homeis.ge/wp-content/uploads/2020/10/takaharu_tezujpg
https://www.etaloni.ge/files_inner/3854kat1.jpg

საკათედრო ტაძარი

https://imogzauret.ge/img/drezden-1-22.jpg
უცნაური ფორმები

მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული ელექტრონული ან სხვა სახის რესურსი, რომელიც ასახავს ისტორიულ ან/და თანამედროვე შენობებს, განსხვავებულ ფორმებს, რომლებიც მათშია გამოყენებული. იგი წარუდგენს კლასს მომზადებულ რესურსს/ თვალსაჩინოებას და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ნაგებობები, დაახასიათონ

ფორმები, რომლებიც აქ არის გამოყენებული. დაფაზე ან დიდი ზომის ფორმატზე მოსწავლეები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცდილობენ გამოსახონ მსგავსი ფორმა, მაგ., მაღალი ვერტიკალურად წაგრძელებული, ან, პირიქით, დაბალი, წრიული ან ოვალური, სიმეტრიული ან ასიმეტრიული (სიმეტრია და ასიმეტრია როგორც ქვეცნება არ მუშავდება, ხატვის პროცესში ამგვარი ნაგებობის დახატვის შემთხვევაში აქცენტი სიმეტრიაზე და ასიმეტრიაზე არ კეთდება).
მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილის მოცემული მონაკვეთის შედეგებს, იმეორებს მოსწავლეებისათვის იმ ახალ ტერმინებს, რომლებსაც ისინი გაეცნენ გაკვეთილზე: არქიტექტორი, მაკეტი. შემდეგ იგი მოსწავლეებს აცნობს დავალებას.

დავალების პირობა:
სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოლოფებისგან „ააგე“ შენობები.

შენიშვნა:
მოსწავლეებს წინასწარ მომარაგებული აქვთ სხვადასხვა მასალის, ზომის და ფორმის კოლოფები, რომლებსაც ისინი საკუთარი ნაგებობების „ასაგებად“ გამოიყენებენ. მათ, ასევე, დასჭირდებათ სხვადასხვა ფერის სახატავი მასალა; ფანქრები, ფლომასტერები, ასევე, მაკრატელი, წებო, სხვადასხვა ფერის ფურცლები, თხელი მუყაო. ნებისმიერი მასალა, რომელსაც მოსწავლე მუშაობის პროცესში გამოიყენებს, მის ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.
პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები მათ ხელთ არსებული რესურსებისაგან მარტივ კონსტრუქციებს აგებენ. მოსწავლეები საკუთარი გემოვნებით და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ქმნიან ასეთ კონსტრუქციებს.
- შემდეგ დამატებით ამზადებენ (ხატავენ ან აპლიკაციის ტექნიკას იყენებენ) მცირე არქიტექტურულ დეტალებს, ფანჯრებს, კარს.
- მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ, ძირითადი მოცულობის გარდა კიდევ რომელი ელემენტებისგან შედგება ესა თუ ის ნაგებობა, მაგ., სახლი, სკოლა ან თეატრი და შემდეგ ამ ელემენტებით (სახურავი, ფანჯრები, კიბე და სხვ.) დაასრულონ სამუშაო.
- ნამუშევრის დასრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ, როგორ შეარჩიეს ფორმები ამ ნაგებობებისათვის. როგორი მასალა გამოიყენეს ნამუშევრების შესაქმნელად.
- კლასის რიცხოვნობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასწავლებელმა ერთად მოუყაროს თავი ნაგებობებს და ერთი უბნის სახე მისცეს გაკვეთილზე შექმნილ ნამუშევრებს.

შეკითხვები:

- აღწერე როგორი შენობა „ააგე“?
- ამ შენობაში ადამიანები ცხოვრობენ თუ მუშაობენ? რა შენობაა?
- როგორ მივხვდეთ, რომ ეს შენობა ..... ? (საცხოვრებელი სახლია, თეატრია, საბავშვო ბაღია, სკოლაა და სხვ.)
- როგორი ფორმები გამოიყენე შენობის ასაშენებლად და რატომ?
- რა მასალა გამოიყენე?
- შეარჩიე თუ არა ფერები შენობის გასაფორმებლად და რატომ?
- იცხოვრებდი /ივლიდი/... ასეთ შენობაში? (შეკითხვა დაისვას შენობის ფუნქციის მიხედვით).
- რით განსხვავდება შენი შენობა შენი თანაკლასელების აგებული შენობებისაგან?

- არჩევა რომ შეგეძლოს, კლასში დამზადებული შენობებიდან რომელს აირჩევდი შენს ქალაქში/სოფელში ასაშენებლად და რატომ?

გაკვ. 39. ციხესიმაგრე

რესურსი:
https://www.thecrazytourist.com/25-most-beautiful-medieval-castles-in-the-world/

მასწავლებლის აქტივობა:
გაკვეთილი იწყება პატარა ისტორიული ექსკურსით, რომლის მიზანია მოსწავლეებს გაახსენოს ისტორიულ თემაზე შექმნილი ის ფილმები, რომლებშიც ძველი ციხესიმაგრეებია ნაჩვენები. მასწავლებელი ელექტრონული რესურსის მეშვეობით აცნობს მოსწავლეებს ასეთ ნაგებობებს და საუბრობს იმაზე, რომ ციხესიმაგრეების არქიტექტურულ იერსახეში მათი ისტორიული ფუნქციაც ნათლად აისახება. იგი კითხვით მიმართავს მოსწავლეებს, ხომ არ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, რატომ არის ციხესიმაგრე ხშირად წყლის თხრილით გარშემორტყმული? ან რატომ აქვს ასეთი მაღალი კოშკები? რატომ იხურება რკინის ალაყაფის კარით?
მოსწავლეებს აქვთ საშუალება სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებზეც დააკვირდნენ ძველ ნაგებობებს. მათ, სავარაუდოდ, არ უნდა გაუჭირდეთ იმის თქმა, რომ ციხესიმაგრე სათავდაცვო ფუნქცვიის მქონე ნაგებობაა და ის დაცული უნდა იყოს ყველა მხრიდან.

შეკითხვები:

- რა ტიპის შენობები გავიცანით?
- სად აშენებენ ციხესიმაგრეებს?
- როგორი ფორმა აქვთ ციხესიმაგრეებს? აღწერე.
- როგორ ფიქრობთ, რატომ უკეთებდნენ ციხესიმაგრეს მაღალ გალავანს?
- როგორი ფორმა აქვთ კოშკებს?
- როგორ შეიძლება „ააგოთ“ ციხესიმაგრე და რა მასალა გამოიყენოთ მის ასაგებად?
- რა უნდა გაითვალისწინოთ ციხესიმაგრის ,,მშენებლობისას“?

დავალების პირობა:
სხვადასხვა ფერის ქაღალდისა და მუყაოს გამოყენებით ააგე შენი ციხესიმაგრე.
პრაქტიკული სამუშაო:

- გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები ქაღალდის და თხელი მუყაოსაგან ჭრიან მარტივი გეომეტრიული ფორმების ნაჭრებს.
- ზოგ მათგანს მრგვალ ფორმას აძლევენ (ახვევენ), წებოთი აწებებენ; ზოგს ციხესიმაგრის კედლებად იყენებენ.
- მიღებულ მარტივ კონსტრუქციებს აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით აფორმებენ სხვადასხვა დეტალით.

ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლეები პასუხს სცემენ შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ აარჩიე ციხესიმაგრის მთავარი ნაგებობის და კოშკების ფორმები?
- რა მასალა და რესურსი გამოიყენე მუშაობის პროცესში?
- როგორი ფორმებით, ხაზებით, ფერებით დაასრულე ციხესიმაგრის გარედან „მოპირკეთება“?

მუშაობის ჯგუფური ფორმა მოსწავლეებს ურთიერთგაგების და დახმარების, პასუხის-მგებლობის უნარებს უვითარებს.

ნაბიჯი 2.

1. სამიზნე ცნება/ცნებები – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** - სხვადასხვა ტიპის ხაზი: სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** - მარტივი გეომეტრიული (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე, ოვალი და ა.შ.), ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D)
- **ფერი** - ძირითადი და შედგენილი;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება (მარტივი არქიტექტურული ნაგებობის მოდელი, დიორამა).

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. (შედეგი 1,2. 3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება.

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები. (შედეგი 1,2. 3,4)
ქვეცნება: პეიზაჟი.

<u>გაკვ. 40. ნივთები ჩვენ გარშემო</u>

მასწავლებლის აქტივობა:

ეს გაკვეთილი იწყება პატარა ექსპერიმენტით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი სამოსის დემონსტრირება მოახდინონ სახელდახელო პოდიუმზე. ამასთან, უნდა ისაუბრონ იმაზე, რა მოსწონთ სამოსში: ფერი, გაფორმება, დეტალები?
ამ აქტივობაში მონაწილეობა სახალისო იქნება და მთელ კლასს სწრაფად და მკაფიოდ აჩვენებს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ხელოვანების მიერ შექმნილ სამოსში ვართ გამოწყობილი.

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები წარმოსახვით პოდიუმზე, მაგ., კლასის ცენტრალურ ნაწილში, ან მაგიდების წინ, დაფასთან წარადგენენ საკუთარ სამოსს და აქსესუარებს: ქუდს, შარფს, ფეხსაცმელს. მასწავლებელი სთხოვს მათ, თავად აღწერონ, დაასახელონ ფერები, მიუთითონ გაფორმების რომელი ელემენტები მოსწონთ ყველაზე მეტად.
ამ აქტივობის დასრულების შემდეგ მაგიდებთან დაბრუნებულ მოსწავლეებს მასწავლებელი სთხოვს, ჩანთებიდან ამოიღონ და მაგიდებზე დაალაგონ სხვადასხვა სასკოლო ნივთი: კალმისტრები, პენალი, რვეულები. ყველა დაინახავს, რომ ეს ნივთებიც გარედან შემკულია – სხვადასხვა ფერისაა, ზოგჯერ ზემოდან კონკრეტული ორნამენტი ან რაღაც გამოსახულებებია დაბეჭდილი. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება დაუსვას შეკითხვა, რომელი ნივთი მოსწონთ ყველაზე მეტად. ვიღაცისთვის ეს შეიძლება რვეული იყოს, ვიღაცისთვის - ფერადი კალმისტარი. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ის საგნები, რომლებსაც ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ და მოსწონთ.
ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეულ,

საყოფაცხოვრებო ნივთებს სხვა კუთხიდან შეხედავენ, გააცნობიერებენ, რატომ მოსწონთ ესა თუ ის ნივთი გამორჩეულად და სიამოვნებით იყენებენ მას. მასწავლებლის ამოცანაა, ნივთის ფორმაზე, ფერზე, მის შემკულობაზე საუბრისას აუხსნას მოსწავლეებს, ვინ ზრუნავს მათ გარეგნულ იერსახეზე და ამკობს თითოეულ მათგანს.
მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს წინასწარ მომზადებულ ელექტრონულ რესურსს, რომელსაც მოსწავლეები ერთად ათვალიერებენ და საუბრობენ, რომელი მოსწონთ წარმოდგენილი ნამუშევრებიდან. ისინი ასახელებენ ფერებს, დეკორეტიული ელემენტების/ორნამენტის ფორმებს, რომლებიც განსაკუთრებულად მოსწონათ. ეს აქტივობა ერთგვარად ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაცნობიერებულად შეასრულონ დავალება და შეარჩიონ მათთვის სასურველი გამომსახველობითი ელემენტები ნამუშევრების შესამკობად.

რესურსი:

https://www.pinterest.ca/nju/pottery-designs/

დავალების პირობა:

შეარჩიე ლარნაკის ან ქოთნის ფორმა, გამოძერწე პლასტილინისგან და გააფორმე შენ მიერ გაკეთებული სასურველი ფერისა და ფორმის ყვავილებით.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები არჩევენ ჭურჭლის ფორმას და ძერწავენ მას.
- შემდეგ ისინი არჩევენ ფერებს და ძერწავენ ფერად ყვავილს, რომლსაც ქოთანში ათავსებენ.
- სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოიფიქრონ ქოთნის ან ნებისმიერი სხვა ტიპის საგნის შემკობის განსხვავებული ვარიანტი.
- პრაქტიკულად ისინი ასრულებენ დიზაინერის სამუშაოს და უკეთ აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ნივთი ხელოვანის მიერ არის შექმნილი.

ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლემ პასუხი უნდა გასცეს შეკითხვებს:

- რა ფორმა შეარჩიე ჭურჭლისათვის?
- რომელი მასალა გამოიყენე ქოთნის გამოსაძერწად?
- რომელი ფერები შეარჩიე შენი ნამუშევრის შესამკობად?

გაკვ. 41. სათამაშო

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოუთხრობს მოსწავლეებს, რომ ძველად თოჯინებს ადამიანები საკუთარი ხელით აკეთებდნენ და ამისათვის სხვადასხვა მასალას იყენებდნენ: თიხას, ხეს, ქვას, ნაჭერს. იგი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს.

შეკითხვები:

- როგორი ფორმა აქვს პირველ თოჯინას?
- რას გაგონებს პირველი თოჯინა?
- რას ფიქრობ რა მასალისაგან იქნება დამზადებული?

- როგორი ფორმა აქვს მეორე თოჯინას? რას გაგონებს?
- რას ფიქრობ, რა მასალისგან იქნება ის დამზადებული?
- შენი აზრით, რით განსხვავდებიან და რითი ჰგვანან ეს თოჯინები ერთმანეთს?
- ითამაშებდი ასეთი თოჯინით?რატომ?

შენიშვნა: შესაძლოა მოსწავლეებმა უარი თქვან მსგავსი თოჯინით თამაშზე. გამოკითხეთ, როგორი თოჯინები მოსწონთ. მოსწავლეებმა თოჯინებად, მხოლოდ გოგონების გამოსახულებები თუ დაასახელეს, შეახსენეთ რომ არსებობს ექიმების, ჯარისკაცების, მშენებლების და სხვა თოჯინები.

- როგორ თოჯინას ისურვებდი, რომ გქონდეს?
- როგორ ფიქრობ, შეძლებ თოჯინის გაკეთებას? როგორ, რა მასალის გამოყენებით.

მასწავლებლის აქტივობა:

მოსწავლეთა იდეებისა და მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თოჯინების დამზადებას.

დავალების პირობა:

გააკეთე თოჯინა ფერადი ფურცლებისაგან. დააკვირდი ფორმებს _ როგორი თავი, ტანი და კიდურები უნდა ჰქონდეს შენს თოჯინას. გამოჭერი წრე, მიახატე თვალები, ცხვირი, პირი; მოიფიქრე, როგორ სამოსს ჩააცმევ მას. გამოჭრილი ფორმები გადააწებე და დააკარი ხის ჯოხზე ან ქაღალდის ჩანთაზე. თოჯინას შეგიძლია ძაფებით თმაც გაუკეთო.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები არჩევენ ფერად ქაღალდებს თოჯინის შესაქმნელად.
- აკვირდებიან და ირჩევენ ფორმებს, როგორი თავი, ტანი, თუ კიდურები უნდა ჰქონდეს მათ თოჯინას.
- სახისათვის გამოჭრიან წრეს, მიახატავენ თვალებს, ცხვირს, პირს.
- მოიფიქრებენ როგორ სამოსს ჩააცმევენ თოჯინას. სამოსის ფორმებს გამოჭრიან ქაღალდებისაგან, გადააწებებენ და დააკრავენ ხის ჯოხზე ან ქაღალდის ჩანთაზე. მათ შეუძლიათ თოჯინის თმებისათვის ფერადი ძაფები გამოიყენონ.

პრაქტიკული დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს და პასუხობენ შეკითხვებს:

- მოგვიყევი შენს თოჯინაზე, ვისი გამოსახულება შექმენი?
- როგორი ფორმები გამოიყენე?
- ვისთვის დაამზადე თოჯინა?
- რა მასალა გამოიყენე თოჯინის დასამზადებლად?
- როგორი თანმიმდევრობით ააწყვე თოჯინა?
- თოჯინების გაკეთების დროს რა უნდა გავითვალისწინოთ? მოგვეცი რჩევები.

გაკვ. 42. თოჯინების თეატრი

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს მოუთხრობს თეატრის შესახებ და უკავშირებს თეატრს მათ გამოცდილებას, კერძოდ, საახალწლო თუ საგაზაფხულო ზეიმებს, სპექტაკლებს, რომლებსაც მოსწავლეები დგამენ სკოლაში. იგი მათ ესაუბრება, რომ თეატრი ჯადოსნური სამყაროა, რომელშიც მსახიობები ცნობილ პერსონაჟებს სცენაზე აცოცხლებენ. სცენა შემაღლებული ადგილია, რომელზეც მსახიობები ჩვენთვის თამაშობენ სხვადასხვა სპექტაკლს. სპექტაკლის დადგმაზე მუშაობს რეჟისორი, მხატვარი კი სპექტაკლს აფორმებს, ხატავს **დეკორაციებს** (დეკორაცია - სცენის გაფორმება), პერსონაჟების ტანსაცმელს (კოსტიუმს), ზრუნავს თითეულ ნივთზე, რომელიც სცენაზე იქნება გამოტანილი.
თოჯინების თეატრი უძველესი დროიდან არსებობს და მას ადრე მხოლოდ ბავშვების გასართობად არ მიმართავდნენ, მას ხშირად უფროსებიც სიამოვნებით უცქერდნენ. დღეს ბავშვები თოჯინების თეატრში საყვარელი პერსონაჟების თავგადასავლებს უყურებენ და გულშემატკივრობენ მათ. მსახიობების ნაცვლად თოჯინების თეატრში როლებს თოჯინები ასრულებენ, რომლებსაც ადამიანები ამოძრავებენ და ასაუბრებენ, მაგრამ თოჯინების გარდა, საჭიროა მათთვის გარემოს შექმნაც.

- ყოფილხარ თოჯინების თეატრში?
- რომელი სპექტაკლი ნახე?
- როგორი თოჯინები იყო, შენ მიერ წინა გაკვეთილზე დამზადებულ თოჯინებს ხომ არ ჰგავდა?

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი უსვამს კითხვებს მოსწავლეებს თოჯინების თეატრის შესახებ. ცდილობს, დაწვრილებით ააღწერინოს სცენა, ამისათვის დამაზუსტებელ შეკითხვებს სვამს.

შეკითხვები:

- სად იდგნენ პერსონაჟები?
- როგორი გარემო იყო?
- რა იყო დახატული სცენის უკანა კედლზე? რატომ?
- როგორი ფორმები ჰქონდათ თოჯინებს?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მათ, დააკვირდნენ თოჯინების თეატრის წარმოდგენას და აღწერონ ნანახი, გაამახვილონ ყურადღება გარემოზე, ფორმებზე, ფერებზე. სპექტაკლის ფრაგმენტის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დიორამების ნიმუშებს. ისინი მსჯელობენ კონსტრუქციაზე, მასალაზე, ფორმებზე. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას.

დავალების პირობა:

შექმენი ტყის გამოსახულება (დიორამა). დიდი ზომის მუყაო გადაკეცე შუაზე; მიღებული ნაწილებიდან ერთი ნახევარი იქნება სცენა, მეორე კი _ მისი ფონი. ფონზე გამოსახე პეიზაჟი, რომლის შესაქმნელად შეგიძლია გამოიყენო შერეული ტექნიკა, მაგ., ცა, ღრუბლები და ბალახი შეიძლება გააფერადო, ხეები კი აპლიკაციის ტექნიკით შექმნა. დიორამისათვის შეგიძლია გამოიყენო მუყაოს ყუთი.

სანამ მოსწავლეები მუშაობას დაიწყებენ, მასწავლებელი უხსნის მისწავლეებს, რომ დიორამის გაკეთება მათ ორგვარად შეუძლიათ. დიორამის შექმნის ერთი ხერხი ამგვარია: თქვენ შეგიძლიათ აიღოთ მუყაოს მოზრდილი ნაჭერი, გაკეცოთ შუაზე და გამოიყენოთ როგორც სცენა. უკანა ნაწილზე დახატე ფონი სცენისათვის. მეორე შემთხვევაში

მოსწავლეებს შეუძლიან დაბალკიდეებიანი მუყაოს ყუთი და მისი თავსახური გამოიყენონ დიორამისათვის და ისინი ისე დაუკავშირონ ერთმანეთს, როგორც ეს მოსწავლის წიგნშია ნაჩვენები. ამ შემთხვევაშიც, ვერტიკალურ ნაწილზე მათ ფონის დახატვა შეეძლებათ.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

კომპლექსური დავალების პირობა:
აირჩიე რომელიმე ზღაპარი და გააცოცხლე მისი ერთ-ერთი სცენა. ამისათვის შექმენი დიორამა, რომელზეც გამოსახული იქნება ზღაპრის გმირების გარემო. ნამუშევრის ფონი შეასრულე შერეული ტექნიკით. გამოძერწე ან მარტივი კონსტუქციით შექმენი ზღაპრის გმირების გამოსახულებები (თოჯინები).

<u>გაკვ. 43. ზღაპრის სამყარო</u>

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს დავალების არსს, რომ მათ ახლა ზღაპარი და მისი გმირები უნდა გააცოცხლონ. იგი ახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე ბევრი რამ ისწავლეს და ახლა ეს ყველაფერი უნდა გამოიყენონ. მათ უნდა შექმნან ზღაპრის გმირის თოჯინა და ის საკუთარ გარემოში მოათავსონ, რისთვისაც დიორამა უნდა გააკეთონ. მათ უკვე აქვთ საკმარისი გამოცდილება ამ სამუშაოს შესასრუებლად.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რომელი ზღაპრის დეკორაცია შექმენი?
- რომელი გმირის თოჯინა შექმენი?
- როგორ მივხვდეთ, რომ შენი თოჯინა და ფონი შენ მიერ შერჩეული ზღაპრიდანაა?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე ფონის შესაქმნელად?
- რა მასალისგან შექმენი თოჯინა?
- როგორი ფორმები გამოიყენე თოჯინის შესაქმნელად და რატომ?

შენიშვნა: დავალების შესრულების წინ მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ არჩეული ზღაპრის გაცოცხლება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი. მოსწავლეებს შეუძლიათ მუყაოს ყუთის გამოყენებით შექმნან და მხატვრულად გააფორმონ დიორამა, რომელიც ზღაპრის გარემოს გამოსახავს.

კომპლექსური სამუშაოს შესრულების შემდეგ მოსწავლეები გაითამაშებენ ზღაპრის სიუჟეტს, ხოლო შემდეგ საუბრობენ სამუშაო პროცესის და მიღებული გამოცდილების შესახებ.

II კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

1. . სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული,ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, მუქი და ღია;

2. სამიზნე ცნება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება;

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი თემაზე „აღდგომა" აპლიკაციის ხერხისა და კონსტრუირების გამოყენებით. სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ფორმების, ძირითადი და შედგენილი ფერების საშუალებით.მოიფიქრე, რომელ სიმბოლოებსა და ნიშნებს გამოსახავ შენს ნამუშევარზე.

კრიტერიუმი **სამიზნე ცნება**	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს კარგად ესმის კომპლექსური დავალების არსი,იგი მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სიმბოლოებსა თუ ნიშნებს, სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას, ასევე დარგის მახასიათებლებს წარმოაჩენს, მოსწავლე გააზრებულად ქმნის ნამუშევარს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. პირად გამოცდილებას უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას.მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას შესრულებული დავალების ფარგლებში,მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას მის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკაზე.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: ძირითადად,მოსწავლე გააზრებულად იყენებს დარგის მახასიათებლებს და იცავს მიმართებებს. ნამუშევრის წარდგენა:მოსწავლე გააზრებულად საუბრობს დარგისა და ჟანრის მახასიათებლებზე.

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია შექმნას ნამუშევარი სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგსა თუ ჟანრში **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ნაწილობრივ შეუძლია დარგის მახასიათებლებზე საუბარი და შექმნილი ნამუშევრის მიკუთვნება.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. ნამუშევრის წარდგენა: ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** იშვიათად ქმნის ნამუშევარს ამათი იმ დარგსა თუ ჟანრში. გაუაზრებლად იყენებს ნამუშევარში სახვითი ხელოვნების დარგისა თუ ჟანრის მახასიათებლებს. ნამუშევრის წარდგენა:მხოლოდ მინიშნებას აკეთებს დარგის მახასიათებელზე.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული		

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

VI თავის გაკვეთილები

კლასი: II
თემა: ჩვენი დღესაწაულები
საათების სავარაუდო რაოდენობა: 12
ამ თავში თავმოყრილია ის გაკვეთილები, რომლებიც დღესასწაულებს ეხება. მათ ჩვენ წელიწადის სხვადასხვა დროს ვზეიმოთ. ამიტომ მათი ჩატარების დრო მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს. **შესაბამისად, ამ თავის ბოლოს არ არის კომპლექსური გაკვეთილი და ყოველ მათგანს საკუთარი სამიზნე ცნებები აქვს.**

გაკვ. 44. შობა

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)
ქვეცნებები:
- **ხაზი** – სწორი, ხვეული, სპირალური;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ღია და მუქი;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;
3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნება: მხატვრობა
4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)
ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი საუბრობს, რომ შობა ახლოვდება და კითხვებს უსვამს მოსწავლეებს:
- გიყვართ შობის დღესასწაული?
- რატომ გვიყვარს შობა?
- როგორ ხვდებით შობას?
- რას ვზეიმოთ ამ დღესასწაულზე?
- გაიხსენეთ რა მოხდა შობის ღამეს;
- თუ იცით, სად დაიბადა იესო? (ბეთლემში, ბაგაში დაიბადა)

ეს ისტორია მოსწავლეებს წინა წელს უკვე მოსმენილი აქვთ და შესაძლებელია, რომ ისინი თავად მოყვებიან მას, მაგრამ ამჯერად მასწავლებელმა უფრო მეტი დეტალი უნდა დაამატოს. მან შობის ისტორიის გახსენებისას ყურადღება უნდა გაამახვილოს ერთ ეპიზოდზე:
ბეთლემში, იმ ბაგის მახლობლად, რომელშიც იესო დაიბადა, გაშლილ მინდორზე ცხვრის ფარას მშვიდად ეძინა, მწყემსები კი ამ ზამთრის სუსხიან ღამეს კოცონის გარშემო ისხდნენ და თბებოდნენ. ისეთი უცნაური სიჩუმე იდგა, თითქოს ყველა რაღაცას ელოდებაო. უცბად, ცაზე ვარკვლავი აკიაფდა. მას ისეთი კაშკაშა ნათება ჰქონდა, რომ მიძინებულმა ცხვრებმა თავი წამოყვეს და მწყემსებთან ერთად მზერა ვარსკვლავს მიაპყრეს. უცბად ცაში მოფარფატე ანგელოზები გამოჩნდნენ და მწყემსებს იესოს დაბადების ამბავი ამცნეს. გაოგნებულმა მწყემსებმა ფარა მიატოვეს და იესოს თაყვანსაცემად გაეშურნენ.

შენიშვნა: თუ მოსწავლეებმა არ იციან რა არის ბაგა, მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ეს იგივე ბოსელი ანუ ცხოველთა სადგომია.

მოსწავლის აქტივობა:

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი იტალიელი მხატვრის დომენიკო გირლანდაიოს სურათი, რომელზეც შობაა გამოსახული. აღწერისას ისინი აუცილებლად მიაქცევენ ყურადღებას, რომ იესოს მშობლების გარდა (მარიამი და იოსები), აქ პატარა იესოს წინაშე მოხლმოყრილი მწყემსებიც არიან გამოსახულნი და ისინი ასე სცემენ თაყვანს ახალშობილს. მასწავლებელმა კითხვა უნდა დაუსვას მოსწავლეებს:

- რომელი ცხოველები არიან გამოსახული ამ სურათზე? (ხარი, ვირი და ცხვარი) და რატომ? (რადგან იესო ბაგაში/ბოსელში დაიბადა).

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ წინა წელს მათ შობის ანგელოზები გააკეთეს, ახლა კი ხომ არ ისურვებდნენ, რომ ცხვარი გამოესახათ, რომელიც შობის მონაწილე ერთ–ერთი ცხოველია.

მასწავლებლის აქტივობა:

მიმოიხედეთ გარშემო, დააკვირდით ნივთებს საკლასო ოთახში; გაიხედეთ ფანჯარაში და დაფიქრდით, სად შეიძლება ვიპოვოთ ჩვენ გარშემო, გარემოში წრე, ოვალი?

მოსწავლის აქტივობა:

საგნების ჩამოთვლის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფერად ქაღალდებზე შემოხაზონ რამდენიმე წრე და ოვალი, შემდეგ გამოჭრან ისინი, ეს ფორმები განალაგონ ფურცელზე, შემდეგ დააწებონ და გამოიყენონ ისინი რაიმე გამოსახულების შესაქმნელად. მათ შეუძლიათ გარშემო დაახატონ დეტალები და ამგვარად მიიღონ გამოსახულება. მაგ., წრეს მიახატონ ფეხები და მაგიდა გამოსახონ, ოვალს მიახატონ ძაფი და ბუშტი დახატონ და ა.შ.

ამ აქტივობის მიზანია, რომ მოსწავლეებმა დაკვირვების შედეგად გარემოში აღმოაჩინონ წრიული და ოვალური ფორმები და შემდეგ ისინი გამოიყენონ საკუთარ ნამუშევრებში.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავალეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მათი თანატოლების ნამუშევრებს და აღწერონ ისინი.

შეკითხვები:

- რა ფერისაა ფონი ამ ნამუშევრებზე? (მიწის მწვანე ზოლი, ცისფერი ან ლურჯი ცა ვარსკვლავებით);
- როგორ ხაზებს იყენებენ თქვენი თანატოლები ცხვრის ბეწვის გადმოსაცემად? (ხვეულს, სპირალურს)
- რომელ გეომეტრუილ ფორმებს იყენებენ თქვენი თანატოლები ცხვრის გამოსახვის დროს? (დიდსა და პატარა ოვალს სხეულისა და თავისათვის, ზოგჯერ წრეს სხეულისათვის, ძალზე წაგრძელებულ სწორკუთხედებს ფეხებისათვის).
- გაიხსენეთ, კიდევ რის გამოსასახად გამოვიყენეთ წრის ფორმა? (დედამიწის)

ამ შეკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

დახატე ან აპლიკაციის ტექნიკით შექმენი ნამუშევარი თემაზე: `ცხვრის ფარა შობის ღამეს~; გამოიყენე სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა და მრავალფეროვანი მასალა ცხვრების გამოსახვისას.

შეკითხვები:

- რომელ გეომეტრიულ ფორმებს გამოიყენებთ ცხვრის გამოსასახად?

- როგორ ხაზებს გამოიყენებთ ცხვრის ბეწვის გადმოსაცემად?
- რა ფერის იქნება შენი ნამუშევრის ფონი და რატომ?
- ხომ არ გინდა კიდევ რაიმე გამოსახო შენს ნამუშევარზე ცხვრის გარდა და რატომ?

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ან აპლიკაციის ტექნიკით ასრულებენ ნამუშევარს. თუ მოსწავლეები გადაწყვეტენ, რომ დახატონ შობის ღამე, მასწავლებლის რეკომენდაციით, ცხვრის (ერთი ან რამდენიმე) გამოსახვისას მათ შეუძლიათ გამოიყენონ მარტივი გეომეტრიული ფორმები: დიდი და პატარა ოვალები, წაგრძელები სწორკუთხედები ისე, როგორც ეს სახელმძღვანელოშია ნაჩვენები. ხატვისას ცხვრის ბეწვის გადმოსაცემად მათ ხვეული და სპირალური ხაზები უნდა გამოიყენონ. ფონი, რომელზეც ისინი ცას გამოსახავენ, შესაძლოა იყოს მუქი ლურჯი ან ან შედარებით ღია ლურჯიც. ამ ფონზე მოსწავლეებს შეუძლიათ მთვარე და ოქროსფერი ვარსკვლავებიც დახატონ.
- აპლიკაციის ტექნიკით ნამუშევრის შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ფერადი ქაღალდები, ფერადი ქსოვილის ნაჭრები. ცხვრების გამოსასახად, შესაძლებელია ბურბუშელის ან ბამბის ქულების გამოყენებაც. ამ მასალას მოსწავლეები ფორმატზე წინასწარ ფანქრით შემოხაზული ცხვრის ოვალური ფორმის სხეულზე დააწებებენ და ასე გადმოსცემენ მის ბეწვს. სხვა გამოსახულებებიც (მთვარე, ვარსკვლავები და სხვ.) აპლიკაციის ხერხით სხვადასხვა მასალისაგან, გეომეტრიული ფორმების გამოყენებით, შეუძლიათ გააკეთონ და დააწებონ ფურცელზე.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა შობის ღამე, რომელი ტექნიკა აირჩია, რომელი მასალა გამოიყენა და როგორ? როგორი ფორმები გამოიყენა ნამუშევარში და რატომ?

<u>გაკვ. 45. თოვლის ბაბუა</u>

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მარტივი კონსტრუქცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნებები: აპლიკაცია, მარტივი კონსტრუქცია

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვით – ვის მოაქვს საჩუქრები ახალ წელს ბავშვებისათვის?
მოსწავლეთა პასუხის შემდეგ, რომ ახალ წელს საჩუქრები ბავშვებისათვის თოვლის ბაბუას მოაქვს, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან თოვლის ბაბუას გამოსახულება.

შეკითხვები:

- რა ნიშნებია, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს თოვლის ბაბუას? (წითელი სამოსი და ქუდი, გრძელი თეთრი წვერი, გუდა, რომელშიც საჩუქრები უწყვია...)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და აღწერონ სახელმძღვანელოში მოცემული მათი თანატოლების მიერ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული თოვლის ბაბუების გამოსახულებები.

მოსწავლის აქტივობა:

პირველი გამოსახულება დახატულია. აღწერისას, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ დახატულ თოვლის ბაბუას მთელ გამოსახულებას სამკუთხა ფორმა აქვს; მათ უნდა ისაუბრონ თოვლის ბაბუას სამოსზე, ქუდზე, წვერზე.
ცისფერ ფონზე გამოსახული ორი თოვლის ბაბუა წრიული ფორმისაა. მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებულია კომპიუტერის დისკები, რომლებიც დაწებებულია ქაღალდზე და შემდეგ შემკულია სხვადასხვა ფერადი ელემენტებით. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ როდესაც ნამუშევარში სიბრტყეზე გვხვდება დაწებებული ნივთები, ასეთ ნამუშევარს კოლაჟი ეწოდება და რომ თუ ისინი თოვლის ბაბუას გამოსახვისას სიბრტყეზე რომელიმე ნივთს, მაგ., ღილებს, ერთჯერად თეფშებს ან მათ ნაწილებს და სხვა საგნებს დააწებებენ, ისინიც კოლაჟს შექმნიან.
გარდა ამისა, მომდევნო გვერდზე მოსწავლეები აღწერენ თოვლის ბაბუას გამოსახულებებს, რომლებიც მარტივ კონსტრუქციას წარმოადგენენ. ერთი გამოსახულება, კოლოფზეა დამაგრებული და ვერტიკალურად დგას, მეორეს ზურგი სარეცხის სარჭით მიმაგრებულია მუყაოზე, მესამისა კი – ერთჯერად ჭიქაზე, რათა კონსტრუქციას სიმყარე ჰქონდეს.
მოსწავლეები ამავე გვერდზე დაინახავენ ქაღალდის პარკს, რომელიც ასევე გამოადგებათ მასზე ნახატის სახით ან აპლიკაციის ხერხით თოვლის ბაბუას გამოსასახად.
ამგვარად, მოსწავლეებს დიდი არჩევანი ექნებათ მასალისა და ტექნიკის თვალსაზრისით; თითოეული მათგანი საკუთარი სურვილისამებრ აირჩევს მასალასა და ტექნიკას.
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ რომელ გეომეტრიულ ფორმებს ხედავენ ისინი ამ ნამუშევრებში და დაასახელონ ისინი.

დავალების პირობა:

დახატე თოვლის ბაბუა, ან კიდევ აპლიკაციის ან კოლაჟის ტექნიკით შექმენი მისი გამოსახულება; გამოიყენე სხვადასხვა ფორმა, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: ხატავენ ან აპლიკაციის ან კოლაჟის ტექნიკით ასრულებენ ნამუშევარს.
- სამივე შემთხვევაში მათ მოუწევთ მარტივი გეომეტრიული ფორმების გამოყენება. მაგ., თოვლის ბაბუას ქუდის შემთხვევაში ისინი სამკუთხედს ან კვადრატს გამოიყენებენ, სხეულის შემთხვევაში – წრეს ან მართკუთხედს. წვერისათვის მათ მარკუთხა ან ნახევარწრიული ფორმა შეიძლება შეარჩიონ, რომლის ერთ კიდეს ისინი ვიწრო ზოლებად დაჭრიან.
- აპლიკაციის ტექნიკით ნამუშევრის შესრულებისას მოსწავლეები იყენებენ ფერად ქაღალდებს, ფერადი ქსოვილის ნაჭრებს, ლენტებს და სხვ. წვერისათვის მათ შესაძლოა ბამბაც გამოიყენონ. ისინი სხვადასხვა მასალისაგან გამოჭრიან გეომეტრიული ფორმებს, აწებებენ ფურცელზე და ასე ქმნიან თოვლის ბაბუას გამოსახულებას აპლიკაციის ხერხით.
- კოლაჟის ტექნიკის შემთხვევაში მათ მიერ გამოყენებული მასალა შესაძლოა კიდევ

უფრო მრავალფეროვანი იყოს. ისინი იყენებენ ღილებს, ფერად მძივებს, ბამბას და სხვ.

- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, როგორ გამოსახა თოვლის ბაბუა; რომელი ტექნიკა აირჩია, რომელი მასალა გამოიყენა და როგორ? რომელი ფორმები გამოიყენა ნამუშევარში და რატომ?

შეკითხვები:

- რომელი ტექნიკა და რა მასალა გამოიყენე თოვლის ბაბუას გამოსახულების შესაქმნელად?
- როგორი ფორმები გამოიყენებე თოვლის ბაბუას გამოსახულების შექმნისას და რატომ?

გაკვ. 46. ხანუქა – სინათლის დღესასწაული

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ-ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული;
- **ფერი** – ღია და მუქი;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს საუბრით იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ერთმანეთისაგან განსხვავებული დღესასწაულები აქვთ. მაგ., ებრაელები ყოველ წელს დეკემბერში აუცილებლად ზეიმობენ სინათლის და განახლების დღესასწაულს – ხანუქას; 8 დღის განმავლობაში ისინი ყოველდღე ანთებენ სანთლებს, სანამ ტრადიციულ შანდალზე 8 სანთელი ერთად არ აინთება. ბავშვები საგანგებოდ ამ ტრადიციისათვის განკუთვნილი ფერადი კუბებით თამაშობენ. უფროსები ტკბილეულს აცხობენ და სიხარულით უმასპინძლდებიან ახლობლებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ შანდალს და აღწერონ ის.

შეკითხვები:

- დათვალეთ, რამდენი სანთლის დამაგრებაა შესაძლებელი ამ შანდალზე?
- რომელი გეომეტრიული ფორმები შეიძლება დავინახოთ ამ შანდალზე? (ნახევა-რწრეები/რკალი)?
- სხვადასხვა სიდიდის რამდენი რკალია ამ შანდალზე? (ოთხი რკალი)

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფურცლებს და უსვამს შეკითხვას:

- კიდევ სად შეიძლება აღმოვაჩინოთ ნახევარწრე/რკალი ბუნებაში ან ჩვენს გარემოში? (ახალი მთვარე, ოღონდ რკალს სხვა მდებარეობა აქვს; ქოლგა და მის რკალსაც სხვა მდებარეობა აქვს და ა.შ.).

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ მათ ამ ქაღალდებზე დახატონ საგნები, რომლებსაც რკალისებური ფორმა აქვს. შემდეგ იგი დაფაზე ხატავს სხვადასხვა მხარეს გახსნილ (ზემოთ, ქვემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ) ნახევარწრეს/რკალს და სთხოვს თითოეულ მოსწავლეს, რომ მათ მიერ დახატული საგნები დაფაზე წარმოდგენილი სხვადასხვა მხარეს მიმართული ნახევარწრეებთან მსგავსების მიხედვით დააჯგუფონ.

ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა სიღრმისეულად დაამუშაონ ნეხავრწრე, როგორც გეომეტრიული ფორმა.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ პრაქტიკული სამუშაო.

დავალების პირობა:

აპლიკაციის ტექნიკით შექმენი ხანუქას შანდალი; გამოიყენე ნახევარწრიული ფორმები, შეარჩიე მრავალფეროვანი მასალა.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ირჩევენ შანდლის დასამზადებელ მასალას, კერძოდ, ფერად ქაღალდებს ან ფერად ერთჯერად თეფშს. გულმოდგინედ მოხაზავენ ქაღალდზე ხანუქას შანდლის ნახევარწრიულ ფორმას, გამოჭრიან და მუყაოზე ამაგრებენ. ამის შემდეგ ისინი გამოჭრიან ოქროსფერი ან ყვითელი ქაღალდისაგან სანთლის ფორმებს დადააწებებენ შესაბამის ადგილას შანდალზე.

ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლეები პასუხს სცემენ შემდეგ კითხვებს:

- როგორი ფორმის შანდალი გააკეთე და რამდენი სანთელია მასზე?
- რომელი გეომეტრიული ფორმები გამოიყენე და რატომ?
- რა მასალისაგან გააკეთე შანდალი და როგორი ფორმები გამოიყენე ანთებული სანთლების შესაქმნელად?

<u>გაკვეთილი 47. ეზიდების ახალი წელი</u>

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ღია;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, აპლიკაცია

4. სამიზნე ცნება – სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით:

- როდის აღნიშნავს მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობა, და მათ შორის ჩვენც, ახალ წელს?
- იცით, რომ ზოგიერთი ხალხი ახალ წელს 31 დეკემბერს არ აღნიშნავს?

მოსწავლის აქტივობა:

სავარაუდოდ, პირველ შეკითხვაზე პასუხი მოსწავლეებს ეცოდინებათ, მაგრამ მეორე შეკითხვაზე, შესაძლოა, მათ ვერ გასცენ პასუხი.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ საქართველოში ცხოვრობს ხალხი – ეზიდები, რომლებიც ახალ წელს აპრილში აღნიშნავენ. მათ ამ დღესასწაულის აღნიშვნის საკუთარი ტრადიციები აქვთ. ისინი ამ დღესასწაულისათვის აცხობენ ტკბილეულს, ხვადასხვაფრად ღებავენ კვერცხებს, შემდეგ შეღებილი კვერცხის ფერად ნაჭუჭებს ახლად მოხნულ მინდორში ფანტავენ. ეზიდების ახალი წლის ერთ–ერთი მთავარი ტრადიცია კი ისაა, რომ ახალი წლის წინ ისინი სახლის კარს წითელი ყვავილებით რთავენ და ასე ზეიმობენ ახალი წლის შემობრძანებას. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოს, რომელზეც ეზიდების სახლის წითელი ყვავილებით შემკული კარია წარმოდგენილი. მოსწავლეები მათი თანატოლის მიერ შესრულებულ ნამუშევარსაც აკვირდებიან, რომელზეც ყვავილებით შემკული სახლის კარია გამოსახული.

შეკითხვები:

- როგორაა გამოსახული სახლის კარი და რომელი გეომეტრიული ფორმებია გამოყენებული ამ კარის გამოსახვისას? (კვადრატები, პატარა წრეები).
- ამ ნამუშევარში რა მასალითაა გაკეთებული ყვავილები და როგორაა ისინი დამაგრებული კარის გარშემო?

მოსწავლის აქტივობა:

სავარაუდოდ, მოსწავლეები აღიქვამენ და აღწერენ, რომ ყვავილები ფერადი ქაღალდებისგანაა გამოჭრილი და შემდეგ დაწებებულია ფურცელზე ფანქრით დახატული კარის გარშემო. (ანუ აქ გამოყენებული აპლიკაციის ტექნიკა).
მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან ეზიდების მიერ კარის ახალი წლის მორთულობა.

დავალების პირობა:

დახატე სახლის კარი და, ეზიდების ტრადიციის მიხედვით, აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით, მორთე ის მრავალფერი ყვავილებით.

მასწავლებლის აქტივობა:
სანამ მოსწავლეები მუშაობას დაიწყებენ, მასწავლებელი მათ აჩვენებს მის მიერ ფერადი ქაღალდებისაგან დამზადებულ გეომეტრიულ ფორმებს: კვადრატს, ოვალს, წრეს, სწორკუთხედს და შემდეგ აჩვენებს, როგორ შეიძლება მოსწავლეებმა ამ ფორმებისაგან ყვავილის ბუნებრივი ფორმები მიიღონ. მათ შეუძლიათ, კვადრატი ოთხად გაკეცონ და კიდეები მაკრატლით ოვალურად მოაჭრან, ან სწორკუთხედი ორად გაკეცონ და ერთი მხრიდან წვრილ ზოლებად დაჭრან და ა.შ. ამგვარად ისინი სახვადასხვა ფორმის ყვავილებს დაამზადებენ, რომლებსაც შემდეგ კარის გარშემო დააწებებენ.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს:

- თავდაპირველად ისინი ფურცელზე ფანქრით ხატავენ კარს. კარის ფორმა შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს, თუმცა, მასწავლებელმა რჩევა უნდა მოსცეს მოსწავლეებს, რომ მათ კარის გამოსახვისას სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების გამოყენება შეუძლიათ. გარდა ამისა, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ურჩიოს, რომ კარის გარშემო კედლის პატარა ნაწილები მაინც დახატონ (ან თუ დიდ ფურცელზე მუშაობენ მთელი სახლის დახატვაც შეუძლიათ), რათა შემდეგ ყვავილებმა მთლიანად არ დაფაროს კარი.
- შემდეგი ნაბიჯი კარის გაფერადებაა ნებისმიერი მასალით: ფერადი ფანქრებით, აკვარელის საღებავებით, გუაშით და ა.შ. მოსწავლეებმა წინასწარ უნდა განსაზღვრონ, რომ კარი ისეთი ფერით შეღებონ, რომ ამ ფერის ფონზე ყვავილები კარგად გამოჩნდეს, ამიტომ, მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მოსწავლეებს, რომ სასურველია კარი არ იყოს ძალიან მუქი ფერის.
- როდესაც კარი უკვე მზადაა, მოსწავლეები ფერადი ქაღალდებისაგან ყვავილების დამზადებას იწყებენ. მათ ჯერ უნდა გამოჭრან გეომეტრიული ფორმები და შემდეგ მათგან სხვადასხვა ფორმის ყვავილები (გვირილები, ვარდები, ყაყაჩოები და სხვ.) დაამზადონ. ყვავილების ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ კარი მთლიანად არ დაიფაროს.
- როდესაც ყვავილები მზად იქნება, ისინი მოსწავლეებმა კარზე უნდა დააწებონ.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს მხოლოდ კარი გამოსახა თუ მთლიანად სახლი დახატა, როგორი ფორმისაა მის მიერ დახატული კარი და რომელი გეომეტრიული ფორმები გამოიყენა მისი დახატვის დროს. რა ფერია მისი კარი, როგორ გააკეთა ყვავილები და როგორ გამოჭრა გეომეტრიული ფორმის ფერადი ქაღალდებისაგან ყვავილები ანუ გეომეტრიული ფორმებისაგან როგორ მიიღო ბუნებაში არსებული ფორმები და როგორ გაანაწილა ისინი კარის გარშემო.

<u>გაკვ. 48. მისალოცი ბარათი</u>

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:

გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ჩვენ მრავალ დღესასწაულს აღვნიშნავთ წლის განმავლობაში და ყოველთვის ვულოცავთ ხოლმე ამ დღესასწაულებს ერთმანეთს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ ეს დღესასწაულები (დედის დღე, ქალთა დღე, ახალი წელი, აღდგომა, დამოუკიდებლობის დღე და სხვ.).

ადამიანები ერთმანეთს ხან საჩუქრით ულოცავენ ამ დღესასწაულებს, ხან სიტყვით, ხანაც

მისალოც ბარათებს უგზავნიან.

- შენ რომელი დღესასწაული გიყვარს ყველაზე მეტად და რატომ?
- რომელ დღესასწაულს აირჩევდი და ვის მიულოცავდი ამ დროს? მაგ., ვის მიულოცავდი დაბადების დღეს?

შენიშვნა: შესაძლებელია, მასწავლებელმა ეს გაკვეთილი რომელიმე დღესასწაულს დაამთხვიოს, მაგ., დედის დღეს. დედის დღესთან დაკავშირებით, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი მოსწავლეების პრობლემები და თუ კლასში ჰყავს ისეთი მოსწავლე/მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰყავთ დედა, ამ ფაქიზ თემას ფრთხილად შეეხოს ან სულაც გვერდი აუაროს. საერთოდ კი, სასურველია, რომ მისალოცი ბარათი რომელიმე კონკრეტულ დღესასწაულთან ან დაბადების დღესთან იყოს დაკავშირებული.

მასწავლებელი სთავაზობს კლასს დაამზადონ მისალოცი ბარათები. იგი მოსწავლეებს სთვაზობს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მისალოცი ბარათის რამდენიმე ვარიანტი. თითოეული მათგანი ფერადი ქაღალდის გადაკეცვით არის შექმნილი და შემდეგ სხვადასხვა ხერხითაა შემკული.

დავალების პირობა:

შენი ხელით დაამზადე მისალოცი ბარათი. შეარჩიე ტექსტი, ბარათის ფორმა და აპლიკაციის ტექნიკით გააფორმე ბარათი სასურველი გამოსახულებებით.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ბარათებს მრავალნაირი ფორმა შეიძლება ჰქონდეს.

სახელმძღვანელოში მოცემულია ბარათი, რომელსაც კუთხეებში გოფრირებული ქაღალ-დები აქვს ჩადგმული. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რჩევებს:

- აიღეთ მართკუთხა ფორმის ფურცელი და გაკეცეთ შუაზე;
- აიღეთ მარკუთხა ფორმის მეორე ფურცელი, რომელიც შეიძლება ფერადი იყოს. ოღონდ მისი სიმაღლე გაკეცილი ფურცლის ნახევარი უნსა იყოს. ეს ფურცელი რამდენჯერმე გადაკეცეთ ისე, რომ გოფრირებული ფორმა მიიღოთ. მისი ოთხივე კიდე დააწებეთ ორად გაკეცილ ქაღალდს და თქვენი ბარათიც მზადაა;
- დაწერეთ თქვენი მილოცვა და სურვილები ბარათის შიდა გვერდებზე; შეგიძლიათ სურვილისამებრ შიდა გვერდებიც გააფორმოთ;
- გარედან გააფორმეთ თქვენი ბარათი ნებისმიერი ხერხით. დახატეთ ან აპლიკაციის ხერხით გამოსახეთ ნებისმიერი თქვენთვის საუსრველი რამ;
- გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები, ფერები.

პრაქტიკული სამუშაო

მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს:

- მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ როგორც მოსწავლის სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიმუშები, ასევე, თავად მოიფიქრონ ნებისმიერი ფორმა და შექმნან მისალოცი ბარათი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე, საუბრობს, ვის მიულოცა დღესასწაული, როგორი ტექსტი დაწერა, როგორი ფორმის მისალოცი გააკეთა, რა გამოსახა ზედ და რატომ, როგორ შემაკო მისალოცი ბარათი?

გაკვ. 49. აღდგომა

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ხერხები** – მთავარის გამოყოფა

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შკითხვებით.

- თუ იცით, როდის აღინიშნება აღდგომის დღესასწაული? (გაზაფხულზე);
- რა არის აღდგომის მთავარი ნიშანი? (წითელი კვერცხი);
- გინახავთ, როგორ ღებავენ კვერცხებს?

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ არსებობს ამგვარი სააღდგომო ტრადიცია, რომელიც, ალბათ, ბევრმა მათგანმა იცის, რომ აღდგომამდე რამდენიმე ხნით ადრე, ჯეჯილს ახარებენ.

- ხომ არ იცით, რატომ ახარებენ ჯეჯილს აღდგომამდე? (ახლად ამოსულ ჯეჯილში სააღდგომო წითელ კვერცხებს აწყობენ);
- როგორ ახარებენ ჯეჯილს სახლში?

მოსწავლეებმა შეიძლება იცოდნენ, როგორ ხდება ჯეჯილის გახარება სახლის პირობებში, მაგრამ თუ არ იციან, მასწავლებელი უნდა მოუყვეს ამ პროცესის შესახებ: „იმისათვის, რომ ჯეჯილი გავახაროთ, უნდა ავიღოთ თეფში ან ჯამი, ზედ თხელ ფენად დავაფინოთ ბამბა, დავასხათ წყალი და შემდეგ ზედ დავყაროთ ხორბალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ხორბალი გაღვიებას დაიწყებს და ნელ–ნელა (დაახლოებით 2 კვირაში) იქიდან მწვანე ყლორტები ამოიყრება, საბოლოოდ კი, თეფშზე ხასხასა მწვანე ჯეჯილი აბიბინდება“.

მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, თავად გაახარონ ჯეჯილი სახლში და დააკვირდნენ ამ პროცესს. მაგრამ შესაძლებელია ჯეჯილი საკუთარი ხელითაც გააკეთონ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ეკრანზე ან ფოტოზე ჯეჯილის გამოსახულებბას და სვამს შეკითხვებს:

- როგორი ფორმა აქვს ჯეჯილს? (ის მრავალი წვრილი, ვერტიკალური მწვანე ღეროსაგან შედგება);
- როგორ ხაზებს გამოიყენებდით მის დასახატად? (ვერტიკალურ სწორ ხაზებს)

მოსწავლეთა პასუხის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ შეხედონ მათი თანატოლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს, რომელზეც ჯეჯილში ჩაწყობილი წითელი კვერცხებია გამოსახული და სვამს შეკითხვას:

- როგორი ფორმა აქვს აქ ჯეჯილს? (მისი ზედა ნაწილი კბილანებიანია/დაკბი-

ლულია);

- რატომა არაა ამ ნამუშევარზე ჯეჯილი ისე გამოსახული, როგორც თქვენ აღწერეთ, ანუ რატომ არაა აქ სწორი ვერტიკალური ღეროები? (რადგან ჯეჯილში კვერცხებია ჩაწყობილი, მისი ღეროები ფორმას იცვლის);
- როგორ მივიღოთ ჯეჯილის ამგვარი ფორმა? (იმისათის, რომ ჯეჯილის ამგვარი „კბილანებიანი“ ფორმა მივიღოთ, აუცილებელია ჯერ მწვანე ქაღალდზე ზიგზაგისებური ხაზით „კბილანები“ მოვხაზოთ, რომლის მიხედვითაც შემდეგ ჯეჯილის დაკბილულ ფორმას გამოვჭრით).

შენიშვნა: ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა გაიხსენონ ზიგზაგისებური ხაზი და მისი შესაძლებლობები და გამოიყენონ ის პრაქტიკაში.

მოსწავლეთა პასუხების შემდგომ, მასწავლებელი კვლავ სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მათი თანატოლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს სახელმძღვანელოში და სვამს კიდევ რამდენიმე შეკითხვას:

- ამ ნამუშევარში, რომელია მთავარი გამოსახულება: ჯეჯილი თუ კვერცხები? (კვერცხები); რატომ ჩათვალეთ ასე?
- რომელი გამოსახულება უნდა ჩანდეს სურათზე უკეთ, რომელიც მთავარია თუ, პირიქით, რომელიც მთავარი არ არის? (რომელიც მთავარია);
- მასწავლებელი აჯამებს ამ აქტივობას და ურჩევს მოსწავლეებს, რომ ნებისმიერი ნამუშევრის შექმნისას, მათ ფურცელზე გამოსახულებათა განაწილებისას უნდა მოახერხონ მთავარის გამოყოფა და ეს მათ ამ დავალების შესრულების დროსაც უნდა გაითვალისწინონ.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

შექმენი ჯეჯილში ჩაწყობილი სააღდგომო კვერცხების გამოსახულება აპლიკაციის ტექ-ნიკით.

სანამ მოსწავლეები მუშაობას დაიწყებენ, მასწავლებელი მათ აძლევს რჩევებს:

- კარგად დააკვირდით კვერცხის ფორმას და თავიდან ფურცელზე ფანქრით შემოხაზეთ კვერცხის კონტური; შემდეგ გამოჭერით მაკრატლით;
- კვერცხები შეგიძლიათ წითელი ან ნებისმიერი სხვა ფერის ქაღალდისაგან გამოჭ-რათ;
- შეიძლება, კვერცხები შეამკოთ სხვადასხვა ტიპის ფერადი ხაზებით. ხაზები შეგიძლიათ დაახატოთ ან აპლიკაციის ხერხით სხვადასხვა მასალისაგნ გამოჭრათ და დააწებოთ კვერცხებს;
- ასევე, კვერცხები შეგიძლიათ სხვადასხვა ფორმით (სამკუთხედი, ოვალი, წრე და სხვ.), ანდა სხვადასხვა ფორმის ყვავილებით, ვარსკვლავებით და ა.შ. შეამკოთ. ისინი შეგიძლიათ დაახატოთ კვერცხებს და შეგიძლიათ, სხვადასხვა მასალისაგან გამოჭრათ და დააწებოთ;
- შეგიძლიათ კვერცხებზე ერთგვარი „ბადე“ გააკეთოთ ვერტიკალური და ჰორი-ზონტალური ხაზებით, როგორც ეს წიგნში მოცემულ, თქვენი თანატოლების მიერ შესრულებულ, ნამუშევრებზეა ნაჩვენები;
- ცალკე უნდა დაამზადოთ ჯეჯილი მქვანე ქაღალდისაგან. მასზე გაავლოთ ჰორი-ზონტალური ხაზი, რომლის ზემოდან ზიგზაგისებულ ხაზს გაატარებთ, შემდეგ გამოჭრით და ჯეჯილიც მზადაა.

- ბოლოს აიღებთ შდარებით დიდ ფორმატს, რომელზეც თქვენ მიერ შექმნილი კვერცხები და ჯეჯილი უნდა განალაგოთ. გაიხსენეთ, როგორ შეიძლება გამოსახულებების განაწილება ფურცელზე (ცენტრში მოუყრით თავს გამოსახულებებს, თუ მთელ ფორმატზე გაანაწილებთ, როგორ გამოყოფთ მთავარს). შესაძლებელია, რომ თქვენს მიერ შექმნილი კვერცხებიდან ერთია ყველაზე ლამაზი, რომელიც თქვენ მოგწონთ და გსურთ, რომ ის ყველაზე კარგად ჩანდეს. მოიფიქრეთ სად განალაგებთ მას ისე, რომ ის იყოს მთავარი თქვენს ნამუშევარზე.
- თავდაპირველად დაალაგეთ კვერცხები და ჯეჯილი ფურცელზე, მოსინჯეთ სხვდასხვა ვარიანტი და როდესაც ჩათვლით, რომ გამოსახულებები კარგადაა განაწილებული, დააწებეთ ისინი ფურცელზე.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს:

- თავდაპირველად ქმნიან სააღდგომო კვერცხებს. ირჩევენ რა ფერის იქნება მათი კვერცხები და როგორ შეამკობენ მათ; კვერცხების რაოდენობას მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ; ასევე, ისინი თავად განსაზღვრავენ რომელ მასლას და ტექნიკას როგორ გამოიყენებენ;
- მეორე ეტაპზე ისინი ჯეჯილს ამზადებენ და ითვალისწინებენ მასწწავლებლის რჩევებს;
- მესამე ეტაპზე მოსწავლეები თავიანთ შექმნილ გამოსახულებებს განალაგებენ ფორმატზე, ირჩევენ სად რომელი გამოსახულება მოათავსონ და საბოლოოდ მათ ფორმატზე აწებებენ.
- პრეზენტაციის დროს ისინი წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევარს და საუბრობენ, როგორ შექმნეს ჯეჯილში ჩაწყობილი კვერცხების გამოსახულება, როგორი ხაზებით, ფორმებითა და ფერებით შეამკეს კვერცხები, როგორ შექმნეს ჯეჯილი, როგორ გაანაწილეს ეს გამოსახულებები ფორმატზე.

II კლასი

შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, მუქი და ღია;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა, ქანდაკება;

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი თემაზე „აღდგომა" აპლიკაციის ხერხისა და კონსტრუირების გამოყენებით. სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ფორმების, ძირითადი და შედგენილი ფერების საშუალებით.მოიფიქრე, რომელ სიმბოლოებსა და ნიშნებს გამოსახავ შენს ნამუშევარზე.

კრიტერიუმი **სამიზნე ცნება**	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს კარგად ესმის კომპლექსური დავალების არსი,იგი მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს სიმბოლოებსა თუ ნიშნებს, სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას, ასევე დარგის მახასიათებლებს წარმოაჩენს, მოსწავლე გააზრებულად ქმნის ნამუშევარს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე. ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. პირად გამოცდილებას უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას.მოსწავლის მოსაზრებები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით.		
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას შესრულებული დავალების ფარგლებში,მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას მის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკაზე.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად,მოსწავლე გააზრებულად იყენებს დარგის მახასიათებლებს და იცავს მიმართებებს. ნამუშევრის წარდგენა:მოსწავლე გააზრებულად საუბრობს დარგისა და ჟანრის მახასიათებლებზე.

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია შექმნას ნამუშევარი სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგსა თუ ჟანრში ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, ნაწილობრივ შეუძლია დარგის მახასიათებლებზე საუბარი და შექმნილი ნამუშევრის მიკუთვნება.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. ნამუშევრის წარდგენა: ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** იშვიათად ქმნის ნამუშევარს ამათი იმ დარგსა თუ ჟანრში. გაუაზრებლად იყენებს ნამუშევარში სახვითი ხელოვნების დარგისა თუ ჟანრის მახასიათებლებს. ნამუშევრის წარდგენა:მხოლოდ მინიშნებას აკეთებს დარგის მახასიათებელზე.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული		

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება, რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

7.შეფასების რუბრიკები

ნახატის/კოლაჟის/აპლიკაციის შეფასების სქემა

შეფასება				
ჩანაფიქრის შესაბამისობა შერჩეულ გამომსახველობით საშუალებებთან	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, შესაბამისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს გარკვეულ სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ძირითადად ფლობს სახვით გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმედებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალასა თუ ტექნიკას.
ორგანიზებულობა/ ეტაპების დაგეგმვა	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები არ არის დაგეგმილი, არ არის მომზადებული საჭირო აღჭურვილობა.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ნაწილობრივაა დაგეგმილი, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის ნაწილი.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ძირითადად დაგეგმილია, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის დიდი ნაწილი.	მოსწავლე ყოველთვის ორგანიზებულია, გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს, ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს და ამზადებს საჭირო აღჭურვილობას.
დროის ლიმიტი	მოსწავლე ვერ ანაწილებს დროს და არ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე არათანაბრად ანაწილებს დროს სამუშაოს გარკვეული ეტაპის შესასრულებლად, ზოგჯერ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე ნაწილობრივ ანაწილებს დროს სამუშაოს სხვადასხვა ეტაპის შესასრულებლად, ძირითადად იცავს დროის ლიმიტს.	სამუშაოს ყველა ეტაპის შესასრულებლად დრო ეფექტურადაა გამოყენებული, განაწილებული და დაცულია დროის ლიმიტი.

ციფრული ნამუშევრის შეფასების რუბრიკები

შერჩეული ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად არ არის ამოცანის ადეკვატური. ჩანაფიქრის შესაბამისად არ არის მიღწეული სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ნაწილობრივ ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად -ნაწილობრივ მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად - ძირითადად მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი, შექმნილია ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით.
მოსწავლე იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს იდეების, მოსაზრებების გაზიარებისა და შესრულებული ნამუშევრის წარდგენის მიზნით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად ვერ გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად ვერ წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ მოსაზრებები და შექმნილი ციფრული ნამუშევარი გააზიარა, წარადგინა ნაწილობრივ შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა ძირითადად შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/ საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანსა და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

მასწავლებლის რეფლექსია

როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?
თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: • რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება? • რის საფუძველზე მივაღწიე ამას? • რა სირთულეს წავაწყდი? • რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს? • რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე? • მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე) • რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება? • მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ? • მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

- მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: ——————————————————————————

მოსწავლე: ——————————————————————————

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	• შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? • ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? • ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? • ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	კარგი	საშუალო	საჭიროებს გაუმჯობესებას
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/ მიგნებები	• რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? • წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			
დავალების შესრულება	• დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/ პრობლემა? • თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	• ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვების სქემა

გუნდის ძლიერი მხარეები

გუნდის სუსტი მხარეები

დამატებითი კომენტარები

ლექსიკონი

აპლიკაცია – ტექნიკა, რომლის შემთხვევაში გამოსახულება მიიღება სურათის ზედაპირზე სხვადასხვა მასალის დაწებებით

დიორამა – ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები

კოლაჟი – ტექნიკა, რომლის შემთხვევაში ზედაპირზე საგნებია დამაგრებული ან დაწებებული

კონტური – საგნის გარშემომწერი ხაზი

მობილი – სხვადასხვა მასალით შექმნილი მოძრავი კონსტრუქცია

ნაკრძალი – ტერიტორია, სადაც დაცულია ბუნებრივი პირობები: მცენარეების ჯიშები, ფრინველთა და ცხოველთა სახეობები, ლანდშაფტი. ნაკრძალის დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს, ხოლო მისი მონახულება სპეციალური პირობების დაცვით არის შესაძლებელი

ნატურმორტი – ნამუშევარი, რომელზეც უსულო საგნებია გამოსახული

ორნამენტი – სხვადასხვა ხაზის, ფერისა და ფორმის გამეორებით შექმნილი გამოსახულება

პეიზაჟი – ბუნების ხედი

პორტრეტი – კონკრეტული ადამიანის გამოსახულება

ფაქტურა – ნამუშევრის, საგნის, ნივთის ზედაპირის თავისებურება



www.klio.ge
ISBN 978-9941-496-50-9
9 789941 496509
გამომცემლობა „კლიო“

დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და მასწავლებლების
სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში